სიტყვები და წერილები

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან

ამ წიგნს შესავალი უნდა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა წიგნებს

თფილისი
სტამბა **„ნადეუდა“** სემენოვის ქუჩა. № 4.

სიტყვები და წერილები

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან

ამ წიგნს შესავალი უნდა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა წიგნებს

თფილისი
სტამბა **„ნადეუდა“** სემენოვის ქუჩა. № 4.

ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ
1822—1907

† ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე.

(1824-1907 წ.)

1907 წელს, 9 ნოემბერს, შიო-მღვიმის სავანეში, გარ-
დაიცვალა ჩვენი „საზოგადოების" წევრი, საქართველოს ეკ-
ლესიის მხცოვანი მღვდელ-მთავარი, ყოვლად-სამღვდელო
ალექსანდრე, რომელსაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის
ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე,

ჯერ კიდევ სტუდენტობის ჟამს, ყაზანის სასულიე-
რო აკადემიაშივე ეტყობოდა მომავალს მღვდელ-მთავარს,
რომ უხვად იყო დაჯილდოვებული მოყვასის მიმართ მტკიცე
სიყვარულით. როგორც ამ აკადემიის ისტორიის აღმწერი
პროფესორი ზნამენსკი ამბობს, ერთს წელიწადს ქალაქ ყაზა-
ნში ხოლერა მძვინვარებდა, ბერ-დიაკონი სტუდენტი ალექ-
სანდრე ოქროპირიძე, ორს სხვა თავის ამხანაგ რუსის სტუ-
დენტთან ერთად, ავათმყოფთა მომვლელთ დასში ჩაეწერა და
უშიშარის თავ-გამეტებით ასრულებდა თავის მოვალეობას.

1850 წლებში მან დაამთავრა სასულიერო აკადემიის კურ-
სი და დაბრუნდა თავის სამშობლოს სხვა-და-სხვა მხარეს: ქა-
რთლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში და აფხაზეთში – ჯერ
მასწავლებლად, შემდეგ იღუმენათ, არქიმანდრიტად და ბო-
ლოს მღვდელ-მთავრად.

აფხაზეთში ის მოღვაწეობდა მკვიდრთა შორის ქრისტია-
ნობის დასამყარებლად.

1862 წელს ხელ დასხმულ იქნა ეპისკოპოსად.

ორ გზის, 1869 - 1882 და 1886 - 1898 წლებში, სულ
ოცდა ხუთ წელს, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ასრუ-
ლებდა გორის ეპისკოპოსის, ქართლ-კახეთის ეპარქიის პირ-
ველი ქორ-ეპისკოპოსის თანამდებობას.

1882-1885 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას
ხოლო I898 წელს სინოდმა უბოძა გურია-სამეგრელოს ეპის-
კოპოსობა.

ყველგან მის მოღვაწეობას წინ უძღოდა მხურვალე სი-
ყვარული მშობლიურ ეკკლესიისა და სამშობლოს მიმართ. ამ
სიყვარულით გამსჭვალული მღვდელ-მთავარი არ იყო მხო-
ლოდ მონასტრის სავანეში კარ-ჩაკეტილი ცხოვრების მოტ-
რფიალე. პირიქით, მას ცხოვრების მიზნათ ჰქონდა დასახუ-
ლი ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სარწმუნოების
დიდმნიშვნელობის შეგნებით განათებული.

ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორს მარტივ ცხოვრე-
ბას წარმოადგენდა ყოვლად-სამღდელო აღექსანდრეს კერძო
ცხოვრება. საკუთრთათ თავის თავზე იგი ხარჯავდა სულ მცი-
რეს, და მთელ თავის მონაგარს უმთავრესათ სწირავდა იმ სა-

ქმეს, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენი ნორჩი „საზოგადოება” ემსახურება, სახელდობრ: აახლებდა ჩვენი ძველი ხუროთ-მოძღვრების დიდებულ ნაშთებს, თავისი საფასით აბეჭდინებდა ჩვენი ძველი მწერლობის საყურადღებო ნაწარმოებებს, ნოტებზედ აღებინებდა და ასტამბინებდა ქართული გალობის საუკეთესო ნიმუშებს და სხვ.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ თავისი ქონების უდიდესი ნაწილი მოახმარა შიო-მღვიმის მონასტრის განახლებას: აღადგინა და ძვირფასი მხატვრობით შეამკო წმ. შიო მღვიმელის საფლავის ეკლესია და დავით-აღმაშენებლის მიერ აგებული დიდებული ტაძარი; მტკვრის პირას მონასტრის მამულში გააშენა ჩინებული ზვარი; ააშენა მონასტრის ძმათათვის საცხოვრებელი ბინები და, დასასრულ, დიდძალი თანხა უანდერძა მონასტერს მომავალში მის უზრუნველ-საყოფელად.

მანვე განაახლა ზედა-ძნისა, ჯვარისა და დავით გარეჯელის მონასტრები, რომელთაგან პირველს საკმაო თანხაც უანდერძა.

დიდ ყურადღებას იქცევდა განსვენებული მღვდელ-მთავარი ქართული მწერლობის ნაშთების გამოქვეყნებას. მან საკუთარი საფასით დაასტამბინა ჩვენი სიტყვიერების ძვირფასი საუნჯე „ქართული ლექსიკონი” სულხან-საბა ორბელიანისა, აგრეთვე კათალიკოზის ანტონ პირველის „მზა-მეტყველება“, ამბროსი ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი“, შიო მღვიმის მონასტრის ისტორიული საბუთები (სიგელ-გუჯრები და სხვანი. ამავე მიზნით (ძველი ხელ-ნაწერების გამოსაცემად) მან შესწირა საეკლესიო მუზეუმს 2200 მანეთი. ამ თანხით გამოიცა ათონის ხელნაწერის ტექსტი 1074 წლისა, ცხოვრებაჲ იოანესი, ეფთჳმესი.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე კარგად ხედავდა, რომ ჩვენი ძველი საეკლესიო გალობა თან-და-თან ეცემოდა და დავიწყებას ეძლეოდა ხალხში. ამიტომ იგი შეუდგა ამ გალობის შეკრებას და ნოტებზე გადაღებას, რაც მიანდო სპეციალისტ მიხ. იპოლიტოვ ივანოვს, რომლის მიერ ნოტებზე გადაღებული წირვის საგალობლები კიდევაც გამოსცა თავისი საფასით.

განსვენებული მღვდელ-მთავარი მოსარჩლეობას უწევდა ქართულ ენას, რომელიც მე-XIX საუკუნის მე-80 წლებამდის საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში ყოველ პატივს იყო მოკლებული და სავალდებულო საგნად არ ითვლებოდა პეტერბურგიდან ჩამოსულს სინოდის რევიზორებს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ყოველთვის წარუდგენდა ხოლმე მოხსენებას ქართული ენის ასეთი უნუგეშო ყოფის შესახებ; და, ბოლოს, ეგზარხოსის იოანიკეს დროს, ქართული ენის და, ქართული გალობის მდგომარეობას საკმაო ყურადღება მიექცა: ორივე საგანი ქართველ მოწაფეთათვის სა-

ვალდებულო საგნებად იქნა ცნობილი.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის უფლების დაცვის საქმეში. როგორც ბევრს ეხსომება, დეკანოზის ვოსტორგოვის დროს, გაილაშქრეს აღნიშნულ სკოლებში ქართული ენის სწავლელების წინააღმდეგ. სიმართლის მოყვარე მღვდელ მთავარმა დაიცვა ამ მხარეში ქართული ენის ბუნებრივი უფლებანი... და დიდი ხანიც აღარ დარჩენილა ამას შემდეგ გურია სამეგრელოს ეპარქიაში... მან სამსახურს თავი დაანება და დაბინავდა შიო-მღვიმის სავანეში.

როგორც მქადაგებელს, ყოვლად-სამღდელო ალექსან-დრეს საზოგადოთ არ უყვარდა მოძღვრებაში მრავალ მეტყვე-ლება: თუ იტყოდა რასმე, იტყოდა მოკლეთ და მკაფიოთ ისე კი რომ არავის წყენას არ დაერიდებოდა. ერთი ქართ. სამხედრო გვამი გარდაიცვალა, ყოვლად-სამღვდელო მიიწვიეს გასვენებაზე. მან ბრძანა: „განსვენებული დიდი შეძლების პატრონი იყო და დიდი სახელიც ჰქონდაო; მაგრამ ერთი-უბედურება სჭირდა: თავისი ქვეყნისა და მიწისაკენ მცირედ ეჭირა თვალი, ქართველთა გაჭირვებას ყურადღებას არ აქ-ცევდაო“ სიტყვა თამამათ და უშიშრათ იყო თქმული, მერე ისეთი კაცის გარდაცვალებაზე, რომელიც ერთ დროს ხელს მწიფის მოადგილეთ იყო კავკასიაში...

განსვენებულ მღვდელ-მთავარს არ მოსწონდა სიტყვით მამულიშვილობა: მას უყვარდა თვალ-საჩინო, სასარგებლო საქმე. ივანე კერესელიძის დასაფლავებაზე აი რა ბრძანა ყო-ვლად სამღვდელომ: „საკვირველია ქართველების საქმე: ცოც-ხალს მშიერს ვკლავთ და როცა მოკვდება, მაშინ კი ვგლო-ობთ. დროა გავახილოთ თვალები, შევიგნოთ ჩვენი მოვალე-ობა, ვუშველოთ ჩვენს თავს და ჩვენს ერს საქმე ვუკეთოთ; მარტო წერა, ბეჭდვა და ლაპარაკი არ კმარა; ვისაც რო-გორც შეგეძლოსთ, საქმით ემსახურეთ ქვეყანას, თორემ და-ვიღუპებით, აღვიგვებით!“

ყოვლად-სამღდელო კერძო ქველ-მოქმედებასაც ეწეოდა. მან დაარსა რამდენიმე სტიპენდია თბილისის სასულიერო სე-მინარიასა, საეპარქიო საქალო და სავაჟო სასულიერო სასწავ-ლებლებში, რის მეოხებით არა ერთმა და ორმა ქართვე-ლმა ახალგაზდამ მიიღო განათლება.

თავის კერძო ცხოვრებაში ყოვლად სამღვდელო ალექსანდ-რე წარმოადგენდა ჩვენის დროისათვის იშვიათს მაგალითს ღრმათ-მორწმუნე ადამიანისას. მისი ხასიათის ძირითად თვისებასა და სამკაულს შეადგენდა სარწმუნოების დიდი მნიშვნელობის შე-გნება. ამ თვალ საზრისით შეხედა ყოვლად-სამღდელოს ცხო-ვრებას ღრმათ-დაკვირვებულმა მგოსანმა ილია ჭავჭავაძემ, რო-მელმაც თავის სიტყვაში, მათის მეუფების 50 წლის მოღვა-წეობის გამო, სხვათა შორის მოახსენა მას: სხვამ რაც უნდა

სთქვას, და ჩემის ფიქრით კი, კაცი ის არის, ვისაც გული-
თადი რწმენა რისამე აქვს, ქვეყნის საკეთილდღეოთ მის მიერ
აღსარებული, და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით. თქვენ
გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი, მის ხელმძღვანელი და გამწმე-
ნდელი მისი სჯული და სარწმუნოებაა, და ამ გზაზე ღვაწლ-
მოსილობისათვის არა დაგიზოგიათ-რა... თქვენის ცხოვრე-
ბის წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და
მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა: ღმერთს ღვთისას აძლევ-
დით და ქვეყანას-ქვეყნისას, და ორსავე ემსახურებოდით ერ-
თმანეთის დაუკლისათ, გულმხურვალებით და სიყვარულით;
ერთი წუთიც არ ვიცით თქვენი სიცოცხლისა რომ ცხოველ-
მყოფელი შუქი ამ ორკეცი სიყვარულისა არ მოჰფენოდეს თვი-
თვითეულს თქვენს საქმეს!“

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე განგებამ დღეგრძე-
ლობითაც დააჯილდოვა: იგი გარდაიცვალა შობიდან 83
წლისა.

დაუვიწყარი მღვდელ-მთავრის განსვენებას, 16 ნოემბერს
1907 წელს. შიო-მღვიმის მონასტერში მრავალი ხალხი დაე-
სწრო. აქვე იყვნენ სხვა-და-სხვა წოდებათ და დაწესებულე-
ბათა წარმომადგენელნი: ქართლ-კახეთის, იმერეთის და გუ-
რია სამეგრელოს ეპარქიათა სამღვდელოებისა, თბილისის
გუბერნიის თავად-აზნაურობისა, წერა-კითხვის გამავრცელებე-
ლი საზოგადოებისა, საქართველოს საისტორიო და საეთნო.
გრაფიო საზოგადოებისა, თბილისის სასულიერო სემინარიისა,
საეპარქიო საქალო სასწავლებლისა და სხვათ მიცვალებულის
კუბოს წინ წარმოთქმულ იქნა მრავალი სიტყვა, რომელშიაც
სიტყვის მთქმელნი შეეხენ ვრელად სამღვდელოს მოღვა-
წეობას საქართველოს ეკლესიის სასარგებლოთ. განსვენებუ-
ლის გვამი დაკძალეს შიო-მღვიმის მონასტრის დადს საკ-
რებულოს ტაძარში, რომელიც აღაშენა საქართეელოს დიდე-
ბულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა მე-XII საუკუნეში და
განაახლა ამ რამდენისამე წლის წინათ, როგორც ზემოთ მო-
ვიხსენეთ, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ.

„ძველი საქართველო“.

სიტყვა.
თქმული ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაფლავებაზე.
1907 წ.

საერთო მოვლენაა რომ ადამიანი ესალმება ამ წუთის სოფელს საზოგადოებისათვის შეუმჩნევლად, მას მხოლოდ უახლობელესნი ნათესავნი და ნაცნობნი გამოიტირებენ, საფლავამდის მიაცილებენ და შემდეგ, ცოტა ხნის განმავლობაში და ისიც ხანდისხან, მოიგონებენ და მწუხარებით აღივსებიან. გამონაკლისს ამისთანა მოვლენათაგან შეადგენს მხოლოდ უუმცირესი რიცხვი ბედნიერ პირთა, სახელდობრ, იმ პირთა, რომელნიც ბუნებით უხვად დაჯილდოებულნი არიან სხვა და სხვა გვარი ნიჭითა, მოღვაწეობენ საზოგადოებრივ ასპარეზზე და ხალხისთვის სარგებლობა მოაქვთ. ამისთანა პირთა შორის ადგილი გიჭირავს შენც, ყოვლად უსამღვდელოესო ეპისკოპოსო ალექსანდრე! შენმა სიკვდილმა არა მარტო შენთა ხორციელთა მოყვასთა გულში გამოიწვია მწუხარება, არამედ ბევრი ქართველი დააღონა. ქართველი ერი შენ გაფასებდა, პატივს გცემდა; ფასს გდებდა იმიტომ, რომ მის წინაშე შრომა მიგიძღვის. შენ ხელს უწყობდი ხალხში ქართულ საღვთისმეტყველო მწიგნობრობის გავრცელებას; შენ აღადგინე და გაამშვენიერე ძველი მონასტრები და ტაძრები; შენ ეწეოდი ღარიბთა და ზრდიდი მოსწავლეთა! შენ მიეც ქართველ ერს მღვდელ-მთავარი, სულით და გულით ქართველი; შენ გვიჩვენე მაგალითი მაღალ ზნეობრივ ცხოვრებისა; შენ გვასწავლე, რომ ადამიანი მიუხედავად თვის უმაღლესი და ბრწყინვალე საზოგადოებრივ მდგომარეობისა, სადათ, მარტივად უნდა ცხოვრობდეს. როცა შენ იყავ გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველი და მე ახალსენაკში სასულიერო სასწავლებელში ვმსახურებდი მღვდელ მონაზონის ხარისხითა, როცა შენ სენაკში მოხვიდოდი, გაჩერებას ჩემს მოუწყობელ და ცივს ოთახში ამჯობინებდი, თუმცა ბევრი კარგი ოჯახის პატრონები გთხოვდნენ მათთან მისვლასა; ბერი ბერთან უნდა მივიდესო, – იტყოდი ხოლმე შენა. ბევრნი უგუნურნი შენს უბრალო ცხოვრებას აწერდნენ შენს ვითომც და სიძუნწეს. საწყლები რა რიგ სცდებოდნენ! განა ძუნწი ეწოდება იმ კაცს, რომელმაც თვისი შეძლება მოახმარა ქვრივ-ობლებსა, მონასტრებსა, და მწიგნობრობას? აი ეს მონასტერი, ეს ტაძარი ღაღადებს, თუ როგორი ძუნწი იყავი შენა. ნეტავი შენისთანა ძუნწი ათიოდე იყვეს ჩვენში!

ყოვლად უსამღვდელოესო! გვრწამს, რომ ღმერთმა შენ საუკუნო ბედნიერი ცხოვრება მოგაგო. შენ სდგეხარ წინაშე

ღვთისა და მის ნეტარებას სჭვრეტ. დარწმუნებულნი ვართ, რომ შენ ქართველ ერს ხშირად მოიგონებ და შესთხოვ უფალსა, რომ განამტკიცოს მასში სიყვარული, ძმობა, ერთობა, დაამყაროს მასში მშვიდობა, და წარუმართოს მას განათლებაში.

ალავერდის ეპისკოპოსი დავითი.

სიტყვა.
თქმული, არქიმანდრიტ ამბროსის.

„ეგრეთ ჰბრწყინევდინ ნათელი
თქუჷნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი
თქუჷნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუ-
ჷნსა ზეცათასა“ (მათეს სახ. თ. 5, 16)

ესეც კიდევ ერთი მსხვერპლი ამ მოკლე დროში. გაუმაძღარ და შეუბრალებელ სიკვდილმა საქართველოს მოსტაცა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. თუმცა კაცი ღვთისაგან დაწესებულ ბუნების კანონს ვერ გადაუვა და ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ კიდევაც გადააცილა თვისის ხანგრძლივ სიცოცხლით იმ ზომას, რომელიც დადებულია რჩეულთათვის (ფსალმ. 89,10), მაგრამ ამ ნაირ ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანთა მიცვალებას კაცის გული მაინც ვერ ურიგდება. მას უნდა ყოველთვის ჰყავდეს იგი სამშობლო მხარის ნუგეშად.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს თავდადებული მოღვაწეობა მშობლიურ ეკლესიის და სამშობლო მხარის აღორძინებისათვის უდიდესი მისაბაძი მაგალითია ჩვენ ქართველთათვის, მისი სხივოსანი სათნოებიანი სახე მუდმივი საუკეთესო გზის მაჩვენებელია.

„ეგრეთ ბრწყინავდიან ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“-ო, გვიბრძანებს ქრისტეს წმიდა მოძღვრება და გვითითებს ამ დიდებულ ცხედარზე, – განსვენებულის ხანგრძლივ, სათნოებიან და სახელოვან მოღვაწეობაზე.

რომელი ერთი განსვენებულის სათნოებით სავსე ხანგრძლივ, ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრების მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება?! ჩვენ არ ძალ-გვიძს ამ მოკლე

სიტყვაში სავსებით დავახასიათოთ მისი ღირს-აღსანიშნავი ცხოვრების ყველა მხარეები, ამისათვის საჭიროა მეტი დრო და მეტი ნიჭი და მჭევრმეტყველება.

განსვენებულმა ყოვლად სამღვდელომ გვასწავლა ჩვენ, რამდენათ შეიძლება ამ უკუღმართ დროშიაც ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანენი, – ქრისტიანული იდეალების მატარებელნი, როგორც მატარებელი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულისა, – იმ სიყვარულისა, რომელიც ყველას ერთ რიგათ უნდა ეფინებოდეს, – არ არჩევდეს ახლობელს არა ახლობელისაგან, – რომელიც უნდა ავიწყებინებდეს პირად ინტერესებს და აბედვინებდეს სიცოცხლის შეწირვას მოყვასისათვის, – როგორც მატარებელი ამნაირი სიყვარულისა, ის თვისის ცხოვრებით გვიმტკიცებს, რომ ეს ქრისტესაგან მის მიმდევართათვის დახატული იდეალი ამ ქვეყნად შესაძლებელია განხორციელდეს. ჯერ ისევ სტუდენტობის დროს, როდესაც ყაზანის მხარეში ხოლერა მძვინვარებდა, განსვენებული უშიშრად და თავგანწირულად ემსახურებოდა ამ საშინელი სენით შეპყრობილთ განურჩევლად მათი ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა. მისი თავგანწირულობა მოძმეთათვის, მისი მოურიდებლობა ამ საშინელ და მეტადრე მაშინ თავზარ-დამცემ სენისა აცვიფრებდა ყველას, რაც ხაზგასმით აღნიშნულია თვით ყაზანის აკადემიის ისტორიაში. ეს ერთი ფაკტიც მშვენიერად ახასიათებს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ქრისტიანულს ცხოვრებას. ასეთივე დარჩა განსვენებული უკანასკნელ წუთამდის. ის თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ამ ქვეყნად მრავალფერად ასრულებდა ამ დიად მცნებას, – მცნებას მოძმეთა სიყვარულისას.

მისი ქველმოქმედება, მისგან აღდგენილნი ქართველთა კულტურის მაჩვენებელი ნაშთები, მისგან გამოცემული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ჩვენ წინაპართა ნაწარმოებნი, მისის საფასით აღდგენილნი, მშობლიური გალობა, მისი შრომა და სიქველე მამულის შვილთა აღზრდაში, – ბერობის აღდგენა-გაძლიერებისათვის ზრუნვაში და მრავალი სხვა მისი ამნაირი ღვაწლი ყველასაგან ცნობილია. მისი ღრმა სარწმუნოება ცხოვრებაში განხორციელებული, სიყვარული სამშობლო ქვეყნისა თვით მისი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მჭიდროდ შეკავშირებული, – მისი პირუთვნელობა, უშიშრობა ამ სოფლის უფალთა და ძლიერთა მხილებაში და მრავალი სხვა მისი სათნოებიანი სულის თვისებანი ხდიდა მას ნამდვილ წარმომდგენელად იმ ძველი ჩვენი წმ. მამათა, რომელთა მრავალმხრივმა ღვაწლმა დაიცვა ჩვენი სარწმუნოება, ენა და ეროვნება მოზვავებულ-აუარებელი მტერთაგან. ყველა ამაებზე უკვე ბევრი თქმულა და დაწერილა და მეც აქ არას ვიტყვი.

ვიტყვი ორიოდე სიტყვას მხოლოდ იმაზე, რაც აქ არ თქმულა, – განსვენებულის მოციქულებრივ მოღვაწეობაზე

აფხაზეთში. ღმერთმა პირველ ხანებში მას არგუნა სამსახური
და მოღვაწეობა ამ საქართველოს განაპირა მხარეში ჯერ
როგორც აფხაზთა შვილების აღმზრდელს, შემდეგ როგორც
მისიონერ-მქადაგებელს და ბოლოს როგორც მწყემსთ-მთავარს.
ის მუდამ თავგანწირულათ ემსახურებოდა აფხაზთა მოქცევის
საქმეს, – არ ზოგავდა საკუთარ საშვალებას შკოლათ დაარსე-
ბისათვის, – თავის ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამ-
ზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ, – მედ-
გრად იცავდა სამღვდელოების და სამწყსოს ინტერესებს, უხ-
ვად ეწეოდა ქვრივ-ობოლთა, მის და სამწყსოს შორის არსე-
ბობდა მამაშვილური კავშირი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრი-
სტიანულ სიყვარულზე. მას არ უყვარდა მდიდრული ცხოვ-
რება, სცხოვრობდა თითქმის ეგრეთვე სადათ, როგორც ერთი
უკანასკნელი ღარიბი მის სამწყსოთაგანი. ეს სადა ცხოვრება,
ეს ხალხთან სიახლოვე ხდიდა მას ნამდვილ ძველ მშობლიურ
ეკლესიის მწყემსთ-მთავართა მსგავსად.

მოვიყვან ერთს მგალითს იმისას, თუ რანაირი გავლე-
ნა ჰქონდა განსვენებულის ამნაირ ცხოვრებას ხალხზედ, რა ნაირი
უზომო ნდობა ჰქონდა დამსახურებული თვით მაჰმადიან აფხაზთა
შორის. 1866 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ აფხაზების უმ-
რავლესობა იძულებული გახდა გადასახლებულიყო ოსმალეთში.

ამ უბედურ დროს, როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტია-
ნის სახელის მატარებელი საზიზღარი იყო, მხოლოდ ყოვ-
ლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი,
მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდო-
ბოდნენ.

აი, ამ ხანებში მწყემსთ-მთავართან შემოდის ერთი მაჰმა-
დიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავისის თორმეტი წლის შვი-
ლით. როდესაც ყოვლად სამღვდელომ ჩვეულებრივი ალერ-
სიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსვლის მიზეზი, უკანასკნელ-
მა მოახსენა შემდეგი: „შენთან მოვედი, კეთილო მწყემსო
და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ
ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავსტოვო
შენთან. მეტი არა გამაჩნია რა, ცოლი და სხვა შვილები ადრე
დავკარგე. არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მა-
ინც ვსტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს. არ მინდა ჩემი
უბედურება გავუზიარო ჩემს ერთად-ერთ შვილს და შენთან
მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრი-
სტიანულათ და იქნება ბედნიერი”-ო.

თვალ-ცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს,
რომელიც განსვენებულის მეოხებითა და საფასით აღიზარდა
და მღვდელობაში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას
აფხაზეთში.

ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია. ამნაირ განწყობილო-
ბას სამწყსოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა. იწყეს აფხაზთა

ქრისტიანობის მიღება, რომელიც კიდეც დამთავრდა თითქმის 80-იან წლებში ნეტარ ხსენებული აფხაზეთის მეორე მოციქულის დროს. ამის შემდეგ განვლო საკმარისმა დრომ. ქრისტიანული საქმე პროგრესულად დენის ნაცვლად რეგრესიულად მიმდინარეობს. უკანასკნელი ცნობებით, რამდენიმე სოფელმა უკვე უარყო ქრისტიანობა. მიზეზი ცხადია: არ არიან ალექსანდრე-გაბრიელისებრი მოციქულნი.

ნეტარ-ხსენებულო მწყემსთ-მთავარო, სხვა შენი მრავალ მხრივ ღვაწლთან ერთად ამასაც არ დაივიწყებს ქართველი ერი, აფხაზეთის ქრისტიანი ნაწილი და იქაური სამღვდელოება.

განისვენე, ქართველთა მამაო და კეთილო მწყემსთმთავარო, ზეგარდმო მადლით ცხებულო მოღვაწევ, აღმაშენებელად წოდებულო, – განისვენე ამ შენგან განახლებულ-გამშვენებულ ტაძარში. ეს წმ. ტაძარი იქნება საუკუნო შენგანვე შემნილი ნივთიერი ძეგლი შენს საფლავზე და ყოველ ქართველის გულში კი გედგმება სამუდამო უხილავი ძეგლი.

ილოცე, ჩვენო ახალო ღვთის წინაშე შუამდგომელო, – ილოცე სხვა ჩვენ წმ. მამებთან ერთად სამშობლო მხარის ქრისტიანულად და კულტურულად აღყვავებისათვის. ამინ.

არქიმანდრიტი ამბროსი.

სიტყვა.
თქმული ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს დასაფლავებაზე.

დიდებულო მწყემსთ-მთავარო!

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გინახულე მე შენ ამ, შენგან გამშვენებულ და აყვავებულ, მონასტერში, რომლის ხავს-მოკიდებული კედლები უნებლიეთ მაგონებდა სახელოვან წარსულს ჩვენის, აწ დაკნინებულ, ეკლესიისას, იმ ეკლესიისას, რომლის სამსახურს შესწირე შენ შენი ხანგრძლივი სიცოცხლე. მაშინ შენთან ერთად ვიგონებდი ღვაწლსა და მოქალაქეობას ჩვენთან ძველი დროის მწყემსთ-მთავართა, ეხლა კი, სამი თვის შემდეგ, მოვსულვარ აქ, რათა ამ მღვიმე-მაღაროებთან ერთად ვიგლოვო ჩასვენება იმ ცხოველ-მყოფელ ვარსკვლავისა, რომელიც ნახევარ

საუკუნის განმავლობაში არა თუ ოდენ ანათებდა, არამედ ყველას და ყველაფერს ანათლებდა.

დიახ, მეუფეო, შენ მთელი ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ანათლებდი ქრისტიანობრივ სწავლა-მოძღვრებით შენს მშობლიურ ერსა და ეკლესიას. მონატრულმა, ჯვარმტვირთველმა საქართველომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თითქოს დასტოვა ძველთაგან ნაანდერძევი გზა და ანაზდეულათ პირი იცვალა. სარწმუნოებრივ შემოქმედებითი გრძნობა და ნიჭი, რომლითაც ცხოველ იყო და ძლიერ იგი ძველად, შესამჩნევად შესუსტდა. რიცხვი იმ განათლებულ სამღვდელო პირთა, რომელნიც სათავეში უდგენ ძველად ქართულ განათლებას და ქმნიდენ ქართულ კულტურას, შემცირდა, თითქოს მოისპო. მონასტერი აღარავის იზიდავდა, რის გამო ის დაცალიერდა და შესანიშნავ ეკლესიებთან ერთად ნანგრევებათ იქცა. სწორეთ ამ დროს გამოდი შენ საშობლო ყანაში სამუშაოდ, მხნედაც შეუდექი საქმეს.
შენ იყავი პირველი, მაღალი სწავლით აღჭურვილი, ქართველი, რომელმაც ბერობის მძიმე უღელი იტვირთე, რომ მით გაგეადვილებინა თავის თავისთვის სამსახური მშობლიურ განათლებისათვის. ჯერ სწავლის დასრულების შემდეგ, შენ თვითონ, პირადათ, ჩაუდექი სათავეში ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს, – ამას დაამოწმებს აფხაზეთი, ქუთაისი და სხვა კუთხეც ჩვენი ქვეყნისა, ხოლო როდესაც მიწვეულ იქმენ საეკლესიო იერარქიის უმაღლეს ხარისხზე, ამ საქმეს ემსახურებოდი მას შემდეგ მატერიალურად, მრავალ-გვარ და ისე შეწირულებით სხვა და სხვა სამოსწავლო დაწესებულებაში. მუდამ დაუღალავი, პრაკტიკულ საქმიანობით შებოჭილი, შენ არ ეკუთვნოდი მღვდელთ-მთავართა იმ ჯგუფს, რომელთაც თავიანთი კაბინეტურ ნაწარმოებით და ქადაგებათა კრებულით სურთ ემსახურონ სამწყსოს, თუმცა ამ მხრივაც არ დაგიზოგავს ძალ-ღონე გამოგექვეყნებია და გაგეცნო მკითხველი საზოგადოებისთვის საუკეთესო საერო და სასულიერო ნაწარმოებნი ჩვენ დიდებულ წინაპართა. გარდა ამისა შენ კარგად გქონდა შეგნებული, რომ ჩვენ სწავლა-განათლებას ძველად ქმნიდა განსაკუთრებით ორი უმთავრესი ფაკტორი: მონასტრებში ბერობა და სოფლად კი დედა, ეს ოჯახის კერა, რომელიც წერა-კითხვის ნაკვერჩხალს გაუქრობელად იცავდა და გადასცემდა შვილთა და შვილის-შვილთა, ამისთვის პირველ ყოვლისა შენ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციე ჩვენში ბერობის მიძინებულ სულის გაცხოველებას და, მართლაც, შენი მაგალითის მიბაძვით არა ერთი და ორი ღვთის-მოსავი, სწავლითა და ცოდნით აღჭურვილი ბერი და მონაზონი შეეძინა საქართველოს. შენ დარწმუნებული იყავი, რომ, როგორც თევზი ვერ მომრავლდება უწყლოთ, ისე ბერობა უმონასტროთ, ამისთვის

გულ-მოდგინეთ მიყავი ხელი ძველ ეკლესიას და მონასტერ-
ლავრათა განახლებას და ბევრგან, სადაც წინეთ ყვავ-ბუთა
ჩხავილი ისმოდა, დღეს ატკბობს ყურს მომხიბლავი ხმა ქარ-
თულ საეკლესიო გალობისა, რომელიც შენი მეოხებით და
საშვალებით გადარჩა დავიწყებას, განახლდა და დაიბეჭდა.
რაც შეეხება დედათა მნიშვნელობას სწავლა-განათლების
წინ-წაწევაში, შენ ეს აღნიშნე სამოციან წლებში, როდესაც
თავი წამოყო ჩვენში სასულიერო წოდების ქალთათვის სა-
კუთარ სასწავლებლის დაარსების საკითხმა. ამ საკითხის აღ-
ძვრაში და განხორციელებაში შენ მიგიძღვის უპირველესი
ღვაწლი. შენის დახმარებით და მეცადინეობით. 1878 წელს
თბილისში დაარსდა ისეთი დაწესებულება, რომელმაც დღე-
ვანდელ დღემდე გამოუშვა რამოდენიმე ათასი განათლებუ-
ლი ქალი და სადაც შენი უხვი შეწირულების მეო-
ხებით არა ერთი და ორი უმწეო და ობოლი გაზრდილა: მე
მაქვს სახეში თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლე-
ბელი, რომელმაც დღეს გამომგზავნა მე აქ, რათა თაყვანი
ვსცე შენს გაცივებულ გვამს და გთხოვო ევედრო უფალსა
და ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობელს მის წარმატება და აყვა-
ვებისათვის.

ასეთი ღვაწლი მიგიძღვის შენ, მეუფეო, წმიდაო, სამშობლოს
წინაშე, რომლის კეთილ-დღეობისათვის შენ, როგორც გით-
ხრა ერთხელ ჩვენმა აწ განსვენებულმა მგოსანმა, „გშიოდა
და არ სჭამდი, გწყუროდა და არ სვამდი, გციოდა და არ
თბებოდი“. აი, ასეთი გულ-შემატკივარი მამა უნდა დაფვა-
როს დღეს ჩვენგან შავმა მიწამ, ვითარცა ერთხელ ღრუბელ-
მა წინასწარმეტყველი ილია თვალთაგან ელისესათა; ჩვენ მე-
ტი არა დაგვრჩენია რა, რომ ელისაებრ მუხლ-მოდრეკით
შემოგტიროთ, გვამო პატიოსანო: „მამაო, მამაო, ეტლო
ივერიისა და მხედარო მისო“, გარდამოგვიგდე ხალენი შენი,
რომ მან დაამკვიდროს ჩვენში და განამტკიცოს სული სიმ-
შვიდისა, ქველობისა, უანგარობისა და სამშობლოსადმი სი-
ყვარულისა, რომელითაც გამჭვალულ იყავი შენ ამ ქვეყნად.

დეკ. კ. კეკელიძე.

სიტყვა:
დეკანოზ ნ. თალაკვაძისა.

ჩვენს ლაჟვარდოვან სამშობლო ცას ზედი-ზედ სწყდება და ისტორიის უსაზღვრო სივრცეში ცვივა წარსულ საუკუნის მისი მნათობნი, ქართველ ერის ჭირისუფალნი, მომვლელ-პატრონნი...

ჩვენმა სამშობლომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ პირობებში ჩასდგა ფეხი. ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი მართვა გამგეობა ერთ მორწმუნე რუსეთის ხელში გადავიდა; გარნა ახალმა მთავრობამ, მზრუნველებმა თავისებურად შეხედეს თვისს მისსიას საქართველოში და ამიტომ იწყეს ჩვენი ქვეყნის წეს-წყობილების თავიანთ გემოზე გარდაქმნა, ჩვენი ერის სულის განწყობილების, მის ათასი წლობით შემუშავებულ კულტურის რუსულ დარიჯაკში ჩამოყალიბება, ყველგან და ყველაფერში ჩამოერთვა ჩვენს ერს ინიციატივა, შესწყდა მისი შემოქმედებითი ნიჭის თავისუფალი ვარჯიშობა. ჩვენმა ერმა ისტორიულად მიიძინა; გარნა ეს ძილი, თუ ის ხანგრძლივ – საღათას ძილად გარდაიქცეოდა, უქადდა ჩვენს ერს ეროვნულ სიკვდილს, ეროვნულ გადაშენებას.

მაგრამ, არა, – ქარაველმა ერმა, იმავ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შესძლო წამოეყენებია მთელი წყება, მთელი რიგი თვისს აწ სასიქადულო შვილთა, რომელნიც არ დაიბნენ სამშობლო ისტორიის ახალ ხანაში; მათ კარგათ შეიგნეს და ერსაც შეაგნებინეს, რომ საქართველომ მოსჭამა გმირობის ხანა, როდესაც ის ხმლით ხელში განუწყვეტლივ იგერიებდა ყოველ მხრიდან შემოსეულ ურიცხვ მტერს და დადგა ხანა კულტურულ ბრძოლისა; ამ ბრძოლისათვის ანგარიშის გასაწევად კი საჭიროა სხვა იარაღი, – იარაღი მეცნიერებისა – სწავლა – აღზრდა – განათლება; საჭიროა ამ იარაღით ისე აღიჭურვოს ქართველი ერი, როგორც ის წინეთ თავით ფეხებამდის იყო ჩამჯდარი ხმალ-დამბაჩა ფარ-ჩაჩქანში და მტერს მეხივით თავს ეცემოდა...

ქართველ ერით ასეთ ქადაგთა, ქართველ ერის თვითცნობიერებაში მომყვანთა გუნდს ეკუთნოდა აწ განსვენებული ყ˜დ სამღვდელო ალექსანდრეც. – საქართველოს ჰყავდა მეფე დავით აღმაშენებელი, იმავ საქართველოს დაბეჩავებულ ეკკლესიას აწ ჰყავს მღვდელმთავარი ალექსანდრე – აღმაშენებელ განმაახლებელი! აფხაზეთიდან დაწყებული ჩვენს სამშობლოში არ არის ისეთი ცოტად-თუ ბევრად ჩვენს ისტორიაში ცნობილი საყდარ-მონასტრები, რომელთა აღშენება-განახლებისთვის არ მიექციოს განსვენებულს ჯეროვანი ყუ-

რადღება და უხვი შეწირულებით არ გაემშვენებიოს და არ
გადაერჩინოს განადგურებისაგან. აი თვით ათცამეტ სირიელ
მამათაგანის ღირსი შიოს სავანე, სადაც განსვენებულმა უკა-
ნასკნელად აღმოიფშვინვა და ჩააბარა თვისი სული მაცხო-
ვარს, – ეს გამშვენებულ-აღდგენილი სავანე – ყ˜დ უსამღვდე-
ლოესი ალექსანდრეს უხვი შეწირულების, მამობრივი მზრუ-
ნველობის ნაყოფია!

მოვიგონოთ ყ˜დ სამღვდელოს საფასით განახლებულნი
ზედა-ზნის მონასტერი, ჯვარის ეკკლესია მცხეთაში, დავით
გარეჯის მინასტერი, თვით მცხეთის ათ-თორმეტ მოციქულ-
თა დიდი ტაძარი, რომლის განახლებას მან ჩაუყარა საძირ-
კველი თვისის უხვი შეწირულებით. მოვიგონოთ ის შეწირუ-
ლებაც, რომელიცა ამ ცოტა ხანში გადასდო განსვენებულმა
ქართველთ პირველ ქრისტიან მეფე მირიანისთვის ძეგლის ასა-
გებათ და მრავალი სხვა.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა განსვენებული ქარ-
თულ მწერლობის ძველ ხელთნაწერ ნაწარმოებთა დაბეჭდვა-
გამოცემას, რომელსაც მოახმარა დიდ-ძალი საფასი და მით
კეთილი მაგალითი მისცა სხვა ქველ მომქმედთ – განაგრძონ
ეს კულტურული საქმე განსვენებულისა.

მოვიგონოთ მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზრუნვა განსვე-
ნებულისა, მას რამდენიმე სტიპენდია აქვს დაარსებული სა-
სულიერო სასწავლებელში, სემანარიაში თუ დედათა ეპარ-
ქიალურ სასწავლებელში; რამდენ ღარიბ მოწაფისთვის შეუ-
მსუბუქებია განსვენებულს სწავლა-განათლების მიღება!..

ქველ მოქმედებითი სიუხვე განსვენებულისა ფრიად სა-
გულისხმოა და შთამომავლობისათვის მისაბაძი. იმისი უბრა-
ლო, და ჭეშმარიტი ბერული ცხოვრება, იშვიათი მოვლენა-
ღაა ჩვენს ფუფუნების დროში: თვითონ ეძლეოდა მოთმინე-
ბას, მარხულობას, ხარჯავდა თავის-თავზე სულ ცოტას, რომ
რაც შეიძლება მეტი საქველ-მოქმედო საქმე შეესრულებია.

ჩვენთვის, განსვენებული ყ˜დ უსამღვდელოესი ალექსან-
დრე მეცხრამეტე საუკუნის ცოცხალ მატიანეს წარმოადგენ-
და, – დაიბადა რა წარსულ საუკუნის თითქმის დასაწყისში
განსვენებულმა მხნედ გადმოლახა მეოცე საუკუნის პირველი
წლები; – ის მოწამე გახდა უკანასკნელი წლების მძლავრ მო-
ძრაობისა მთელს იმპერიაში; იმან თავისი თვალით დაინახა,
რომ ქართველი ერიც არ ჩამორჩენია ქვეყნიერებას, მას მრა-
ვალ ფერი და მრავალ-შინაარსიანი განვითარება მიუღია,
რომ ისიც მძლავრად ჩაბმულა კაცობრიობის წინ სვლის ფე-
რხულში თვისის საკუთარი ღირსებით და ნაკლულოვანებით...

განსვენებული თვისის ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში
მოწამე იყო ივერიის ეკკლესიის დაქვეითებისა, დამცირებისა,
ივერიის მწყემს-ცხოვართა ერთმანეთზე დაშორებისა, რასაც
შედეგათ მოჰყვა ქართველ ერის სარწმუნოებრივი განელ-თბი-

ლება. შიგა და შიგ სარწმუნოებრივი გავერანებაც. – ხედვიდა ყოველივე ამას განსვენებული, გული უკვდებოდა – ემდუღ-რებოდა, მაგრამ უღონო იყო შებრძოლებოდა რკინის ჯაჭვე-ბით შებოჭილ მდგომარეობას. – სწორედ იმ დროში, როდე-საც განსვენებულს მწყემს მთავრული მოღვაწეობების მხნე სამსახური შეეძლო, ის სასულიერო მთავრობას ქორ-ეპისკო-პოზად ჰყავდა სიონის ტაძრის ეზოში დაყენებული, მას არავი-თარი უფლება არ ჰქონდა ჩვენი ერის სარწმუნოებრივ ცხო-ვრებაში აქტიურათ ჩარეოდა, თუმცა, სადაც კი ხელი მიუწ-ვდებოდა, თამამად და მოურიდებლად ამხილებდა და ჰგმობდა ყოველივე ცუდ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას; ის ასეთ შემ-თხვევაში, მოციქულ პავლეს მცნებისამებრ, არ დაგიდევდა არც დროს, არც ადგილს, არც ძლიერთა ამა სოფლისათა...

არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ ის ოთხიოდე წელიწადი, რომლის განმავლობაში განსვენებულს მინდობილი ჰქონდა გურიის ეპარქიის მმართველობა. ამ ოთხიოდ წელიწადს – თვის ხანგრძლივ სიცოცხლის საუკეთესო ხანად სთვლიდა განსვენე-ბული! ის სიამოვნებით და თან თვალ-ცრემლიანი მოიგონებ-და ხოლმე თუ როგორ შეეტკბო – შეუკავშირდა ის პატარა გურიის სამწყსოს, თუ შემდეგ როგორ გათიშულ იქმნა მწყე-მსი სამწყსოსაგან, როდესაც გურიის ეპარქია გააუქმეს, გუ-რია-სამეგრელოს ეპარქია შექმნეს და ამ ეპარქიას დაუყენეს ეპისკოპოზად გრიგოლ დადიანი, ხოლო ყ˜დ სამღვდელო ალექსანდრე კვლავ თბილისში დააბრუნეს ისევ ქორ-ეპისკო-პოზად!

ჩვენმა სასულიერო მთავრობამ მხოლოდ ღრმა მოხუცე-ბულობის დროს მიანდო განსვენებულს ხსენებული ეპარქია. მაგრამ ვს უკანასკნელი ისეთ მდგომარეობაში დახვდა ყ˜დ სა-მღვდელო ალექანდრეს, რომ იმისი მართვა-გამგეობა, წესიე-რებაში მოყვანა აღემატებოდა მის მოხუცებულ ძალ-ღონეს. ამიტომ ეპარქიის სვე-ბედი ფაქტიურად ხელთ ეპყრათ ისევ ბიუროკრატულ ეპარქიალურ კანცელარიის დამქაშებს და თითქმის იმავ და ისეთ პირთ, რომელთაც გრიგოლ ეპისკო-პოზის დროს გააძვალტყავეს ეპარქიის სამღვდელოებაც და სამწყსოც...

ღრმა მოხუცებული ეპისკოპოზი ბოროტ ადამიანთ ხში-რად შეჰყავდათ შეცდომაში; პატივცემულ ეპისკოპოზის ზურგს უკან ამოფარებული ბნელი ნდობას, მის უსაზღვრო ძალები, პი-რად ინტერესებით დაბრმავებულნი, სასულიერო თუ საერო პირ-ნი, ერთმანერთს თითქოს ეჯიბრებოდენ უკანონობის და უზნეო-ბის ჩადენაში, – ეპისკოპოზს-კი აჩვენებდენ თავს როგორც უერ-თგულესნი მისი მსახურნი და იდეიური „საზოგადო მიღვაწე-ნი“ ნამდვილად-კი იგივე ცრუ საზოგადო მოღვაწენი აშკა-რად დასცინოდნენ მოხუცის გულუხვობას, მისს უსაზღვრო გულ-კეთილობას – ამისდა მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია თამა-

მად ვსთქვათ, რომ ზნეობრივ სიფაქიზეს განსვენებულისას ოდნავადაც არ მიჰკარებია რაიმე ჭუჭყი, სამწყსოს თვალში ისევ ძვირფასი, ისევ სათაყვანებელი და სასოების მომგრველი მღვდელ-მთავარი იყო...

ამ უკანასკნელ სამ წელს განსვენებული განდეგილობდა შიოს წმინდა სავანეში, საიდანაც ბეჯითად თვალ-ყურს ადევ-ნებდა ის ჩვენი ქვეყნის ავ-კარგსა. განსვენებულის განსაკუთ-რებულ ყურადღებას იპყრობდა წამოყენებული ქართველთ საეკლესიო საკითხი – ივერიის ეკკლესიის დამოუკიდებლობის, თვით-გამორკვევის უფლების აღდგენა, რომ მით, ერთხელ მორწმუნედ ცნობილი, ქართველი ერი კვლავ შემოკრებს თვისს ეკკლესიის გარშემო, დაუბრუნდეს ქრისტეს სახარების მოძღვრებას, რომელსაც ჩვენი ერი, და არა ჩვენი მხოლოდ, ასე ხელოვნურად ჩამოშორებულ იქმნა და თან და თან უფ-რო შორდება...

მოხუც-განდეგილის სული აღაშფოთა სასიქადულო მგოს-ნის და ადამიანის – ილიას – ვერაგულმა სიკვდილმა. მოხუცს გულმა აღარ მოუთმინა, მოიკრიბა უკანასკნელი თვისი ძალ-ღონე და პატივი სცა დიდებულ მამულიშვილს – უსისხლო მსხვერპლის შეწირვით, საფლავის პირზე მიცილებით და მა-მობრივ ცრემლების დატირებით. ეხლა კი თვით განისვენა! – შეუერთდა სულმნათ დიდებულ წინაპართ, რომ მათთან ერ-თად შეავედროს ღვთის მშობელს წილხდომილი – დღეს გა-დაბუგულ-აკლებულ-დამშეული მისი საქართველო, – გვაკ-მაროს ამდენი ტანჯვა-ვაება, გადმოგვხედოს თვისის დედო-ბრივი მზრუნველობით, აღგვიდგინოს მშობელი ეკკლესია, რათა ერთითა პირითა და ერთითა გულითა ღირსებით ვადი-დებდეთ ძესა მისსა და უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა, ამინ.

სიტყვა,
დეკანოზი კალისტრატე ცინცაძისა

მეუფეო წმიდაო! უამრავი ხალხი, რომელიც გარს ახვევია ჯერ კიდევ გაუციებელს შენს ცხედარს და მოელის შენგან უკანასკნელს ლოცვა-კურთხევას, შეუკრებია აქ ნათელსა საქ-მეთა შენთა კეთილთა, რომელთა შენს სიცოცხლეში უხვად სთესდი, მწყემსო კეთილო. მაგრამ ამა საქმეთა ჩამოთვლით

მე არა მსურს შენი შეწუხება: შენ არ გიყვარდა შენს საქ-
მეებზე ლაპარაკი. მე ვკადნიერდები და მოვაგონებ შენთ პა-
ტივის მცემელთ ერთ მხარეს შენის მოღვაწეობისას, სახელ-
დობრ, – შენს ზრუნვას ბერ-მონაზონების განახლებისათვის
ჩვენში…

მართალია, დღეს ბერ-მონაზონებას პატივი აღარა აქვს
საზოგადოების თვალში, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ
მონაზონობის უმეტესობამ უღალატა თავის პირდაპირ დანი-
შნულებას. დღეს თუ მონაზონობის უმრავლესობას შეადგე-
ნენ უსაქმოდ ცხოვრების მოყვარენი, წინად ასე როდი იყო.
წინად მონაზონობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღაწეობა
სინონიმები იყვნენ. წინად ქართველი თუ სტოვებდა დედას
და მამას, დებსა და ძმებს, სახლ-კარს და მეზობლებს და მი-
დიოდა მონასტერ-უდაბნოში, იგი ამ შემთხვევაში თავის თა-
ვისთვის როდი ზრუნავდა, არამედ თავს სწირავდა მამულს,
ვიწრო ფარგლიდგან გამოდიოდა ფართო ასპარეზზედ სამუ-
შავოდ, ხელს უწყობდა ერის განვითარებას, განსწავლას, გა-
თვითცნობიერებას, განძლიერებას და განფაქიზებას; პატრო-
ნობდა ქვრივ-ობოლთ და გლახაკთ-დავრდომილთ, იმედს
უნერგავდა გულში და ნუგეშსა სცემდა ტვირთ-მძიმეთა და
მაშვრალთ, ამხელდა და შეაჩვენებდა ძლიერთა ქვეყანისათა,
როცა იგინი გადაუხვევდნენ ჭეშმარიტებისა და სიმართლის
გზას. ამისთვისცა იყო, რომ სანამ ბერ-მონაზონობა თავის
დანიშნულებას ემსახურებოდა და მოვალეობას ასრულებდა,
– საქართველოც იზრდებოდა და ჰყვაოდა, ხოლო როცა
ბერ-მონაზონობა დაეცა, – საქართველოც დაქუცმაცდა, და-
ნაწილდა, დაეცა...

ყოველივე ეს გათვალისწინებული გქონდა, მეუფეო წმი-
დაო, და ამიტომაც შენი ძალ-ღონე შეალიე ჭეშმარიტების ბერ-
მონაზონობის აღდგენას და განახლებას ჩვენში და ამ განახ-
ლებისათვის ზრუნვა შენ ქვათა და აგურთაგან, ჭერთა და კე-
დელთაგან თვით ბერ-მონაზონთა სულსა და გულზედ გადაი-
ტანე. შენ ჩააგონე და შეაგნებინე ბერ-მონაზონთ, რომ სუ-
ლის ცხონება მარტო ლოცვით არ მოიპოვება, რომ სულის
საცხონებლად ლოცვასთან ერთად საჭიროა გარჯა-მუშაობა
მოყვასთა სასარგებლოდ. ამისთვის, თუმცა შენ მიერ შეყვა-
რებულის შიოს ბერ-მონაზონობის უშრომლად ცხოვრება შე-
ნის უხვის შეწირულებით უზრუნველ-ყოფილია, მაგრამ შენ
მაინც შეასწავლე და სეაყვარე მათ მეფუტკრეობა, მევენახე-
ობა და მებოსტნეობა. შენ თითონ გაიჩინე ბოსტან-ვენახი,
სადაც მადლით შემოსულთ ხელთა შენთა დღე-მუდამ უმუ-
შავნია ამ მოხუცებულობის დროსაც კი. შენმა მაგალითმა
ისე იმოქმედა ბერ-მონაზონებზედ, რომ ყოველმა მათგანმა
გაიჩინა ბოსტან-ვენახი, რის გამოც დღეს ამ უდაბნოს ამშვე-
ნებენ და აცოცხლებენ ეპისკოპოსის, მაქსიმეს, შიოს და ილა-

რიონის ბოსტან-ვენახი. ამ საზოგადო მუშაობამ დაყუდებु-
ლი საბა ბერიც კი გაიტაცა და მასაც აუღია ხელში წალდი და
თოხი და შესდგომია ტყის გამოწმენდას და ნიადაგის დამზა-
დებას ბოსტან-ვენახის გასაშენებლად. შეასწავლე და შეაყვა-
რე-რა ბერ-მონაზონთ შრომა-მუშაობა, შენვე მოუპოვე მათ
საუკეთესო ნერგი და თესლეულობა იმ პირობით, რომ ახა-
ლის მოსავლისაგან თესლეულობა გაევრცელებიათ მეზობლად
მდებარე სოფლებში. შენ მიერ დადებულის პირობის ბერ-
მონაზონთაგან შესრულება, როგორც დასაწყისი მონასტრის
სოფლისადმი სამსახურისა, შენ გახარებდა და გახალისებდა, და
ამის გამო განზრახული გქონდა დაარსება ახლო მომავალში
ყველასათვის მუდამ კარ-ღია წიგნთ-საცავის და ათთიაქისა,
ხოლო შემდეგ, ბრძანე შენ ამ ორიოდე თვის წინად, იქნება
ქსენონის დაარსებაც მოვახერხოო, ბევრი ხალხი იხოცება
სოფლებში უწამლოდ და უპატრონოდაო.

ამ რიგად, შენ დააყენე შენი მონასტერი, შენი შიო,
წარსულის დროის მონასტერთა სვლის გზაზედ, და თუ შენ-
მა მოადგილეებმა არ გადაუხვიეს შენ მიერ გაკვლეულ-გაკა-
ფულს გზას, ადვილად შესაძლებელია, როშ ჩვენი მონასტრე-
ბი კვლავ განახლდნენ, განძლიერდნენ და შეიქნენ ტვირთ-
მძიმეთა და მაშვრალთა გზის მაჩვენებლად, პატრონად და
მფარველად, შენის, ალექსანდრე აღმადგენელო, მეოხებით!..

აი, ამ წარსულის დიდების აღდგენის და განახლების გზა-
ზედ დაყენებისათვის გცემთ, მეუფეო, პატივს, ქედსა და მუხლს
ვიდრეკთ შენის ცხედარის წინაშე, სასოებით ვეამბორებით
მადლით შემოსილს შენს მარჯვენას, და ვევედრებით იესო
მაცხოვარს, რომ მან, სახიერმან, დააწესოს უმანკო და ცხო-
ველი სული შენი საყოფელთა მართალთასა, აღგრაცხოს შენ
რჩეულთა თვისთა თანა, ხოლო ჩვენზედ მოიღოს მოწყალე-
ბა და არ გამოგვილიოს შენისთანა მადლით და ღვაწლით-
შემოსილნი მამულის-შვილნი, ამინ.

სიტყვა
თქმული ქართული ფილარმონიული საზოგადოების
წარმომადგენლის ზ. ი. ჩხიკვაძისაგან ყოვლად სამ-
ღვდელო ალექსანდრეს დასაფლავებაზედ.

ყოვლად პატიოსანო!

ობოლთ ნუგეშო, ღარიბთ იმედო! საქართველოს სასი-
ქადულო მამულის შვილო ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე!

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება აქ, წმ. დავით აღმაშენებლის ტაძარში, რომელიც თქვენის მეო-
ხებით განახლებული და გამშვენიერებულია, დღეს უკანას-
კნელად ეთხოვება თავის საპატიო წევრს და უმდაბლესად
ეამბორება თქვენ კურთხეულ მარჯვენას.

ამ ორი წლის წინად, როდესაც მე ქართ. ფილარმონი-
ული საზოგადოების გამგეობის მონდობილობით გიახელით
მომეხსენებინა, რომ მან თქვენი მეუფება, ამოირჩია საპატიო
წევრად, ფრიად გიამათ და მკითხეთ თუ რა მიზანი აქვს ამ
ახალ საზოგადოებასაო. მე მოკლედ მიზანი და დიადი მნიშ-
ვნელობა ფილარმონიული საზოგადოებისა. მე მოკლედ გან-
გიმარტეთ მიზანი და დიადი მნიშვნელობა ფილარმონიული
საზოგადოებისა ყოვლად სამღვდელო, თქვენ ყმაწვილურის
აღტაცებით, აკანკალებულის მით შეაქეთ საზოგადოების
დამაარსებელნი და ის კი დაგავიწყდათ, რომ ჩვენზედ წინ,
თითქმის ოცის წლით, თქვენ მიაქციეთ ყურადღება ჩვენ სა-
ეკლესიო გალობას და მცოდნე პირების შემწეობით დააწე-
რინეთ ნოტებზედ თქვენისავე სასყიდლით დიდ ძალი საეკლე-
სიო საგალობლები.

მე ვგონებ თქვენ უფრო დიდი ქებისა და დიდების ღირსი
ბრძანდებით. ჩვენ მხოლოდ მივბაძეთ თქვენს კეთილს მაგალითს
და საეკლესიო საგალობლებთან ერთად მოვისურვეთ საერო სიმ-
ღერების შეკრება და ნოტებზედ დაწერა, ვინაიდგან ჩვენი
საეკლესიო და საერო მუსიკა ნაყოფია ერთი ხალხისა, ორი-
ვე ქართველის გულიდგან აღმონაკვეთია. საკვირველია რომ
ყოველი კეთილი საქმე საქართველოში უყურადღებოდ არ
იყო დატოვებული თქვენგან და თქვენი მადლიანი და უხვი
ხელი გაშლილი იყო ყველასათვის. მე უბრალო მომაკვდავს
სავსებით არ შემიძლიან დავასურათო თქვენი სამაგალითო და
საარაკო გულის სისპეტაკე. იგი დღეს ჩემზედ უკეთ დაახა-
სიათეს და განმარტეს აქ თქვენთან უკანასკნელ გამოსათ-
ხოვებლად მოსულ პატივცემულ პირებმა. მე მხოლოდ
ამასა გთხოვთ, ყოვლად პატიოსანი მეუფეო, რომ იქ,
საქართველოს ეკლესიის წმინდანთა და მოწამეთა შორის,
რომლის წინაშე თქვენ ღირსეულად წარდგებით და რომელ-
თა გუნდს თქვენი უზაკვრო და სპეტაკი სული უეჭველად
შეუერთდება; იქ იმათ შეგვავედრე და ბოდიში მოგვიხადე მათ
წინაშე თუ აქამდინ ჩვენ ღირსეულად ვერ გაუფრთხილდით
და ვერ დავიცევით, სამწუხაროდ, დამახიჯებისაგან საქართვე-
ლოს წმ. მამათა სპეტაკ გულიდან აღმონაკვეთი და საუკუნო-
ებით განსპეტაკებული, გამშვენიერებული და საარაკო მელო-
დიებით მდიდარი ქართული საეკლესიო გალობანი. შეგვავედ-
რეთ შეგვინდონ ეს თითქმის მიუტოვებელი ქართველური და-

უდევრობა, შეგვავედრე რომ მათის ლოცვით ღმერთმა მის-
ცეს ძალა და შეძლება ჩვენ ფილარმონიულ-საზოგადოებას,
რომ მან სავსებით შეასრულოს თავისი დანიშნულება და აღა-
დგინოს უტყუარად ის ცათ აღმათრენი სასულიერო ჰანგები,
რომლებიც უმეცართა და უვიცთაგან შელახულა და დამა-
ხინჯებულა.

შეგვავედრე სამება ერთ-არსების წინაშე რომ ფილარმო-
ნიული საზოგადოებამ შესძლოს არამც თუ აღდგენა ჩვენის
სათნოებით სავსე საგალობლებისა, არამედ, თვინიერ ამისა,
მოგვეცეს ის შემოქმედებითი ძალა და ნიჭი, რომ საუცხო-
ვოდ და სამაგალითოდ გაგვემშვენებინოს ქართულ კილოთა
საგალობლები.

საუკუნო და დაუვიწყარი იყოს სახელი და ხსენება თქ-
ვენი ყოვლად მოწყალეო მეუფეო, ჩვენ დროის საქართვე-
ლოს აღმაშენებელო ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე!

ზაქარია ჩხიკვაძე.

მარადის-დაუვიწყარო მღვდელთმთავარო!

მოვიდა ჟამი, და მიიღე ქრისტიანობითი აღსასრული
ცხოვრებისა შენისა უჭირველი, მშვიდობითი და ურცხვნე-
ლი...

შევკრებილვართ სრულიად საქართველოს ეკლესსის შვილ-
ნი, მოვსულვართ საქართველოს ყოველი კუთხიდან შენი
პატივისმცემელნი და ვეთხოვებით დღეს შენს წმიდა ნეშტსა.
სხვებთან ერთად ქართველთა წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოებაც უძღვნის ამ შენს წმიდა ნეშტს თა-
ვისის მხრით უკანასკნელ თაყვანისცემასა და სწირავს შენს
საყვარელ მონასტერს ქართველთა მოციქულის წმიდა ნინოს
ხატსა. შეიწყნარე იგი და მიითვალე კეთილ შესაწირავად!

წმიდაო მეუფეო, შენ იყავ ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი, რად-
გან, ქართველთა სარწმუნოებისა და ძველი ეკლესიისათვის
ერთგულ და სამაგალითო მოღვაწეობასთან ერთად, შენ ღირ-
სეულად იღვაწე ჩვენი ძველებური ნაშთების გამოქვეყნებისა
და აღდგენისათვის, აგრეთვე ჩვენს ახალგაზდა ქართველებში
სწავლა-განათლების მოფენისათვის. შენის წყალობით და შენი
საკუთარი საფასით დაბეჭდე მრავალი დიდათ შესანიშნავი

ხელთნაწერი: უშენოდ მალე არა ნახავდენ სტამბასა საბა სულხან ორბელიანის ძვირფასი ლექსი კონი, არა ნაკლებ ძვირფასი სწორმეტყველება „სახელ“ განთქმულის ანტონ ქათალიკოზისა, მისივე მზა-მეტყველება, მრავალი შესანიშნავი გუჯარი და სხვა საბუთები; შენივე თაოსნობით და წარსაგებელით დაიბეჭდა იოანე ოქროპირის წირვის ქართული საგალობელი, ამასაც საეკლესიო დიდ მნიშვნელობასთან ერთად დიდი საისტორიო და საეთნოგრაფიო მნიშვნელობა აქვს. შენის წყალობით არა ერთმა და არა ორმა ახალგაზდამ მიიდო საშუალო განათლება და ზოგმა თვით უმაღლესი განათლებაცა.

მრავალი საბუთი მოწმობს შენს ქრისტიანებრივ კეთილ მოღვაწეობასა. ყაზანის სასულიერო აკადემიის საბუთები მოგვითხრობენ შენი სტუდენტობის დროიდან შენს ქრისტიანებრივ პატიოსანს ზრუნვასა საშინელი გადამდები სენით შეპყრობილი უმწეო ხალხისათვის, და სიყვარულით მოვლასა. აფხაზეთის დაობლებული სამღვდელმთავრო კათედრა და ძველისძველი ტაძრები მოგვითხრობენ შენს სამისიონერო ღვაწლსა ქრისტიანობის აღდგენისათვის და ტაძართა განახლებისათვის. იხილა შენი კეთილი მღვდელმთავრობა ჭყონდიდელთა დაბეჩავებულმა კათედრამაცა და შემოქმედელთა კათედრამაცა... მაგრამ ყველაზედ მეტი ღვაწლი მიგიძღვის შენ იმ ძველის-ძველ და სახელგანთქმულ სავანეს წინაშე, სადაც დაასრულე შენი სამაგალითო ბერმონაზნული ცხოვრება და სადაც დღეს დაიკრძალება შენი წმიდა ნეშტი შენს საყვარელ ღირს მამა შიოსთან და სხვა მრავალ აქ განსვენებულ წმიდა მამებთან ერთად. ეს სავანე, ეს ოდესმე ქართველების სახელგანთქმულ ლავრად ყოფილი სავანე, დიდებული და მრავალმეტყველი წიგნთა მისთვის, ვინც იცის ამისთანა წიგნების კითხვა და დაფასება. აქ ოდესმე ქართული მწიგნობრობა და საგანათლებო მოღვაწეობა სდუღდა და სჩქეფდა, აქ ქართველთა გამამხნევებული სიტყვა და საქმე ბრწყინავდა... შენ აღადგინე მკვდრეთით ეს მონასტერი და აღმოიყვანე სიკვდილისგან ცხოვრებად, მიანიჭე სიცოცხლე ახალთ: გამოცოცხლდენ ძველი ტაძრები, სენაკები, გამოცოცხლდა უდაბნო მოოხრებული და მოიფინა ვენახითა, – უნაყოფო კლდემ გამოსცა ნაყოფი კეთილი, და მოჰყურძნიან კეთილ-მორწმუნენი და ღვთის მოსავნი. ესრეთ გამოჩნდი შენ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოსათვის მეორე „შიო ახლად“. შენივე წყალობით გამოცოცხლდა აგრეთვე სავანე დიდებულის იოანე ზედანელისა და მასთან კიდევ მცხეთის შესანიშნავი ჯვარის მონასტერი. არ ყოფილიყავ შენ, ეს სამი მონასტერი ქართველების ხელიდან დღეს წასული იქნებოდენ – სხვა დაეპატრონებოდა მათ და თავისებურ სულსაც ჩაუდგამდა... ვინცა აღმოიკითხოს ამ ძველ ნაშთთა კედლები, ეს მრავალმეტყველი და ღრმამეტყველი ფურცლები, მან

გულის ხმა-ჰყოს!.. ძმანო! ჩვენ ვასაფლავებთ დღეს ქართველთა ძველი მორწმუნეობის და ღვთის-მოსავობის ნაშთა. განახლდება კიდევ ჩვენი ძველებური მორწმუნეობა თუ არა? მე არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ სიცრუე ძალიან მოედო ჩვენს ქვეყანას... სარწმუნოების საქმეში: ცრუობენ მორწმუნედ წოდებულნიცა და ურწნუნოდ წოდებულნიცა; სიცრუით იცმენ მრავალნი ანაფორასაც და საბერმონაზონო ბარტყულასაც, სიცრუით მიდიან საკურთხევლის ტრაპეზთან და მღვდელმოქმედობენ, სიცრუით ქადაგებენ, გალობენ, ღაღადებენ... დიახ, მრავალნი ღაღადებენ და მეტყველებენ სიცრუით და უქმად, მაგრამ აწ ღვთივ შესვენებული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე შორს იყო სიცრუეზედ: მართლიად სწამდა და ძალ-ღონის კვალობაზედ ერთგული იყო თავისი სარწმუნოებისა და საესავისა; გულახდით მეტყველებდა, გულახდით მოქმედებდა, წმინდის გულით ლოცულობდა და მარხულობდა.

ბერმონაზონული ცხოვრება, ლოცვა და მარხულობა მას არ უშლიდა, რომ წმინდის გულით ჰყვარებოდა მრავალტანჯული სამშობლო მხარე – საქმითაც და სიტყვითაც, იგი ყოველთვის გულითადი თანამგრძნობელი იყო და ხელის შემწყობი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის წარმატებისა და წინსვლისა. ყველას გვახსოვს ალექსანდრე ეპისკოპოზისებური სიტყვა, გვახსოვს მისებური ქება ქების ღირსისა და მისებური გაკიცხვა გაკიცხვის ღირსისა!

განა უნდა დავივიწყოთ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ცხარე და მწარე სიტყვები მათ მიმართ, ვისაც ძალა შეესწევდა და კი არა ზრუნავდა სამშობლო ქვეყნისათვის, ანუ დაუფარავად და საჯაროდ განკიცხვა ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ იმ კაცთა, ვინც საკუთარი, მდაბალი და არა-საკადრისი ანგაარებისათვის ორგულობდენ და ღალატობდენ დედა-ქვეყანას, თავისს გვარტომობას? სამაგიეროთ, როგორი გულსავსებით ეკიდებოდა იმათ, ვინც იყო ჩვენი დედა-ქვეყნის ჩინებული მოღვაწე და ღირსეული შვილი! როგორი სიყვარულით და ერთგულობით უძღვებოდა ჩვენს დიდებულ და პატივსაცემ მიცვალებულებს! გავიხსენოთ დასაფლავება დიმიტრი ყიფიანისა, ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, ვახტანგ ორბელიანის დასაფლავება და სხვა... ბოლოს, სულ უკანასკნელად, მხცოვანებისაგან მოუძლურებული, იგი მაინც დაეწრო ჩვენი ახალ-დროების მოწამის დიდის ილიას დასაფლავებას, შეასრულა სარწმუნოებრივი წესი, გამოესალმა თავისებური გულითადი სიტყვით და სიყვარულით ემთხვია ილიას გვამსა! ეს იყო უკანასკნელი ნახვა მის მიერ ჩვენი დედა-ქალაქისა და უკანასკნელი ნახვა მისი ჩვენი დედა-ქალაქის მიერ...

დასაფლავების მეორე დღეს შევიდა დილა-ადრიანად

ჩვენს წმიდა სიონში, ილოცა ლმობიერად, გამოეთხოვა თავისს საყვარელს სიონისა მღვთის-მშობელს, წმიდა ნინოს ხატსა და ჯვარსა, გამოეთხოვა სიონს დეკანოზსა, და გამოეშურა თავისს საყვარელ შიოსადმი, თავის უკანასკნელ საიქაო ნავთსაყუდელისაკენ... გაიარა ორმა თვემ, და – კიდეც აღესრულა აქ სასოებით, უჭირველად, ურცხვენელად – განუტევა წმიდა სული თვისი მშვიდობით, მისი საყვარელი ღირსი მამა შიოს წმინდა ძვლების გვერდით-კერძო...

განვლო ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ცხოვრებისა ზღვა მღელვარე, განიცადა ამ სოფლის სიბოროტე მრავალი, ორგულობა, ღალატი, ცილის-წამება, დასმენა, ძმის გაცემა, და – ღრმა მოხუცებულობის უკანასკნელ დღეებში შიოს ნავთსაყუდელს შეაფარა მოუძლურებული თავი. ეხლა კი ეს სააქაო ნავთსაყუდელიც დაუტევა და შევიდა საუკუნო სამშვიდობო ნავთსაყუდელსა...

განისვენე, ჩვენო მხცოვანო წმიდაო მღვდელმთავარო, ჭეშმარიტო ძველებურო ბერ-მონაზონო, მშვიდობით! ღირსო მამაო შიო, აჰა, შემოვალს შენთან იგი, ვინცა განაახლა შენი დიდებული მღვიმე, – შენ სიყვარულით შეიწყნარებ მას და განუსვენებ შენთან საუკუნოდ!..

ივანე რატიშვილი.

სიტყვა.
თქმული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს დასაფლავებაზედ.

დღეს ქართველი მართ-მადიდებელი ერი აბარებს შავს მიწას ერთად-ერთ საუკეთესო თვით-მოქმედ საზოგადო მოღვაწეს. დღეს ის სამუდამოთ ეთხოვება ისეთ გვამს, რომელიც თავის სიცოცხლეში განუწყვეტლივ ქადაგებდა ქართველთა შორის სიყვარულს, ძმობას და ერთობას და ახორციელებდა დიდ მნიშნოვან ქრისტეს სიტყვებს: „მოდით ჩემდა მაშვრალნი და მტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ.“ ბევრი საწყალი და გაჭირვებული იღებდა მისგან შემწეობას; ბევრი კეთილი საქმე ჰხდებოდა ჩვენში განსვენებულის თაოსნობით, რაც, რასაკვირველია, არის მიზეზი მისა, როიმ ამო-

დენა ხალხი შეგროვილა დღეს აქ აღნიშნოს თავისი სიყვა-
რული და პატივის ცემა ასეთ საზოგადო მოღვაწისადმი. თა-
ვის კეთილ-ცხოვრებით დაანახა ყველას ნათლად, რომ იყო
გამომხატველი ქრისტეს მოძღვრების ღვთისა და მოყვასისად-
მი სიყვარულის შესახებ, რომ ის იყო მასწავლებლი არა
მარტო სიტყვით, არამედ საქმით, შემკული და დაცული
მორჩილებითა, კრძალვითა და სიმდაბლითა, ის საუკეთესოდ
სცნობდა თავათ ეცხოვრა ძლიერ უბრალოდ და მარტივად
და თავისი საშვალება ეძღვნა საქველ-მოქმედო საქმისთვის.
სიუხვე და ქველ-მოქმედება ახალად განსვენებულ მღვდელ-
მთავრისა კარგათ იცის მთელმა საქართველომ. ძველებური
ეკლესიები და მონასტრები საქართველოსანი, ეს დიდებულ-
ნი ნაშთი ქართულის ძველის ხუროთ-მოძღვრებისა, ნათლად
მოწმობენ იმას, თუ რა იყო მათთვის მღვდელ-მთავარი ალე-
ქსანდრე. თითქმის ყველამ იცის ის ეკლესიები და მონასტრე-
ბი, რომლებიც ახლად-განსვენებულმა გაახლა და გაამშვენა.
კიდევ მრავალი კარგი საქმე ჰქმნა თავის სამშობლოსათვის,
მის ხანგრძლივ ცხოვრების განმავლობაში, რაც გახდის უკ-
ვდავად მის სახელს ქართველი ერის ხსოვნაში.

ახლა, როდესაც ქართული ეკლესია შეუდგა მეცადინე-
ობას აღადგინოს თავისი უკიდურესი უფლებანი და მოიპო-
ვოს ის თავისუფლება, რომელიც მას მიენიჭა კიდევ მე-VI
საუკუნეში, მოშორება ისეთი მოღვაწისა, როგორიც იყო
განსვენებული, უნდა ჩაითვალოს ქართველთათვის სამწუხარო
მოვლენათ. ეს მწუხარება ორკეცდება მაშინ, როდესაც კაცი
წარმოიდგენს ქართული ძველი მწერლობის აღდგენის საქმეს,
რომელზედაც ბევრს ზრუნავდა განსვენებული მღვდელ-მთა-
ვარი, რადგანაც იცოდა, რომ მხოლოთ მწერლობის აჰყვა-
ვებას შეეძლო გაეუმჯობესებია ქართველი ერის მდგომარე-
ობა და შეექმნა ისეთი პირობები, რომლებმაც მე-XII საუ-
კუნეში წარმოშვეს შესანიშნავი მწერლები: მოსე ხონელი,
შავთელზი, თმოგველი, შოთა რუსთაველი და სხ., რომელთა
ნაწარმოები, როგორც ხელოვნური ნაშთი, დიდათ აღემატე-
ბა სხვა ერთა იმ დროის ასეთივე ნაწარმოებს და მუდამ იქნე-
ბა მოწამე ამ დროის ქართველთა გონებრივ განვითარებისა...

მშვიდობა მტვერსა თქვენსა ახლად-განსვენებულო მღვ-
დელ-მთავარო. დაუვიწყარი იქნება სახელი თქვენი ქართვე-
ლი ერის ხსოვნაში და საქართველოს ისტორია არა ერთ სა-
უკეთესო კაბადოთაგანს უძღვნის თქვენი მოღვაწეობის აღ-
წერას შთამომავლობის სამოძღვრებლად.

სასულიწერო სემინარიის მე-VI კლასის მოწაფე ე. ნიკოლაძე.

ილია ჭავჭავაძის სიტყვა. *)

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესებავ! მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება-დიდებას საჭიროებდეთ. თქვენი საქმენი, თქვენი ღვაწლ-მოსილი სიცოცხლე ჩემზედ უკეთესად ჰღაღადებს თქვენს ქებასა და დიდებას და ჩემი თქმა რას მიუმატებს თქვენს სათნოებით მოპოებულს სახელს.“

„ნამეტანობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმიდით ვიტყვი, რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანას და რაკი თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთი სოფლისაგან ღონე მიხდილი სასოება და წუთი სოფლისაგანვე გამოჭრილი იმედები უკეთესის დღეებისა. უღონოება ქვეყნისა მარტო უფულობაა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ მომქმედი, მაღალ ზნეობის კაცი არა ჰყავს, სიმაგრე ქვეყნისას, ქვეყნის ძალ-ღონე, რის შემნახველი და გამადიდებელი, ქვით-კირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სასოებანი კაცი ქმნის ამ წუთი სოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ და სამოთხედ, რაცა ბედნიერება ადამიანისას ასულდგმულებს“.

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა.

---

*) ეს სიტყვა დღეს ბევრს აღარ ეხსომებათ, ამიტომ ვბეჭდავდ მეორედ. იგი მოთავსებული იყო ალექსანდრე ეპისკოპოზის ბიოგრაფიაში, რომელიც გამოიცა 1903 წ.

ღმერთს მღრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისას და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთს დაუკლისად გულ-მხურვალებით და სიყვარულით. ერთი წუთიც არ ვიცით თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველ-მყოფელი შუქი, ამ ორკეცს სიყვარულისა არ მოჰფენდეს თვითეულს თქვენს საქმეს, აქ თვითეულს თქვენს მოქმედებას, ქვეყანას ემსახურებოდით, მღერთისათვის ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რადგან ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსენელია ქვეყნისა“.

თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნოებაა, სათნოება რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულს მღვდელ-მონოზვნების შორის ვპოულობთ, რომელნიც ერთ დროს ყოფილან ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ ეხლა აღარ არიან, თქვენ ხორცი დაუმორჩილედ სულს და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არის. გშიოდათ არ სჭამდით, გწყუ-

როდათ და არ სვამდით, გციოდათ და არ თბებოდით იმისთვის კი არა, რომ ვითაარცა ანგარმა და ძუნწმა ოქრო და ვერცხლი მოახვეჭოთ, არამედ იმისთვისა რომ რაც საკუთრად თქვენის თავისთვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატეთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გაეცით, თქვენს სამშობლოს მოახმარეთ, მართალი უთქვამს, ვინც სთქვა, რომ ორ ნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი. ერთი უქმი, რომელსაც მისდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მოქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველ მაგდენი – ვერაფერი ღვაწლია... საადიდებელი კაცისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა, პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია, საადიდებელი კაცისა, მეორე სათნოებაა და ამისთანა სათნოების პატრონი თქვენა ბრძანდებით".

„თქვენ აღგვიდგინე ჩვენი დავიწყებული წმინდანნი შიო მღვიმელი და იოანნე ზედაძნელი, სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილ დღეოთ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით, თქვენ გწამთ რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელთ-მძღვანელი და განმწმენდელ მისი სჯული და სარწმუნოებაა" და ამ გზაზედ ღვაწლმოსილებისათვის არა დაგიზოგიათ რა. ამისდა მოწმად თქვენ მიერ აღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთნი ჩვენის სულიერად ზე აღსრულებისა. აქ მეტია თვითეულის თქვენის ღვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილდღეოდ საქმე რამ აჩენია, არ არის არც ერთი საერო საქველ მომქმედო საქმე ქართველთა რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა კურთხევა – წინ არ მიუძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს.

„მარტოდ ისიც საკმარისია თქვენის მადლობის ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრულის სიყვარულით გამოუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზრდილი – თქვენის მაგალითიდ გაწვრთვნილი, თქვენის ხელისა და გულის თანამოზიარე განძია, ჩვენ შევხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოსს სასოებით და იმედითა, იმიტომ რომ თქვენი – გაზრდილია, თქვენი სულიერი შვილია, და ყოველი მზგავსი მზგავსა შობსო ნათქვამია".

„თქვენ გაზრდილს დიდი ეკლიანი გზა უძევს წინ, თუ სიყვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ წაიძღვანებს და მსახურება მისი მსახურება იქმნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარის თავის გაწირვისა, წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, რაც უმადურება და კილვა ისე ხშირია, როგორც არსად. ჩვენ

იმედი გვაქს, რომ თქვენი გაზრდილი, თქვენი გაწვრთნილი არა ეკალს არ შეუშინდება და თქვენს მაგიერობას გაგვიწევს. მაგიერობას მეთქი!.. მოგვიტევეთ, გული კაცისა ხარბია! თქვენი ბედი გვენატრება. ნუ თუ თქვენ თითონ არ ინებებ-დით, რომ თქვენი გაზრდილისაგან მეტი მოითხოვოთ, მეტი მოველოდინოთ, თქვენ მამა ხართ და ეგ თქვენი შვილია და რადგანაც ის გვირჩევნია მეტი მოველოდინოთ. „ის ურჩევ-ნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასაო.“ ჩვენ დარწმუ-ნებული ვართ, რომ თქვენ თვითონ ჩვენზედ უფრო მეტის ნატვრით ინატრებდი, რომ თქვენი გაზრდილი თქვენ დაგემ-ჯობინოთ ჯერ ღვთით და მერე თქვენისავე კურთხევითა“.

ამისი და, ამ ჩვენის კადნიერების რწმენის თავმდები და საწყაული თქვენი მამაშვილური სიყვარული, რომლის წინა-შე ქედს იხრის ყოველივე სხვა პირადი გრძნობა პატიო-სანი კაცისა. ჩვენ მართლად საყვარელო და ღირს სახსოვა-რო მღვდელმთავარო! თქვენ აქედამ მიბრძანდებით, მაგრამ მღვთის მადლით ჩვენის ქვეყნიდამ კი არა. იქაც ჩვენი ქვე-ყანაა და ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან, ჩვენ აქ გიახელით სამგზამშვიდობორო მოგახსენოთ და თქვენს წინაშე ღმერთს ვთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა და თქვენგან ლოცვა კურ-თხევა მივიღოთ. მოგვირთმევია მცირე-ოდენი ძღვენი ესე ჩვენდა სახსოვრად კი არა, ჩვენ უამისოთაც გეხსომებით მთელ საქართველოსთან ერთად, რადგანაც შვილნი ვართ სა-ქართველოსი, რომელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ უორგუ-ლობითა და სიყვარულითა... მიიღე ნიშანი ჩვენი გულითა-დის მადლობითა და უღრმესის პატივისცემას და გიხაროდენ, რომ შენის ქვეყნის შვილნი მოიწიფენ იმოდენად, რომ შეძ-ლებისამებრ მადლობას უხდიან მადლობის ღირს კაცს. გი-ხაროდენ იმიტომ, რომ ესეც ერთი ფეხის წინ წადგომაა, ერთს საფეხურით ზე აღსვლაა თქვენის შვილებისა, რადგანაც მარ-ტო ბრმამ და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვისი ღვაწლის დაფასება.

თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვშორდები, მაგრამ ჩვენთა იმერ ძმათა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუხარებას და გვამხნევებს ჩვენ. ჩვენგან მეტის მეტი გულ-ძვირობა იქმნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენ მწუხ-ვართ თქვენი წასვლით და გვიხარიან თქვენი იქ მისვლა, ჩვენ ვაკვლდებით და ღვთის მაღლით, იქ შეგვემატებით. ყველ-გან ჩვენს ქვეყანაში საჭიროა ამისთანა კაცი, რომლის მიხედ-ვით და მაგალითით იწურთნება ხასიათი, იწმინდება გონება და გული ადამიანისა. უხაროდეთ მათ, სადაც თქვენ მიდი-ხართ, და ჩვენ ეს არ გვშურს, რადგანაც იქაც ჩვენები არი-ან, თუნდ ესეც არ იყოს, თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვე-ნის სახელისა ჩვენი მწვრთვნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი

კაცი, რომელიც გვწრვთნის და გვასწავებს ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებით-თაცა, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენი. ამისთანა ბედ-ნიერი ხართ თქვენ, საცა გინდა ბრძანდებოდეთ. იყვენით კვლავაც ესე ბედნიერი ჩვენდა თავმოსაწონებლათ და ნუ მო-აკლებთ თქვენს ლოცვა-კურთხევას თქვენს ღვაწლს, თქვენს საყვარელს ქვეყანას, ერს. თქვენს სიყვარულს თქვენი საყვა-რელი ქვეყანა, საცა გინდა ბრძანდებოდეთ, არ დაივიწყებს. ადიდე კვერთხი ესე, და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმარ-თლისა და სარწმუნოებისასა.

„დაგვლოცე და შენის მადლიანი ხელით გვაკურთხე შე-ნი მადლობელნი და შენ მიერ ღვაწლ-დებულნი.“

ილია ჭავჭავაძე

მისმა მეუფებამ, მადლობა გარდაუხადა რა, სთქვა, რომ წმიდათ დაიცავით სარწმუნოება, არ უღალატოთ თქვენთა სახელოვანთა მამა-პაპათა ანდერძს, რომელთა შორის მრავალ-მა მეფემ, თავად-აზნაურმა და მდაბიომ დაიდგა საწამებრივი გვირგვინი სარწმუნოებისათვისაო. ზნეობით ფაქიზნი იყავით, ოჯახი წმინდათ შეინახეთო. მე თუმცა შორს ვიქნები თქვენ-გან, მაგრამ გულითა და სულით არ დავივიწყებ ჩემს ძველს სამწყსოს და ვილოცებ მისის წარმატებისთვისაო.

ამ სიტყვათა წარმოთქმის დროსაც ბევრს ამოუჯდა გუ-ლი და ცრემლით გამოეთხვნენ საყვარელ მწყემსთ-მთავარს.

კვერთხი გამოწერილია ქართველ სამწყსოს მიერ მოს-კოვიდან და მეტად ძვირფასის, იშვიათის ნაკეთებისაა, მთე-ლის კვერთხის ბუშტები საგანგებო ხელოვნების მინანქრითა და სევადით არის დამშვენებული. კვერთხს თან დართული აქვს პერანგი და ზედ აწერია, „ადიდე კვერთხი ესე და წა-რიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა. 15 მაისი 1899 წლი-სა.“ კვერთხის ბუდის თავზე ამოჭრილია ქართულად ასო „ა“, რომელსაც თავზე სამღვდელ-მთავრო მიტრა აქვს გაკე-თებული.

გუშინ, ორშაფათს, 18 მაისს, მისი უსამღდელოესობა გაემგზავრა ფოთისკენ. რკინის გზის სადგურამდე დიდ-ძალმა ქართველობამ მიაცილა საყვარელი მწყემსთ-მთავარი, მრავალთ შორის ეპისკოპოსი ლეონიდე გორამდე გაჰყა.

† ალექსანდრე ეპისკოპოზი.

(სომხურიდამ)

ამა წლის ნოემბრის 9. ღამით, შიო მღვიმის მონასტერში გარდაიცვალა 85 წ. ცნობილი ალექსანდრე ეპისკოპოზი. საქართველოს სამღვდელოება ეპისკოპოზ ალექსანდრეს სიკვდილით ჰკარგავს რჩეულ და მოღვაწე წევრთაგან ერთს, რომელსაც მეტად საპატიო ადგილი ეჭირა მათ შორის. განსვენებულ გორის მაზრის ერთ მივიწყებულ სოფლის მღვდლის დავით ოქროპირიძის შვილი იყო.

მან სწავლა მიიღო პირველად გორის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ თფილისის სასულიერო სემენარიაში.

1845 წ. სასულიერო წოდების მიღებისათანავე განაგრძნო მან სწავლა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც ჩინებულად დაამთავრა სწავლა და ეკურთხა ბერად. შემდეგ მოწვეულ იქმნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქედგინ გადავიდა აფხაზეთში და მოღვაწეობდა როგორც მასწავლებელი და მოქალაქე. შემდეგ დაინიშნა დიდებულ გელათის მონასტრის მამათა მთავრად, საიდგანაც რამოდენიმე ხნის შემდეგ გადავიდა აფხაზეთში და დაინიშნა ამ სათემო წინამძღვარად. ეპისკოპოზად იგი ეკურთხა 1862 წ. რამოდენიმე წლის შემდეგ გადაყვანილ იქმნა გორში წინამძღვრის მოადგილეთ, ხოლოდ 1882 წ. დაინიშნა პირველ მოადგილეთ, ბოლოს კი 1898 წ. მას ჩაებარა გურიისა და მინგრელიის თემები.

1898 წ. ებოძა თვით იმპერატორისაგან თვალ მარგალიტით მორთული წ. მაცხოვრის ხატი.

განსვენებულის მოღვაწეობა დიდია თუ სამოსწავლებლო თუ სალიტერატურო და თუ სხვა სასარგებლო საქმეებში. მაინც იგი დიდი მოტრფიალე იყო სიძველეებისა, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ იგი თავის წვლილს არ იშურებდა ძველ მონასტრების და ეკლესიების შესაკეთებლად. ეგრეთვე დიად ყურადღებას აქცევდა შკოლებს. მან თავის ხარჯით გამოსცა ისტორიული ღირს შესანიშნავი ნაწარმოებნი, როგორც მაგალითად საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი, მე-18 საუკუნე და სხვა ძველი გუჯრები-ღირსეული ნაწარმოებნი.

ამ ბოლო ხანებში მან შეაკეთა იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდის დახმარებით შიო მღვიმის დიდებული ტაძარი, რომელიც აღუშენებია ისტორიის გარდმოცემით დავით აღმაშენებელს (1125) წ. განსვენებულმა ჯერ თავის სიცოცხლეში მთელი თავისი ქონება დაახლოვებით 26,000 მანეთი შესწირა შიო მღვიმის და იოანნე ზედაძნელის მონას-

ტრებს რითაც დაგვიმტკიცა თვისი ზომას გადაბიჯებული სიყვარული ამ სიძველეებისადმი.

ამ უკანასკნელ ხანებში (1903) ღრმა მოხუცების გამო სცხოვრობდა განმარტოებულად შიო მღვიმის მონასტერში, სადაც საუკუნოდ განისვენა.

განსვენებულის ცხედრის დაკრძლვას ხუთშაბათს ნოებმ. 15-ს დაესწრო აუარებელი ხალხი. ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებათაგან, ეგრეთვე სხვას და სხვა საზოგადოების და ამხანაგობის წარმომადგელენი. საქართველოს სამღვდელოება ეპისკოპოზ დავითით, წინამძღვრებით გაზეთების და სასწავლებლების მხრით ამორჩეული დელეკატები და სხვანი.

წაიკითხეს და წარმოსთქვეს მრავალა სიტყვები, სადაცა აქებდენ და ადიდებდენ მის მოღვაწეობას მის იშვიათი კაი მსახურებას და ქველმოქმედებას. ცხედარი ჩაასვენეს შიო მღვიმის გვერდით მდებარე ტაძარში, რომელიც თვით განსვენებულს შეუკეთებია სიკვდილის რამოდენიმე წლის წინ.

განსვენებულის კერძო ცხოვრება მეტად საყურადღებო და გასაკვირია. იგი წინააღმდეგი იყო ოთხფეხ ცხოველების დახოცვისა და დაკვლისა. არცა სჭამდა მათ ხორცსა. როგორც განსვენებული სომეხთა კათოლიკიზის საყვარელი და საუკეთესო საჭმელი „პური“ იყო, ეგრეთაც ეპისკოპოზი ალექსანდრეს საყვარელი საჭმელი ღრმა სიბერემდის „ლობიო” იყო. მან თავის ზომიერი ცხოვრებით მოგროვილი თან ხა მთლად მოახმარა სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებს.

ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით განსვენებული მეტად კეთილსულოვანი სულგრძელი და მორწმუნე ვინმე იყო, რასაც თავისი საქმეებით გვიმტკიცებდა, იმისი ამგვარი ცხოვრება, სიტყვა და საქმის ერთნაირი მიმართულება თვით კერპთ მსახურსაც კი მოიყვანდა სარწმუნოებაზე. აჰა ეს ზემოხსენებული მიზეზია იმისა, რომ მან მოიხვეჭა დიდი სახელი და სიყვარული რითაც ბევრისთვის სამაგალითო გახდა. ალექსანდრე ეპისკოპოზი გავიცანით პირველად 14 წ. წინ.

ავჭალა სადგურიდგან დაახლოვებით 9 ვერსტის სიშორეზე იმყოფება იოანე ზედაძნელის ისტორიული მონასტერი, მონასტრის აშენებას ისტორია მეხუთე საუკუნეს მიაწერს. სადაც არის დაკრძალული ცხედარი იოანნე ზედაძნელისა რომელიც ერთი და უფროსი იყო იმ 13 სომეხთაგან რომლებიც მეხუთე საუკუნეში კაპადოკიიდგან გადმოვიდენ საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად და რომლებმაც პირველად დაისადგურეს.

ზემოხსენებულ მთის ქედზე, სადაც აშენდა ეს მონასტერი, იქიდგან დაიწყეს მათ ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება ქართველთა შორის. ამ 13 სომეხთა წინამძღოლი და უფროსი მოთავე იყო იოანე. იგი დარჩა ამ მთაზე, ხოლო მისი ამხანაგები დაიშალენ-დაიფანტენ და წავიდნენ

საქართველოს სხვა და სხვა მხარეს ქრისტიანობის გასავრცე-
ლებლად. ასე მაგალითად დავითი თფილისში ავრცელებდა
ქრისტიანობას და თავისთვის სადგურათ ამოირჩია მთაწმინდა,
სადაც დღევანდლამდის სდგას მის სახელზე აშენებული მა-
მა დავითას მონასტერი. მეორე – სახელდობრ ანტონი თფილი-
სიდგან 23 ვერსტის სიშორეზე მყოფ ნორიო სოფლის ახ-
ლო-მახლო ქადაგებდა ქრისტიანობას. მის სახელზე იქვე
აშენდა მშვენიერი მონასტერი და ეგრეთვე მრავალი ოთახები
მლოცველთათვის, რომლიდგან უმეტესობა სომეხ მლოცველე-
ბის აშენებულია და დღევანდელამდის მონასტრის დღე-
სასწაულზე 15 აგვისტოს, მრავალი მლოცველი ხალხი და მათ
შორის სომხობაც მიეშურება მისაკენ.

მესამემ სახელდობრ შიომ ამოირჩია თავისთვის საქადაგებ-
ლად სხვა მხარე. მის სახელზე აშენებულია შიო მღვიმის
მონასტერი და სხვა და სხვა...

იოანნე ზედაძნელის დღესასწაული მაისის 7. შია. მთის
ქედზე ასავალი გზა მეტად ღალავს ქვეითად წასულთ მლო-
ცველებს, მიუხედავად ამ გარემოებისა მლოცველთა მრავალ
რიცხვი დღესასწაულის წინა დღითი მიეშურება მონასტრი-
საკენ.

1891 წ. მაისის 6 რამოდენიმე ამხანაგები საათის 3-ზე
ნასადილევს, ავჭალა სადგურიდგან ფეხ და ფეხ გავემგზავრეთ
იოანნე ზედაძენლის მონასტერისაკენ. ჩვენთან ერთად მიდიო-
და მლოცველთა ურიცვი ხალხი, უმეტესად რუსის ბებერი ქა-
ლები და ვაჟკაცები. ათი წამის შემდეგ, დავინახეთ მლოცველ-
თა შოროს ხანში შესული ბრძენი სახის ვინმე ცხენოსანი,
რომელიც ჩვენთან ერთად მიემგზავრებოდა ზემოხსენებულ
მონასტრისაკენ, ეს ალექსანდრე ეპისკოპოზი იყო. მის და-
ნახვამ ყველანი გაამხიარულა, იმისმა ტკბილმა სასიამოვნო
მუსაიფმა ყველას დაგვავიწყებინა გზის სიძნელე.

მთის მაღალ გორაზე გასვლამდის იგი ანუგეშებდა ყველას
მაცხოვრის სიტყვებით: „სარწმუნოებამ თქვენმა მოგანიჭოთ
სიცოცხლე თქვენაო.“

როგორც იქმნა სამი საათის მგზავრობის შემდეგ ძლივს
მივახწიეთ ძველ ისტორიულ მონასტრამდის. მონასტერი აშე-
ნებულია ზედაძენის მთის ქედზე, მემატიონეთა თქმულებით
კაპადოუკიიდგან ჩამოსულ 13 სომეხთა მასწავლებელ და წი-
ნამძღოლ იოანეს დაუსადგურებია ამ ადგილას. აქ მის მოს-
ვლამდის კერპთ მსახურებს თავისი ტაძარი ჰქონიად, კერპთ-
მსახურების ბინა ყოფილა, რომლებიც იოანნეს მიწასთან გაუ-
სწორებია და ქართველთა ფარნაოზ მეფის, ევლახი კათოლი-
კოზის დროს დააუწყია ქრისტიანობის ქადაგება ქართველებში.
იმ ღამეს ჩვენ უნდა გაგვეთენებია ცის ქვეშ, რადგან ოთახე-
ბი სულ ერთიან დაკავებული იყო. როდესაც ეპისკოპოზმა
ალექსანდრემ შეიტყო ჩვენი მოსვლა მაშინათვე განკარგუ-

ლება მოახდინა, რომ გამოეტანათ ჩვენთვის სტოლი და ხა-
ლიჩები დაეგოთ ნოტიო მიწაზე. პატარა ხანს შემდეგ ჩვენ
დავსხედით ვახშმათ და მოვიწვიეთ მათ მეუფება ალექსი ეპის-
კოპ. რომელმაც დიდათ დაგვავალა ჩვენი თხოვნის შესრულე-
ბით. მან ვახშმის გათავებამდის გაგვართო ჩვენ თავისი ბრძენი
მუსაიფით.

– საკვირველია თქვენო!? როგორ ატარებენ ღამეს
უსაბნოთ ამისთანა ცივ ამინდში. ქალაქში კი მიუხედავათ
იმისა რომ თბილ ოთახებში ისვენებენ მცხოვრებნი, მაინც
კიდევ ზოგიერთი სჩივის გაცივებას – მიმართა ჩვენგით ერთ-
მა ეპისკოპოზს.

ამ მლოცველთ ინახამს თავიანთი სარწმუნოება, მათი ფი-
ქრი და აზრი მხოლოდ თუგინდ აღთქმა შესრულებაზეა გა-
ჩერებული. აბა სწორეთ მის გამო ბუნება ვეღარ მოქმედობს
მათზე და ეს გარემოება პსიხოლოგიითაც მტკიცდება უპასუ-
ხა ეპისკ. ალექსანდრემ: მე სარწმუნოება ძალიან ფართო მნიშვნე-
ლობით მესმის, სოლოდ თქვენი კი არ ვიცი რა აზრისა ხართ
მაგის შესახებ-თქვენ როგორ გესმით. მომმართა მე იმა ცნო-
ბისმოყვარეობით-თუ ადამიანი თავ ს რაიმე საქმეს ჰკიდებს
ხელს სარწმუნოებით და გულიანად მაშინ ის უფრო. მიახწევს
თავის თავის წადილს ვიდრე ის} რომელიც უიმედოთ და არა
სარწმუნოებით ეკიდება საქმეს.

– მართლაც რომ ეგ აგრეა და მე ეგრეთაც მესმის და ვქა-
დაგებ. გარდა მაგისა სარწმუნოება საქმით უნდა იქმნეს დაგვი-
რგვინებული.

– მართლაც რომ სარწმუნოება უსაქმოდ არა არს. მე თქვენო
მეუფებავ, ამ ბოლო ხანებში სხვათა შორის წავიკითხე ცნო-
ბილ ექიმების წიგნები, რომელნიც ამტკიცებენ რომ რამო-
დენიმე იკურნება სარწმუნოების საშვალებით. მე ვიცი რომ
მეცნიერებას სწამს წყლით მკურნალობა, ექიმობა, სულით
მკურნალობა და სხვა და აჰა ამ ბოლო დროსაც სარწმუ-
ნოების საშვალებით მკურნალობა მტკიცდება.

– ეგ არამც თუ დასაჯერია. არამედ სინამდვილეა გვიპასუ-
ხა ეპისკ. ალექს. ყოველი ექიმი გეტყვით თქვენ, რომ თავის
გამოწერილი წამალი მაშინ უფრო მოქმადობს, როდესაც
ავადმყოფს სწამს რომ ეგ წამალი უთუოდ უშველის, გაჰკურ-
ნავს...

– მე წამიკითხავს ერთი ანეგდოტი ინგლისელების ცხოვრე-
ბიდან განვაგრძე მე. ერთი ბებერი დედაკაცი იტანჯებოდა
წელის ავადმყოფობით, მას მიუმართავს ექიმისათვის, რომელმაც
გამოუწერა საჭირო წამალი და დაარიგა რომ წელზე მიეკრა.
ბებერ დედაკაცს შეცდომით ჰგონებია რომ ეს რეცეპტი
უნდა მიეკრა წელზე, რასაც შეასრულებს და აჰა სასწაული,
რამოდენიმე დღის შემდეგ დედაკაცი კარგათ გრძნობს თავს
და განიკურნება საბოლოოდ.

– ხა ხა ხა. მაღალის ხმით წაიკისკისა იქვე მდგომმა ახალ-
გაზდა ქალმა, რომელიც ჩვენ ყურს გვიგდებდა და რაც
შთაბეჭდილებასაც ახდენდა ჩვენზე.

– თქვენო მეუფებავ, ამ ქალსაც რამე ექნება შეთქმული,
რომლის გამოც უკისრია ამ შორე და ძნელ გზის გავლა და
რამოდენიმე ღამესაც სიცივეში, ცის ქვეშედ გათენება,

– წაიხუმრა ჩვენმა ამხანაგთაგან ერთმა.

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მაშინვე დაუძახა ახალგაზრდა
ქალს, აკურთხა ისა და უსურვა მის წადილს შესრულება,
რაიცა ჩვენის თვალითვე ვიხილეთ მეორე წელს. ახალ გაზ-
და ქალი მიღწეოდა თავის წადილს.

მას შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპოსი ვიხილეთ ჩვენ
ბევრჯერ და მუდამ იგივე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენ-
და ჩვენზედ.

სომხ. გაზ. „ჰოვივი“ №44 და 45 1907 წ. კარ. თემურაზიანი.

† ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ალექსანდრე.

15 ამა ნოემბერს ყ-დსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდ-
რემ მიიძინა მისგან განახლებულ შიო მღვიმელის უდაბნოში.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე დაიბადა 1824 წელს.
მას მონათვლის დროს სახელად ალექსი დაარქვეს, იმისი მა-
მა დავით ოქროპირიძე მღვდლათ მსახურებდა გორის მაზრის
ერთს სოფელში. ტფილისის სემინარიაში კურსის დამთავრე-
ბის შემდეგ ალექსი ოქროპირიძე აღიკვეცა ბერად, და სა-
ხელად ალექსანდრე უწოდეს. მთავარ-დიაკონის ხარისხით ის
გაემგზავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დასამ-
თავრებლად. სასულიერო კურსის დამთავრების შემდეგ მთა-
ვარ დიაკონი ალექსანდრე მღვდელ-მონოზნად აკურთხეს.
საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალ გაზრდა მღვდელ-
მონაზონი აფხაზეთში გაგზავნეს და შემდეგ ქუთაისის სასუ-
ლიერო სასწავლებლის ზედამხედველად იქმნა დანიშნული.
1855 წელს აკურთხეს იღუმენად, – მალე არქიმანდრიტადაც
და ისევ აფხაზეთში იქმნა გაგზავნილი. 1862 წელს ხელ-
დასხმული იქმნა მღვდელთ-მთავრად თბილისის სიონის ტაძარში
ექსარხოსის ევსევის მიერ სხვა მღვდელთ-მთავრების თანამწი-
რველობით, მას ჩაბარდა აფხაზეთის კათედრა. 1869 წელს
გადმოყვანილ იქმნა ტფილისში გორის ეპისკოპოსად და საქა-
რთველოს ექსარხოსის პირველს ქორ-ეპისკოპოსად, 1882
წლიდამ 1886 წლამდის მართავდა გურიის ეპარქიას და შემ-
დეგ ისევ დაბრუნდა ტფილისს თვისსავე თანამდებობაზედ. *)

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ხშირად საქართვე-
ლოს ექსარხოსის მაგივრობასა სწევდა. როდესაც ექსარხო-

სები დროებით რუსეთს წავიდოდდენ, „პრაგონს“ მიიღებ-
დენ, ქართლ-კახეთის ეპარქიას ყოვლად სამღვდელო ალექსა-
ნდრე განაგებდა, იგივე თავჯდომარეობდა ქართლ-კახეთ-იმერე-
თის სინოდალურს კანტორაში. მას აქვს მიღებული მრავალი
ორდენი. 15 მაისს 1893 წელს უმაღლესად ებოძა მას ხელ-
მწიფე იმპერატორისაგან ძვირფასის თვალ-მარგალიტებით შემ-
კული „გულზედ დასაკიდი“ – პანაგია – ერთად უმაღლესს
„წყალობის წერილთან“ („რესკრიპტი“). ყოვლად-სამღვდე-
ლო ალექსანდრეს მრავალ გზის მადლობა აქვს მიღებული
ხელმწიფე იმპერატორისა, მისის უმაღლესობის დიდის მთავ-
რის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, ლოცვა-კურთხევა და მადლო-

---

*) რიონის სადგურზე ერთად შეხვდენ ალექსანდრე და ბესარიონი მიმავალნი თბილისში, რადგან უქაზით გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა არხიმანდრიტი გრიგორი და ყ-დ სამღვდელოს ალექსანდრეს და ბესარიონს არ მისცეს საკუთარი ეპარქია. შესანიშნავი სიტყვები წარმოსთქვა სახალხოდ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სინოდის მოქმედებაზე. თბილისში უმეტესი ცხარე სიტყვები მოახსენა ექსარხოსს პავლეს. არ დაუფარავს ექსარხოსისათვის, და პირ და პირ უთხრა მას: „შენ განგებ ჩაიდინე ესეთი უკანონო შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიები და სამღვდელოება უმეტესად დაგემდაბლებია და რა პასუხი უნდა აგო ღმერთს, რომელიც ხედავს ამ თქვენს უაჯაო მოქმედებას?“

ბა უწმინდესის სინოდისა და სხ... ყოვლად-სამღვდელო ალე-
ქსანდრე წევრი იყო მრავალ საქველ-მოქმედო საზოგადოება-
თა და დაწესებულებათა, რომელნიც კი რუსეთის სახელმწი-
ფოში არსებობენ. რუს-ოსმალეთის ყირიმის ომის დროს სევა-
სტოპოლის გმირთა და მათ დაობლებულ სახლობათა სასარგებ-
ლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე სწირავდა ყოველ
წლობით 200 მანეთს. მანვე განაახლა ქ. სოხუმის ახლოს,
ძველი ეკკლესია მოსახსენებლად იმპერატორის ალექსანდრე
მეორის სასწაულებრივის გადარჩენისა 4 აპრილს 1866 წელსა.
25 მაისს 1867 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიას
შესწირა 2,000 მანეთი მისის იმპერატორებითის უმაღლესო-
ბის დიდს მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ. ამ
თანხით იზრდება სემინარიაში ერთი სტიპენდიანტი, რომელ-
საც თვით ყოვლად-სამღვდელო ირჩევს. ყაზანის სასულიერო
აკადემიის ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ 300 მანეთი
შესწირა; ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელს კი –
3,000 მანათი მასში სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის
დიდებულს თორმეტის მოციქულის საკრებულო ტაძარს შეს-
წირა განსაახლებლად 1,500 მანეთი და ამავე ტაძრის განმა-
ახლებელი კომიტეტის თავჯდომარეც ბრძანდებოდა. ყოვლად-
სამღვდელო ალექსანდრემ განაახლა ჯვარის ეკლესია მცხეთის
აღმოსავლით. განაახლა თვის სამშობლო სოფელში ძველი

ეკკლესია, ლეკებისაგან დანგრეული. მან 2,000 მანეთი ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზდ გადასაღებად გადასდო. წირვა ლოცვის გალობა კიდეც გადაღებულ იქმნა ნოტებზედ ბ. იპოლიტოვ ივანოვის მიერ და მოწონებულ იქმნა სასულიერო მთავრობისაგან. მანვე გამოსცა თავის საფასით საუკეთესო ნაშთები ძველის ქართულის მწერლობისა: „მზა მეტყველება“ ანტონ ქათალიკოსისა, საბასულხან ორბელიანის „ლექსიკონი“, „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“, ბ. ავალიშვილისა, ანტონ კათალიკოზის „სწორ-მეტყველება“, ამბროსი ნეკრესლის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ და სხვ... ყოვლად სამღვდელომ დიდი სამსახური გაუწია ქართულის დაბადების შესწორებას და დაბეჭდვის საქმეს. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ განაახლა დიდებული მონასტრები, წმ. შიოსი და იოანე ზედაზნელისა, – პირველს 21,000 და მეორეს – 11,700 მანეთი შესწირა. ეს თანხა ხელ-უხლებლად დადებულია სახელმწიფო ბანკში და სარგებელი ეძლევა მონასტერთა შტატში მყოფ ძმათა სარჩოდ.

გაზ. „მწყემსი“

სიტყვა
ყ-დ სამღვდელო ეპ. ალექსანდრეს დასაფლავებასა ზედა

წმ. შიო მღვიმის მონასტერში, 1908 წ. 14 ნოემბერს.

ყ-დ სამღვდელო მეუფევ! დღეს იმოდენა სიტყვეში წოდების განურჩევლად აღნიშნეს თქვენი ღუაწლი წინაშე ერისა, სამშობლო ეკლესიისა, სამშობლოსი და ერისა. ისე სავსებით კიდევე ვერ დაახასიათეს თქვენი ღუაწლი, როგორც მოითხოვდა თქვენი პირადობა და გულ უხვობა. თქვუნის ბერული ცხოვრებით და მიღება-გამოცილებით ყველას განცვიფრებაში შეიყვანდით ხოლმე, განსაკუთრებით რუსეთით მოსულებს ხოლმე და ბევრს მოსაგონადაც დარჩებით მასთან გულახდით და ბევჯელ პირ და პირი თქმა აგვირგვინებდა თქვენს ცხოვრებას და გიმრავლებდა პატივის მცემელთა, თუმცა ვიეთა არ მოსწონდათ! აი თქვენი ანდაზა „ორი შაურის მუშისა, მის დღეში არა უშავსრა“ უნდა დარჩეს ქართველთა შორის, ამიტომ რომ ჯერ ერთი თქუენს მოსაგონად და მეორე, ცხოვრებითაც დაუმტკიცე საქართველოს და კაცობრიობასა. რა იყო ეს წმ. შიოს მო-

ნასტერი 1888 წ. და რას წარმოადგენდა? სატირელ და სა-
ვალალოს და ქართველის იერემია ვერ მოიტირებდა იმის
მდგომარეობას! აბა ეხლა შეჰხედოს კაცმა და შეუდაროს
მაშინდელს მინგრეულს მონგრეულს მონასტერსა და სწორეთ
რომ მისაბაძია ის შეუპოვარი ბრძოლა ცხოვრებასთან და
მიზნის მისაღწევ გარემოებათა თანა რაიცა განიცადე აქამომ-
დე. ყველა აქ მრავალთა მიერ მოხსენებულ ღუაწლისა წილ
რა მოგაგეთ შენ ყოვლად სამღვდელო მეუფეო, ალექსანდრე
ეპისკოპოზო? ვერ გიგდეთ ყური, ვერ გიჩვენეთ სიყვარული
და მხარი ვერ დაგიჭირეთ განსამხნევებლად. ყველა ჩამოგშო-
რდით, ყველამ გიღალატეთ და შენ შეგრჩა სიყმი შვილივით
შენი მაქსიმე, რომელიც აი აქ არის დამარხული, ვერაგულად
მოკლული და მოყვსისათვის თავდადებული. ეს რომ მოგიკ-
ლეს გულიც გაგიპეს, გაგიტეხეს და უიმედობაში ჩაგაგდო
ჩვენმა ბეჩაობამან და აი ამ უბირო ხალხის შეუგნებლობამ.
ყოვლად სამღვდელო! ნუ დაგვწყევ უყურადღებობისთვის,
ნუ დასწყევლი ამ ბეჩავ ხალხსა, რომელიც უვიცობას შეუპ-
ყრია და უკუმეთის მორევში იშთობა. ნუ დასწყევლი რომ
შენი ერთგული მაქსიმე მოგიკვლეს და მით შენც სიცოცხლე
მოგისწრაფეს. აი აგერ ისინი აქ დაგტირიან, და ტირილით
და ცრემლით უმზერენ შენ დაკარგვას. ილოცე წინაშე ღვთის
და იმ ერისა წმინდათ თანა შეავედრე შენი სიყვარული სა-
ქართველო, რომ ღმერთმან დაგვიხსნას ჩვენ შინაურის მტ-
რებისაგან, რომელიც არის გამანადგურებელი და გამათახსი-
რებელი ერისა და აღმყრელი პირადის ღირსების ქრისტიანესი
და მოყვასისა. თვით შენ არა გახდი მსხვერპლი ამ შინაურის
მტერობისა, რომ მოექეცი, ჩაიკეტე ამ მონასტერში და ყუ-
რი ვეღარ გიგდეთ? გვაპატიე, დაგვლოცე, გვაკურთხე და
ილოცე ჩუენთვის, რომ შენი საყუარელი სამშობლოს შვილ-
ნი და მოღუაწენი არ მოეცვას პირად დიდებასა, ურთიერთა
ქიშპობასა, ქვებუდანობასა და გამყიდველ დიდების ძებნასა;
შეეგნოთ ის დიდი და დიდი ჭეშმარიტება, რომ ბოროტებაა
საზოგადო საქმის შეწირვა პირადი თავმოყუარებისათვის!
ამანვე არ დასცა ჩვენი სამშობლო და ეკლესია? ამისა გამო
არ არის შეფერხებული ყოველი კეთილი მისწრაფება? ცულს
ტარად ჩვენივე უყრიან და იმიტომ იღუპება ყოველი კეთილი
საქმე და მისწრაფება! მოვტიროთ მამანო და ძმანო, დედანო
და დანო, ყოვლად სამღვდელო ღირსეული მამა ეპისკოპო-
სი ალექსანდრე და ნუ დავივიწყებთ მისს მისწრაფებათა
და სიყვარულს ეკლესიისა და მამულისადმი, ვემსახუროთ
მისებრ თუ გვიყვარს იგი. მართალია იგი მიიცვალა, გარდა-
იცვალა, გარნა ეხლა განდიდნა, ეხლა იდიდა და მომავალი
მისი დიდებულია წინაშე ღვთისა! სიკუდილი იგივე ცხოვრე-
ბა და ღირსეული კაცი ნეტარებით იხსენება. ვნახოთ ვინღა
გვიალექსანდრეებს და მოსალმებით ვინ გაგვიღებს კარებს

ღმერთო საუკუნეთაო, შემოქმედო, ცათა და ქვეყანისაო! შეი-
ვედრე სული ყ-დ სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზისა
და მეოხებითა წმ. შიოსი და ყოველთა წმინდათა ივერიისა
ეკლესიისათა და წესი იგი, სადაცა მიხედავს ნათელი პირისა
შენისა ამინ.

მღ. **ვასილ კარბელაშვილი**

მღვდელ-მთავრობისა კვართითა შემკობილმან,
„ღვთივ-მშვენიერად ჰქადაგე, შენ, სახარება...“
(ახალ წლის დასადებ.)

15 ნოემბერი, 1907 წ. შიომღვიმეში.

საქართველოს ეკკლესიის უკვდაო მღვდელთ-მთავარო, ქართველი ერის თავდადებულო ჭირისუფალო! საყვარელო მწყემსთ-მთავარო! შენმა ამიერ მიცვალებამ დღეს შეგვკრიბა შენნი აღზრდილნი შვილნი, რათა ჩვენი წრფელი ცრემლი ვაპკუროთ შენს წმინდა გვამსა და უკანასკნელ ვეამბოროთ შენს მადლიანს მაკურთხებელს მარჯვენასა! ჩვენ ყოველთვის მოქენე ვიყავით შენის მამაშვილობისა, შენის მოძღვრობი-სა და, აჰა, დღესაც შენი მომცინარე, მხიარული სახე გვმოძ-ღვრის შენ ღრმად-მოხუცებულმან შეინარჩუნე, სიკვდილა-მდე ცხოველი სიყვარული შენის მშობელი ერისა, მისის სიკეთისათვის ბევრა ფიქრი საქმედ გარდაჰქმენ და შენდა უფლისა მიერ მინდობილის ტალანტისა ერთი ათად აღ-მაორძინებელი მხიარულის სახითა წარსდგები წინაშე პირუ-თვნელისა მსაჯულისა! ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით შენი განვლილი ცხოვრება, იგი მეტად ნარ-ეკლიანი და ხიფათიანი იყო, მაგრამ შენ აღფრთოვანებული იყავ უკეთესი მერმისის სასოებით და ქედი არ მოუდრიკე შენის მშობელი ერის შამმუსრველ ძალასა. შენი ცსოვრების ეკლიანი გზა უპოვა-რებით აღსავსე ცხოვრებით განვლე, სათნოებითა და უბი-წოებით ხვიდოდი და ნათელ მოსილი სახით დაიძინე ძილი ეგე მართალთა!

შენ საქმით აღასრულებდი ღვთის მცნებათა და ჭირსა შინა მყოფთა გვამხნევებდი „დათმენად ფერად-ფერადთა სული-სა ქენჯნათა და ტანჯვათა.“

მთელი შენი სიცოცხლე იყო „ნებსით უარყოფა ხორ-ცისა,“ რათა სული შენი „ზე აღგევლინა.“ ამიტომ შენ უპოვარებაში განვლე შენი ცხოვრება, ყოველ დღე ჰზოგავ-

დი შენს ქონებრივ შეძლებასა, შენს ნაშრომ-ნაღვაწსა. მე თვით არა ერთხელ ვყოფილვარ მოწამე შენის მოთმინებისა და ღვაწლისა. შენ შეგეძლო ფუფუნებით გეცხოვრა, სხვებივით საუკეთესო საზრდო-სანოვაგით გენებივრებინა შენი თავი, მაგრამ ყოველ ცისმარე დღე პურსა და წყალზედ აღამებდი და ჩვენ ყველას გვაძლევდი მაგალითსა სათნოებისა და მოთმინებისასა, რომ შენი მშობელი ერის საქმისათვის მოგეხმარებინა ასე დაზოგვილი მწვლილი. ამ გზივ მრავალი ობოლი და სიღარიბეში მყოფი ყრმა გაგიზარდა შენმა უხვმა მარჯვენამ.

შენ ჩაუდგი მკვიდრი საძირკველი ქართული ძველი გალობის აღდგინების საქმესა, შენ დასტამბე მრავალი ქართული ძველი ხელწერი და, ვითარცა ფასდაუდებელნი საუნჯენი, არ დაუკარგე შენ მშობელ ერსა; შენ განაახლე ძველ ტაძართა ნანგრევნი და მხეცთა და ნადირთა ბუნაგად ქცეულნი – ბერ-მონაზონთა საცხოვრებელად ჰყავ.

აჰა, ტაძარი და სავანე ღირსის შიოსი, რომელნი მკაფიოდ ღაღადებენ შენს ქველობასა, შენს ადამიანობასა! შენის მღვიძარებით და თავ-გამოდებულის შრომით შენ ვითარცა ფინიკ ამა კლდე-ღრეთა შორის აღაყვავილე წმ. შიოს სავანე ესე და ძველი დიდება კვლავ აღუდგინე. ესრეთის ქველის საქმით შენ ადიდე ღმერთი და მიემსგავსე ძველ ქართველ მღვდელთ-მთავრებსა, რომელნიც „ჭირსა შინა ქვითკირობდნენ“ და უკეთესის მერმისის სასოებას აღეტყინებდნენ თავის სამწყსოსა.

შენ ღირსეულად განვლილის ცხოვრებით უხვად მიუწყე ღვთისა-ღმერსა და ერისა-ერსა.

შენი ბერ-მონოზონებრივი ცხოვრება ესრეთ განუწყვეტელი სათნოება იყო და იგი წინ დაუდგინე ჩვენ დაცემულს ბერ-მონოზნობასა.

შენგნით აღზდილ და მწყსილნი შვილნი ცრემლით გევედრებით ნუ მოგვავლებს შენის სულის სიმტკიცესა, შენს მხნეობასა. აჰა, საყვარელო მღვდელთ-მთავარო, შენ მიერ ხელდასხული მღვდელი სასოებით მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა წინაშე შენის ცხედრისა და თვალ-ცრემლიანი ვემთხვევი შენს წმინდა მაკურთხეველს.

განისვენე ნეტარებით, საყვარელო მწყემსთავარო! აჰ-შენი შვილებრ აღზრდილი ლეონიდიც თავს დაგტირის ჩვენთან ერთად; აგერ შენი ერთგული მაქსიმეც ხელ-განპყრობით მოგეგებება და გეამბორება.

მოვედით ძმანო და მეგობარნო, უკანასკნელი ამბორი მივსცეთ ჩვენს დაუვიწყარს მღვდელთ-მთავარს ალექსანდრეს!..

მღ. პ. კარბელაშვილი.

ეპისკოპოზი ალექსანდრე

† ამ წლის 9 ნოემბერს, შიო-მღვიმის მონასტერში გარ-
დაიცვალა ოთხმოცდა სამის წლის მოხუცებული მღვდელთ-
მთავარი ალექსანდრე, რომელიც საქართველოში ცნობილი
იყო, როგორც ქველმომქედი და მაღალ ზნეობით შემკული
ადამიანი.

ეპისკოპოსი ალექსანდრე დაიბადა 1824 წელსა გორის
მაზრის ერთს სოფელში. მისი მამა დავით ოქროპირიძე სოფ-
ლის მღვდელი იყო... ერის კაცობაში ეპისკოპოსს ალექანდ-
რეს ერქვა ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე. ის ჯერ სწავ-
ლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ ტფი-
ლისის სასულიერო სემინარისა და ბოლოს ყაზანის სასული-
ერო აკადემიაში, რომლის კურსიც დაამთავრა 1850 წელსა.
ბერად აღიკვეცა ალექსი ოქროპირიძე 1845 წელს სას. სე-
მენარიაში კურსის დამთავრების შემდეგ და სახელად დაერქვა
ალექსანდრე. 1850 წლიდამ იწყება მისს სამსახური მშობ-
ლიო ერის სასარგებლოდ... ის მსახურებდა მასწავლებლად-
ზედამხედვლად, მისიონერ-მქადაგებლად, ეპისკოპოსად საქარ-
თველოს სხვა და სხვა კუთხეში... ეპიკოპოსად აკურთხეს
1862 წელსა. 1898-1903 წლებში ის მსახურებდა მღვდელთ-
მთავრად გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. 1903 წელს ყოვ-
ლად სამღვდელო ალექსანდრე გათავისუფლებულ იქმნა ეპარ-
ქიის მართვა-გამგეობისაგან და დაესახლა მცხეთის ახლო
შიო-მღვიმის მონასტერში, რომელიც მანვე განაახლა...

ეპისკოპოსი ალექსანდრე ცნობილი იყო საქართველო-
ში, როგორც თავისი სამშოლოს და მოძმე ერის შეგნებუ-
ლი და მხურვალედ მოყვარე. ის თავგამოდებით იცავდა ქარ-
თულს ენას, ქართულს გალობას, სცდილობდა ქართველი
ერის გაუმჯობესებას, მისთვის გადაშენება-გადაგვარების მო-
მაკვდინებელი შხამის თავიდამ აშორებას... მართალია ბერი
(მონოზონი) იყო, თითქოს მოშორებული წუთისოფელს,
მაგრამ მოსწონდა ბერობა საქმიერობითი, ღვაწლით მოსი-
ლი, რომელსაც თვის ტომი, ტოლი და სწორი გულიდამ
ამორეცხილი არ ჰყავს... ასეთი შეხედულებისა იყო ეპისკო-
პოსი ალექსადრე ბერობაზე და ამის მეოხებით მონასტერში კი
არ იყო მხოლოდ კარ-ჩაკეტილი, მარტო თავისათვის კი არ
ჰზრუნავდა, არამედ ერის სასარგებლოდ დაუღალავად შრო-
მობდა... მეტად საგულისხმოა მისი სიტყვები, რომელიც
წარმოსთქვა სიღარიბეში გარდაცვლილის ქართველი მოღვა-

წის ივანე კერესელიძის დასაფლავებაზე; „დროა გავახილოთ
თვალები, შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა, ვუშველოთ ჩვენს თავს,
ჩვენს ერს საქმე ვუკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა, ლაპარაკი
არ კმარა. დავავალოთ შეძლებულ ქართველებს საწყალი ქარ-
თველი ხალხის პატრონობა, მფარველობა და ქომაგობა, თო-
რემ დავიღუპებით, აღვიგვებით! „სამშობლოს და ერის სი-
ყვარული ჰქონდა საფუძვლად და მთავარ წყაროდ მისს მრა-
ვალ გვარს მოღვაწეობას საქართველოს სხვა და სხვა კუთ-
ხეში.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ქართველის ერის გა-
მაძლიერებელს ძირითად საშვალებად სთვლიდა წმინდა ეროვ-
ნულს სწავლა-განათლებას. ის მეტად გულნატკენი იყო იმის
გამო, ქართველი ახალთაობა ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებ-
ში სწავლა-აღზრდის უცხო, გაუგებარს, არა-სამშობლო ენა-
ზე წარმოების მეოხებით გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი.
ქართველმა ახალთაობამ სამშობლო ენა ან არ იცოდა და ან
იცოდა სუსტად, მშობლიურს ნიადაგს მოშორებული იყო,
გულ-გრილად უცქეროდა სვე ბედს თვისი ღვიძლი ერისას,
რომლის აწმყო და წარსული არ გაეგებოდა... ხშირად იტ-
ყოდა ხოლმე განსვენებული მღვდელთ მთავარი: „ნეტავი რო-
დის ეღირსებათ ქართველებს ქართული სკოლაო-“... ბევრჯელ
მას თავისი აზრი გამოუთქვამს სასულიერო სასწავლებლებისა
და სემინარიაში ქართულს ენაზე საგნების სწავლების შესა-
ხებ პირდაპირ, უშიშრად, სიტყვით და წერილობით რუსე-
თიდან გამოგზავნილი უფლებით მოსილი მოსული მოხელეე-
ბის (რევიზორების) წინაშე, მაგრამ მისს წინადადებას იმ დროს
ყურადღებას არავინ აქცევდა. თუმც თანამგრძნობი არ იყო
სწავლა-აღზრდის აწინდელი წესისა, მაგრამ ეპისკობოსი ალე-
ქსანდრე დიდად აფასებდა საზოგადოდ ცოდნის შეძენას და
სულ უსწავლელად დარჩენას ქართველისათვის უბედურებად
სთვლიდა. ის უხვს დახმარებას უწევდა მრავალს ღარიბს მოწაფეს,
რომელთაც თვისს სტიპენდიებს უნიშნავდა და ამის მეოხე-
ბით შეძლებას აძლევდა დაემთავრებიათ სწავლა-განათლება.
სტიპენდიები ჰქონდა ტფილისის სასულიერო სემენარიასა,
სასწავლებელსა და საეპარქიო საქალებო სასწავლებელში.
ამას გარდა ეპისკოპოსი ალექსანდრე კერძო ქველ-ქვემოქმე-
დებითაც ცნობილი იყო, რომლის შესახებ ლაპარაკი არ
უყვარდა... ქრისტეს მცნების თანახმად, იმისმა მარცხენამ
არ იცოდა, რას სჩადიოდა მისი მარჯვენა... ის ცხოვრობდა
სადათ, მარტივად, – ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაში მეტად
ზომიერი იყო... გველაძუობა, ქვეშ-ქვეშაობა ეჯავრებოდა...
გულ ახდილი, პირდაპირი ლაპარაკი უყვარდა...

მან თვისი საფასით მრავალი ძველი ქართულის ხელთნა-
წერი დაბეჭდა და მათ შორის ქართული ლექსიკონი საბა
სულხან ორბელიანისა, შედგენილი მეთვრამეტე საუკუნეში,

ქართული სწორმეტყველება (გრამატიკა) ანტონი კათოლიკოზისა, იმავე საუკუნეში შედგენილია შიო მღვიმის მონასტრის გუჯრები და ბევრი კიდვ სხვა...

ეპისკოპოსი ალექსანდრე სარწმუნოების მოყვარე იყო; იმისი რწმენით, სახარების სწავლა მხსნელი, გამწმენდელი და ხელმძღვანელია ადამიანისა, რომელსაც უნდა უყვარდეს თავისი სჯული, თავისი სარწმუნოება... დიდძალი ქონება შესწირა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, სარწმუნოების მოყვარემ, ძველი ქართული ტაძარ-მონასტრების განახლებას... უფრო დიდი ამაგი მიუძღვის მას შიო-მღვიმის მონასტრის განახლების საქმეში... აქ თვისი საფასით განაახლა მან ორი დიდი ტაძარი, აღაშენა ბერების სავანეები, გაიყვანა გზა, მდინარე მტკვარზე გამართა ბორანი და დაარსებინა რკინის გზის ბაქანი მატარებელთა გასაჩერებლად...

ეპისკოპოსი ალექსანდრე წევრი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის, პირუტყვთა მფარველის, საქართველოს ისტორიის და ეტნოგრაფიის საზოგადოებათა, ღარიბთა დამხმარე სხვა და სხვა ძმობათა, საპატივო წევრი ქართლ-კახეთის სამღვდელოების სიძველეთ-საცავისა და სხვა... არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება და საქმე, რომ მას გვერდი აეხვიოს და სიტყვით და საქმით თანაგრძნობა არ გამოეცხადებიოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი, სასიქადულო ქართველო მღვდელთ-მთავარო!

ნ–ძირელი.

ეპისკოპოზი ალექსანდრე

შარშან გიორგობისთვეს, ისტორიაში განთქმულ შიო-მღვიმის ლავრაში – გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 83 წლისა, ეპისკოპოზი ალექსანდრე. ქართველი საზოგადოება სიყვარულით გამოეთხოვა განსვენებულ მღვდელ-მთავარს და დიდი წარჩინებით მიაბარა მისი გვამი საფლავს სრულიად საქართველოს სახელოვან მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებულ ტაძარში, რომელიც შეაკეთა და განაახლა თვით განსვენებულმა მწყემს-მთავარმა თავის ხარჯითა და საფასით. დასაფლავების დროს სასულიერო და საერო ორატორებმა ბევრი წრფელი სიტყვა სთქვეს, მოიგონეს მისი კეთილი და სპეტაკი ხანგრძლივი ცხოვრება, აღსავსე დაუსრულებელ სიყვარულით სამშობლოსა და მოყვასისადმი, იქვე იყო განსვენებულის აღზრდილი მღვდელ-მთავარი ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერითისა. უკანასკნელად ეამბორა იგი საყვარელ ბიძას და ათრთოლებული ხმით მოიგონა მისი კეთილი

ზრუნვა და ამაგი.

მალე შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც დაობლდა ივერიის თავისუფალი ეკლესია. მოგეხსენებათ, რომ ობლისა და ქვრივის ცხოვრება სანეტარო არ არის. ბრალიანი და უბრალო სჩაგრავს ოხერსა და უპატრონოს, რადგან შემბრალებელი და გამკითხავი მათ არა ჰყავთ, ასე დაემართა ივერიის ეკლესიასაც. აეხადა შარავანდედით მოფენილი გვირგვინი, გაიძარცვა, გაღატაკდა და სულით დაეცა. ტაძარნი და მონასტერნი, ეს ჩვენი წარსულის დროის აკადემია – უნივერსიტეტნი, საიდანაც ეფინებოდა უხვად ქართველ ერს მაღალ ზნეობის სწავლა-მოძღვრება და შუქი საერო განათლებისა და სადაც იზრდებოდნენ ქვეყნის მოჭირნახულენი მტკიცე ზნეობისა და ფოლადისებური ხასიათისა, ოხრდებოდნენ და იქცეოდნენ უპატრონობით და მოუვლელობით.

აი სწორედ ამ აკადემია-უნივერსიტეტების აღდგენას შეალია თვისი ძალღონე და საფასი განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა. განაახლა და გააპატიოსნა შიო-მღვიმის დიდებული ლავრა და იოანე ზედაზნელის მონასტერი. პირველს შესწირა 21,000 მანეთი, ხოლო მეორეს 11,700 მანეთი და ამ უხვი შეწირულებით უზრუნველ ჰყო მათი მკრთალი არსებობა მაინც *) ეს აღმაშენებლობაა მიზეზი, რომ ჩვენმა მწერლებმა ნ. თ. ხიზანაშვილმა, ილ. ფერაძემ და ა. ნატროშვილმა სიცოცხლეშივე დაარქვეს განსვენებულ მღვდელ-მთავარს „ალექსანდრე აღმაშენებელი“.

შესანიშნავი მეფე დავით აღმაშენებელი რკინის კაცი იყო, გარეშე მტერს ხმა ჩააწყვეტინა და მარჯვენა დაუდუნა, მოღალატენი მატლივით გასრისა, ერის ზნეობა აამაღლა, სწავლა-ცოდნით გაავსო სამშობლო, ციხე-ქალაქებით

*) მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად შესწირა 1,500 მ.

და ეკლესია-მონასტრებით მოჰფინა, ერთი სიტყვით ააყვავა, და ააშენა საქართველო. ამ გზასავე ადგა განსვენებული მწყემსთ-მთავარი ალექსანდრე. მისი ხმალი იყო კეთილი და სათნოიანი ცხოვრება, უზომო სიყვარული სამწყსოსი და სამშობლოსი. ყველაფერი სამშობლოს და მოყვასსაო, რასაც შოულობდა და პოულობდა, სულ სხვისთვის ემეტებოდა. თვითონ კი იცვამდა და იხურავდა, როგორც უბრალო მწირი ბერი, საზრდოობდა პურით და მწვანილით. სასმელად ჰქონდა ცივი წყალი და სტუმართათვის ნობათად ქართლური პანტისა და ვაშლის ჩირი, კერკი და გაფშეკილი ქართლური ჩურჩხელა.

განსვენებული მღვდელ-მთავარი ალექსანდრე სრული განხორციელება იყო ძველის მოღვაწე-მოქადაგე ქართველ ბერისა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს სამშობლოს დი-

დებას ალევდა. ეკლესია და სამშობლო, მაშინ ერთი და იგი-
ვე იყო. ბერის ბერობა იხატებოდა იმაში, რომ მუდმივ მო-
ღვაწეობდა, მოქმედებდა, აშენებდა ეკლესია-მონასტრებს,
მწერლობდა, ხელოსნობდა, ქადაგებდა, მოქალაქობდა. ასეთი
საქმიანობა მიაჩნდათ ღვთის სამსახურად და აბა მაშინდელი
ქართველი, მოტრფიალე ქრისტეს დიდებულ სწავლა-მოძღვ-
რებისა რას დაზოგავდა და დაიშურებდა.

ბერი ალექსანდრე დიდი მოტრფიალე იყო სწავლა-გა-
ნათლებისა და ცდილობდა შეეწყო ხელი ამ საქმისათვის.
მომეტებული ნაწილი თვისის ავლა დიდებისა ამ საქმეს მოახ-
მარა, ზრდიდა თვისის ხარჯით ყრმათა და ქალთა. ამ აზრით
შესწირა ტფილისის სასულიერო სემინარიას 2000 მან. და
ტფილისის საეპარქიო სასწავლებელს 3000 მან.

წარსული ჩვენი დიდება და განათლება ცხადად სჩანს
იმ აუარებელ ხელთნაწერებიდან, რომლებიც ბლომადაა შე-
კრებილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და
საეკლესიო მუზეუმში. უფულობის გამო ვერავინ კისრულობს
მათ დაბეჭვდას, რადგან ხარჯი დიდი უნდა, ეს დიდი საქმეც
იკისრა განსვენებულმა მღვდელ-მთავარმა და თვისის საფასით
დაბეჭვდა: „მზა-მეტყველება, ანტონ კათოლიკოზისა, „ლექ-
სიკონი“ საბა-სულხან ორბელიანისა, „ხმა ცოდვილისა ღვთი-
სადმი“ ავალიშვილისა, „სიტყვანი და მოძღვრებანი“ ამბროსი
ნეკრესელისა, „ლექსიკონი“ რაფაელ ერისთავისა, „შიო მღვიმის
„ისტორიული საბუთები“ და სხვანი.

ღვაწლ მოსილ, ეროვნულ, თავისუფალ ივერიის ეკლე-
სიას, თავისუფლების დროსვე ამშვენებდა და ამკობდა მშვე-
ნიერი საეკლესიო გალობა, გულს ჩამწდომი და სასოების
აღმძვრელი. ობლობასა და ქვრივობაში ეს განძიც დაჰკარგა
ჩვენმა ეროვნულმა ეკლესიამ და დარჩა ამარად დიაკვნების
უგემურ ვითომდა გალობისა. განსვენებულმა მღვდელ მთა-
ვარმა არც ეს ფრიად მნიშვნელოვანი საგანი დასტოვა უყუ-
რადღებოდ და გადასდო 2000 მან. მის აღსადგენად და ნო-
ტებზე დასაწყობად. ეს საქმე დაავალა მუსიკის მცოდნე იპ-
პოლიტოვ-ივანოვს, რომელმაც უკვე შეასრულა ასეთი და-
ვალება ივერიის ეკლესიის ჭირისუფლისა. დღეიდან ჩვენს სა-
ეკლესიო გალობას ხიფათი აღარ მოელის, რადგან იგი გა-
დაღებულია და დაწყობილი ნოტებზედ ეპისკოპოზ ალექსა-
ნდრეს წყალობით.

ასეთი იყო განსვენებული ბერი ალექსანდრე, აღსავსე
უზომო სიყვარულით სამშობლოსა და მოყვასისადმი, მისი
მზრუნველი და მოჭირნახულე, კაცი სათნოიანი, წყნარი და
თან გულადი და უშიშარი. ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე
ქედს არ იხრიდა და როცა საჭირო იყო, თამამად ამხილებდა
და უძრახდა ხოლმე უნაყოფო ცხოვრებას. თ. ლევან მელი-
ქიშვილის დასაფლავებაზე პირდაპირ სთქვა განსვენებულმა –

ბევრის სიკეთის მოტანა შეგეძლო, რადგან იყავ ძლიერი და მდიდარიო, მაგრამ ისე მიიცვალე, რომ ქვეყანას არაფერი არგეო.

ხანგრძლივი ცხოვრება განსვენებულ მღვდელ მთავრისა განუწყვეტელი სამსახურია დაობლებულ ივერიის ეკლესიისა და წამებულ სამშობლოსი. მადლიერი ერი არ დაივიწყებს თვის საყვარელ მწყემსს, მის მირონცხებულ მარჯვენას, სათნოებით და სიკეთით სავსე გულს და მამაშვილურ მზრუნველობას ჩვენდა სასიკეთოდ და ზნეობრივად აღსამაღლებლად. მართალი სთქვა „უკვდავმა“ ილია ჭავჭავაძემ, გამოთხოვების დროს, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში რომ გაისტუმრეს ტფილისიდან ეპისკოპოზი ალექსანდრე: „თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთნელია. ოჰ, რა ბედნიერია იგი კაცი, რომელიც გწვრვთნის და გვასწავებს ჩვენ არამც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცა, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენიო“.

სიცოცხლის დროს განსვენებულ მღვდელ-მთავარ ალექსანდრეს ქართველმა ერმა მიართვა ძვირფასი სამღვდელ-მთავრო კვერთხი ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ბერობაში ალექსი ოქროპირიძე, დაიბადა ქართლში, ს. დისევში, 1824 წ. სწავლობდა გორის სასულიერო სკოლაში, შემდეგ ტფილისის სემინარიაში და სწავლა დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, ეპისკოპოზად აკურთხეს 1862 წ. ტფილისის საკათედრო სიონის ტაძარში. მღვდელ-მთავრობდა აფხაზეთში, გურია-სამეგრელოსა და ქართლში. სინოდმა მრავალი ჯილდო უწყალობა განსვენებულს, ხოლო მთავარ-ეპისკოპოზის ხარისხი მაინც არ მისცა.

ალ. ყიფშიძე.

სიტყვა
თქმული დეკანოზი დ. ხახუტაშვილის მიერ ნეტარ ხსენებულის ეპისკოპოზის ალექსანდრეს ცხედრის წინაშე და საფლავების დღეს შიო მღვიმის მონასტერში.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

მოველ მეც, რათა თაყვანი ვსცე წაქვენს წმიდა ცხედარსა, ჩვენო სასოება მეუფეო. მოვედი შორის მესხეთიდგან, რომლისთვისაც ისრე გული შეგტკივოდა, რომლის ავს, თქვენს ავად ითვლიდით და კარგს კარგადა; რომელზედაც ყოველი

ხილვის დროს გულს მხურვალეთ გამომკითხავდით მის ბედ-
სა და უბედობასა და, თუ იპოვნიდი რამე კარგს მხარესა
მის ცხოვრებაში, აღივსებოდით სიამოვნება კმაყოფილებითა,
ხოლო უბედობა მისი და სიბნელე მისთა მცხოვრებთა მოგ-
ფენდა კაეშანსა. გარნა არა მარტო მესხეთი იყო საგანი თქვე-
ნი მამობრივი მზრუნველობისა, ამნაირისავე სიყვარულით
ეალერსებოდით ყველა კუთხეს ჩვენი დაბეჩავებულს ქვეყნისას და
ყველასათვის ერთნაირად ცდილობდით შვება-ლხენას მისცე-
მოდა, კეთილ-ქრისტიანულ გზაზედ ეარნა და დაეთრგუნა
სიბნელე, ეს გამანადგურებელი ჩრჩილი ადამიანთა სიცოც-
ხლისა, კეთილ-დღეობისა, წინმსვლელობისა. ამ ნაირივე
ქრისტიანული სიყვარულით ეგებებოდით ყოველი ქვეყნის,
ხალხის კარგსა, იწყენდით ავსა.

ზემო ნათქვამთა ნათელ საყოფელად საკმარია მხოლოდ
დავასახელოდ რამდენიმე-ფაქტი თქვენის ცხოვრებისა, თქვე-
ნის მოქმედებისა, თქვენი საფასით აღიზარდნენ სხვა-და-
სხვა სასწავლებლებში მრავალნი შვილნი ჩვენის ქვეყნისა.
თქვენ განვიახლეთ არა ერთი დიდება ჩვენის წარსულის
ცხოვრებისა – მონასტერი – და ამითი თვალი აგვიხილეთ, რა-
თა შეგეყვარებინათ ჩვენთვის ჩვენი თავი, რათა მოგეცათ
მაგალითი, გაგემხნევებინეთ ჩვენ დალაჩრებულნი, დამცონა-
რებულნი, უთავდარიკოდ ქცეულნი. თქვენი საფასით გამოე-
ცით არა ერთი საუნჯე ჩვენი წარსული გონიერებისა, რათა ამითი
გაგემდიდრებინათ, წინ წაგეწიათ, გაგემხნევებინათ ჩვენი დაკნი-
ნებული ცხოვრება გონების მხრით, დაკნინებული მწერლო-
ბა, დაკნინებული ენა. შენ ყველასფერს იკლებდი, ატარებდი
ბერულ ცხოვრებას, რათა ზედ მიწევნით აღგესრულებინათ
ქრისტეს მცნებანი, ხოლო თუ რამე მოგეპოვებოდათ სთე-
სავდით ამით მადლსა და სიკეთესა.

ცხოვრება თქვენი, როგორც სასულიერო პირისა, იყო
აღსავსე სასობითა ღვთისადმი, აღსავსე უმაღლესი ზნეობრიო-
ბით, ზომიერებითა, თავ-მდაბლობითა. ქვეყნიურს ცხოვრებას
თქვენ არასფრად არ აგდებდით, ვითარცა მოსავი ქრისტესი
და ამიტომ იყავით პირადი, სიმართლისათვის თავ-დადებუ-
ლი, ავის მძრახველი, ვისშიაც უნდა შეგენიშნათ იგი, თუმ-
ცა არა ერთხელ შეგმთხვევია ამისათვის უსიამოვნება.

ბოლოს დაღლილმა, დაქანცულმა ამა ცხოვრების ამაო-
ებასთან ბრძოლით დაუტევე ხორციელი ესე ცხოვრება, ვი-
თარცა ტვირთი მძიმე, რათა წარსდგე წინაშე ზეციერის მსა-
ჯულისა. განგვშორდი, ჩვენო სასოება მღვდელ-მთავარო, მო-
გვაკლე თქვენის კეთილ ზნეობრივი მაგალითები, გულწრფე-
ლი რჩევა-დარიგება და ამითი ჩაგვაგდე ურარო სიმძიმელში,
დარდში, საგონებელში, ვინ ვიშოვოთ თქვენებრ კეთილი
მაგალითი ქრისტეს მოსავებისა?! ძნელია მეტად ეხლანდელს
უსარო ცხოვრებაში ვიპოვნოთ იმდენად შემკული სასოებითა,

როგორც თქვენ და აი ამიტომ ვიშიშვით დიდის მწუხარება-ვაე-
ბითა. ხოლო თუ ეს სიმძიმელი ცივი გულიდგან არ ამოდის, თუ
მართლა მადლიერნი შვილნი ვართ თქვენი, ამას დავამტკიცებთ
იმითი, რომ თქვენს წმინდა ცხოვრებას დავისახავთ მაგალი-
თად, თქვენ მიერ ნავალ გზაზედ ვივლით, თქვენ დიდთა სა-
ქმეთა წავბაძავთ. ესე ყველა იქნება თქვენს მაგიერი ნუგეში
ჩვენთვის, ხოლო თქვენი სპეტაკი სულისათვის საოხი იმა
ცხოვრებაში, ვინაიდგან ამითი ნათელი ყოფილ იქნება, რა-
მე თქვენდა მინიჭებული ღვთისა მიერ ტალანტი კეთილად გი-
წაღმართებით. ამინ.

დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი.

სიტყვა
თქმული შიო-მღვიმის მონასტერში ალექსანდრე ეპის-
კოპოზის დასაფლავების დღეს.

ყოველს ერს ყავს თავის წინამძღოლნი, მოწინავე პირ-
ნი, გამოჩენილნი მოღვაწენი, რომლებიც შეადგენენ ერის
ძალას, ერის სიმდიდრეს, ერის დიდებას. ჩვენც, ქართვე-
ლებსა, დღემდისაც გვყოლიან და ეხლაც გვყვანან დიდე-
ბულნი მუშაკნი, ზეგარდმომადლით ცხებულნი მოთავენი,
რომლებიც მუდამ იღვწოდნენ და დღესაც დაუცხრომლად
იღვწიან ჩვენის ერის წინსვლელობისათვის, ჩვენის ერის კე-
თილ-დღეობისათვის, ჩვენის ერის ბედნიერებისათვის.

აი ამ რჩეულთა მოღვაწეთა შორის, უეჭველად, ერთი
უპირველესი ადგილთაგანი ეჭირა აწ უკვე განსვენებულს,
საქართვლოს ეკკლესიის მნათობს, სასიქადულო ეპისკოპოსს
ალექსანდრეს... სამშრბლოს ღრმად მოყვარული, ერთგული
შვილი საქართველოს ეკკლესიისა, შარვანდოსანი მღვდელთ-
მთავარი ალექსანდრე დაბადებიდან სიკვდილამდის ერთგუ-
ლად ემსახურებოდა მამულს და ეკკლესიას, მთელი ცხოვ-
რება განსვენებულისა მოწამეა იმის, რომ მას ქონდა სარწმუ-
ნოება ურცხვენელი, სასოება მტკიცე, სიყვარული შეუორ-
გულებელი – მთელი ცხოვრება განსვენებულისა მოწამეა იმისა,
რომ საქართველოს ამ დიდებულმა შვილმა დიდებულად შეასრუ-
ლა თავისი დანიშნულება, ჩინებულად მოიხადა ამ ქვეყნის ვა-
ლი და განწმენდილი, განსპეტაკებული დღეს მხიარულად წარ-
მდგარია წინაშე ღვთისა, რომ მიიღოს მისგან უხრწნელი
გვირგვინი დიდებისა.

ნეტარება იმ დედას, იმ ქართულ მანდილოსანს, იმ ღვ-
თისნიერ ადამიანს, რომელმაც პაწია ალექსი ოქროპირიძეს

აწოვა თვისნი ძუძუნი და ტკბილ რძესთან ერთად ჩაუნერგა მას გულში უუღრმესი სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი.

გიხაროდენ, მეუფეო, და შესწირე მადლობა შენს მფარველს ანგელოზს, რომ სიყრმიდგან აქამომდე დაგიფარა შენ მან ეშმაკის საფრთხეთაგან და მშვიდობით გამოგასალმა შენს მადლიერს სამშობლოს:

იცოდე, მეუფეო, რომ გმადლობს შენ საქართველოს ისტორია, რომლის განმტკიცებას შენ ხელს უწყობდი და რომლის ნაშთთა შენ იყავი მცველი და მფარველი; გმადლობენ შენ წმინდანი კაპადოკიელი მამათმთავარნი: შიო მღვიმელი და იოანე ზედაზნელი, რომელთა სავანენი შენ აღადგინე და განამშვენე შენის წვლილთა.

გმადლობს შენ, მეუფეო, ენა მშობლური, ენა ქართული, რომლის აღორძინებას და გაძლიერებას შენ ეტრფოდი წრფელის გულითა.

გმადლობს შენ, მეუფეო, ერი ქართველი, რომელსაც შენ აღუზარდე და მემკვიდრეთ დაუტოვე შენებრ მორწმუნე და სამშობლოსათვის თავდადებული მღვდელთ მთავარი, აი ეს შენი ლეონიდი, რომელიც ასე გულდაწყვეტილად დღეს ეთხოვება შენს წმიდა ნაშთსა.

მადლიერი შენის ღვაწლისა და დღეს გულდამწვარი შენის დაკარგვითა სრულიად საქართველოისა და კერძოდ გურია-სამეგრელოს ეკკლესია გეთხოვება შენ, მეუფეო, და ჩემის ცოდვილი ბაგითა გევედრება: ევედრე, მამაო წმიდაო, ყოვლად წმიდა ღვთის მშობელს მარიამს, რომლის წილხდომილი ქვეყანაა ჩვენი საქართველო, რათა მან ყოვლად მოწყალემან მოუვლინოს საქართველოს ეკკლესიას კეთილ დღეობა და ქართველს ერს მომადლოს: სარწმუნოება ურცხვნელი, სასოება მტკიცე და სიყვარული შეუორგულებელი...

მშვიდობით, მწყემსო კეთილო!.. გვაკურთხენ, წმიდაო მღვდელთმთავარო!.. ამინ.

ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელი **იოანნე ბობოხიძე**

სიტყვა
ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზის
გარდაცვალების გამო მისს ყ-დ უსამღვდელოესობას
ეპისკოპოზს ლეონიდს.

ყ-დ უსამღვდელოესო მეუფეო! მართა და მარიამთან მათი ძმის ლაზარეს მიცვალებაზედ, თვით მაცხოვარი ღმერთკაცი იესო ქრისტე შესწუხდა და ცრემლეობდა. თქვენ მეუ-

ფეო, როგორც კაცი და ნანდვილი ქართველი გულკეთილი, განათლებით მგრძნობი ყოველივე ქვეყნიური და ზეციური მოქალაქობისა, რა გასაკვირველია ვინმესაგან, რომ დიდი მწუხარე იქმნებით თქვენი ღვიძლითი საყვარელი და სასიქადულო ბიძის ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს საუკუნოდ მიძინებისათვის; გიბედავთ და მოგახსენებთ, რომ მთელად საქართველოში სასიქადულო არსება იყო, კაცი იგი უმანკო, ნათლით მოსილი, არა ანგარი, არა მომხვეტი, არა პირადათ ვინმებთან სათნო, არა შემკრები სიმდიდრისა; არამედ კანონიერი შემოსავალი, რაიცა შემოდიოდა, იმასაც ყოველივეს ახმარდა ქველს საქმეებს და ყოველ გაჭირვებულთ ცხოვრებაში აძლევდა შემწეობას და ნუგეშს.

ვკადნიერობ მოხსენებათ, კაცი იგი და დიდათ პატივცემული ნეტარხსენებული ყ-დ უსამღვდელოესი და თქვენი მეუფების საყვარელი ბიძა ალექსანდრე, ყოველი ქვეყნის სასიქადულო და დიდი მოძღვარი იყო, მასთან თქვენი აღმზრდელთ, ღვთის სასიამოვნოთ თქვენი გზის მანძილის დანიშნულების მაჩვენებელი და სხვა. ნუ უკვე დიდი სამწუხარო არ იქმნება თქვენი მეუფებისათვის ამ გვარი ბიძის და მამის საუკუნოთ მოშორება და დაკრძალვა? ჭეშმარიტათ ყოველ მოფიქრების და გახსენების დროს დიდი მწუხარება აღიძვრის თქვენს წმინდა სულ-გულში. ყ-დ უსამღდელოესო მეუფეო! მე თქვენი მეუფების უუქვეშევრდომი მოსამსახურე მონა, ღირსად ვსთვლი ჩემს თავს რომ ჩვენი საყვარელი მწყემს მთავრის მწუხარებას, მეც მორჩილმა მონამ თანა უგრძნო და ჩემი გულის სიღრმისაგან აღმონახეთქი მწუხარება შეუერთო თქვენი მეუფების მწუხარებას; არა პირ მოთნეობით, არამედ ჭეშმარიტი მგრძნობი-მწუხარებით.

მე თუმცა მისი მეუფების წმ. სულის ნაშთის ცხედრის, პირადათ თაყვანის ცემის ღირსი ვერ გავხდი, რომ ერთად თქვენს წინაშე მეც მონაწილეობა მიმეღო და შემეერთებია ჩემი ცრემლით მწუხარება სხვათათანა; მაგრამ ეს ვერ მოვახერხე სხვა და სხვა მიზეზების გამო და ნამეტურ დაცემულმა ცხოვრებამ და უსახსრობამ, ამ ორივე მხრის მიზეზების მომფიქრებელმა ისევ მივმართე ჩემდამო რწმუნებულ ალავერდის წ-ის გ-ის ეკკლესიას და ერთად ჩემი მრევლის ორისავე სქესისა თან დასწრებით მხურვალე გულით და ცრემლით შევსწირე ღვთისადმი ვედრება, წირვა. ლოცვით და პანაშვიდებით 10, 15, 17 და 18 ამა ნოემბერს ნეტარ ხსენებული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს სახელზედ და მრევლთა მოკლუ სიტყვით გავაცანი მისი მეუფების ყოველი მოღვაწეობა და მრავალნი ქველის საქმენი, ერთად თქვენი მეუფების სისხლითი ნათესაობისა და სხვა საუკუნოთ იქნება ხსენება მისი, რამეთუ წმიდა ადგილი განსვენებისა მიელის მას ამინ.

აი მისი მეუფების, ჩემდამი ერთი კეთილი ქველის საქ-
მე: 1864 წ. მარტო მე ქვეითათ მივდიოდი ზუგდითით სვა-
ნეთში ფიქრით დაღონებული, ხოპის მონასტერს იქით სა-
თეკლათში ფოთის გზა ტკეცილზედ შემომხვდა მისი მეუფე-
ბა ალექსანდრე სოხუმიდამ მომავალი, ტარანტასი ცარილი
ნელ-ნელა წინ მიყავდათ და მისი მეუფება უბრალო ტანი-
სამოსით და შლიაპით ქვეითად ნელა მობრძანდებოდა (მუხ-
ლების მოსამართავად). მე გაფიქრებულმა ვერ შევიცანი და
შორის ნაპირიდგან უბრალოდ თავი დაუკარი, მან ცნობის
ნიშნათ ორივე ხელით ჯვარი გადმომსახა, მაშინ ვიცანი მისი
მეუფება და ჩემი შეცთომა, ვიახელი და ბოდიშის მოთხო-
ვით თაყვანი ვეცი, შეჩერდა, ვინაობა და გარემოება მკითხა,
მეც ყოველივე ჩემი გასაჭირი მოვახსენე, თვალზედ ცრემლი
შემნიშნა, ნუგეში დარიგებით მიბრძანა, ჩემი სახელი და
გვარი კნიღაში დაინიშნა და მიბრძანა „მე გაბრიელთან გა-
ვივლიო"... (1) ბოლოს გამოსათხოვარი შენდობის ჯვარი
გადამსახა, მე ორივე ხელები გაუწოდე როდესაც ხელებ-
ზედ მარჯვენე დამსდო, ჩემს ხელში შევნიშნე დაკუშნილი
ქაღალდი ჩამიდო, მე შევჩერდი, მაგრამ მიბრძანა: „მოკი-
დე ხელიო, ცხენი იშოვნე ქირად და საგძლათ იკმარეო“.
თაყვანი ვეცი და გაუდექი გზას, ვნახე, რომ 25 მანეთი იყო
ბოძებული. ერთი თუმნიანი და სამი ხუთ ხუთმანეთიანები, მე
კი სვანეთში მიმავალს მარტო 3 მ. 60 კაპ. მედო ჯიბაში,
ცალკე ქვეითობა და უფულობა მაღონებდა გულს და ცალ-
კე ცოლ-შვილის და ოჯახის მიტოება. და თვალ ცრემლიანი
დაწუხებული მივღოღავდი... ვერ წარმოიდგენს კაცი ამ
დროს ამ გვარმა ქველის საქმემ, რანაირად დაშრიტა ყველა
ჩემი მწუხარება და სხვა...

მღვდელი **ალექსანდრე არდიშვილი**

(1) ვფიქრობ და საქმითაც აღმისრულა, რომ მისი მეუ-
ფების ქუთაის გაბრიელთან გავლის შეპირებამ ჩემზედ კარ-
გათ იმოქმედა 1864 წ. – 1884 წლადდმდე და შემდეგ კი
დაიხურა ჩემი მტრების მეოხებით და სხვა.

სიტყვა,
თქმული «საქართველოს საისტორიო და საეთნო-
გრაფიო საზოგადოებისა» მდივნის **ს. რ. გორგაძის** მიერ
განსვენების დღეს, 16 ნოემბერს.
ყოვლად-უუსამღვდელოესო მეუფეო!

ორი თვეც არ არის, რაც «საქართველოს საისტორიო
და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ» თავის წევრად აგირჩიათ;
და დღეს მიუწდომელი განგების ძალით, იგევე „საზოგადო-
ება“ იძულებულია, აქ, შენ მიერ განახლებულ ამ წმიდა სა-
ვანეში, ჩემის პირით უკანასკნელი სალამი მოგიძღვნასთ!

დაუვიწყარია მეუფეო, შენი ღუაწლი ჩვენი „საზოგადო-
ებისთვის“: შენ თითქმის პირველმა დაიწყე ის საქმე, რომელ-
საც დღეს ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“ ემსახურება; შენ შენის
საფასით აახლებდი ჩვენი ძველი ხუროთ-მოძღვრების დანგრე-
ულს ნაშთებს, შენის საფასით ჰბეჭდავდი ჩვენი ძველი მწერ-
ლობის საუკეთესო, ნაწარმოებს, აკრებინებდი და შენისავე
საფასით აბეჭდვინებდი თვით ხალხის გულიდან ამოხეთქილის
ქართულის საეკლესიო გალობის საყურადღებო ნიმუშებს და
სხვა. – ყოველივე ეს ჩვენს „საზოგადოებას“ სრულს იმედს
აძლევდა, რომ არც მას დასტოვებდით უყურადღებოდ. მაგ-
რამ განგებამ სხვაგვარათ ჰსაჯა, – და დღეს ჩვენი ნორჩი „სა-
ზოგადოება“, სხვა საერო დაწესებულებებთან ერთად, მწა-
რედ გლოვობს შენს დაკარგვას.

საუკუნო იყოს ხსენება შენი ჩვენ შორის, სამშობლო
ქვეყნის მოჭირნახულე მღვდელმთავარო!

1907 წ. 16 ნოემბერს. **შიო-მღვიმე.**

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეფისკოპოზი.

1905 წელს დამნიშნეს მცხეთის ნავთ-საყვანის სადგუ-
რის უფროსათ. გავიგე რა, რომ ყოვლად სამღვდელო ალექ-
სანდრე შიო მღვიმის მონასტერში ცხოვრობს, წავედი მონა-
სტერში მის სანახავად, მართალი არის ყოვლად სამღვდე-
ლო მე არ მიცნობდა, მაგრამ სამაგიეროთ მას ყველანი იც-
ნობდა და გადავსწყვიტე გავცნობოდი. პატივის ცემით მიმი-
ღო ყოვლად სამღვდელომ და როცა გაიგო, რომ მათ მე-
ზობლათ ვცხოვრობ დიდათ ესიამოვნა და დამპირდა ჩემსას
მოსლა.

ზაფხულში იმავე წელს შემთხვევამ მისცა ყოვლად სამ-
ღვდელოს არმაზის მონასტერში წასულიყო და დაბრუნები-
სას გამომიარა. დღის პირველ საათიდან საღამოს ექვს საათამ-
დის დარჩა ჩემთან ყოვლად სამღვდელო თავის კრებულით.
ამის შემდეგ არა ერთხელ დავსტკბარვარ მისი ტკბილი, მამო-
ბრივი ლაპარაკით. ყოველ მის სიტყვაში მკაფიოთ იხატებო-
და მისი განუსაზღვრელი სიყვარული მამულისადმი და და-

ჩაგრულ ქართველ ერის სიბრალული.

როცა მოძრაობის დროს ლაპარაკი ასტყდა საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიაზე ყოვლად საღვდელოს დიდათ გაეხარდა და ყოველთვის, როცა კი მნახავდა იმას მკითხავდა თუ როგორ მიდის ავტოკეფალიის საქმე.

ერთხელ, ავტოკეფალიაზე რომ ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, მითხრა: „ავტოკეფალია იმისთვის კი არ მეხარება რომ, როგორც ყველაზე დამსახურებულს, კათოლიკოზობა მე მერგოს, არამედ იმისთვის, რომ ქართველ სასულიერო წოდებას ცოტათ თუ ბევრად თავისუფლება მიეცეს, მაშინ ის მავნე ქართველებისათვის პირები, რომელნიც ეხლა არიან სასულიერო წოდებათა რიცხვში, საქართველოს ეკკლესიიდან განიდევნებიან. მე კი თუ მცხეთამდის, როგორც უძველეს საქართველოს ეკკლესიამდის, მივაღწიე, რომ ვეკურთხო კათოლიკოზად, მეორე დღესვე ჩემზე ახალ-გაზდას და უფრო ღირსეულს დაუთმობ კათოლიკოზობას.“

სოფელ ძეგვის მცხოვრებთანი ბევრნი მუშაობდნენ ჩემთან სადგურზე და რომ გაიგეს მე ეგრე დაახლოვებული ვარ ყოვლად სამღვდელოსთან, შემომჩივლეს: ალექსანდრე ეფისკოპოზი უსამართლოთ გვეპყრობაო – საძოვრის გადასახადი არის ჩვენზედ დარჩენილი და ოცდა ათ თუმანს ვაძლევთ და არ შვრება, სამოც თუმანს გვთხოვსო და თანაც გვემუქრება, თუ არ მომცემთ ეგზეკუციას ჩამოგიყენებთო. გამიკვირდა ეს ამბავი და მე თავს ვიდე შემერიგებია ყოვლად სამღვდელო და სოფლელები. წავედი ყოვლად სამღვდელოსთან და ყოველივე უამბე და თანაც ვსთხოვე დასჯერებოდა ოც-დაათ თუმანს სოფლელებს. აი მისი პასუხი: „როგორც უთქვამთ, ხომ ისინი ოცდა ათ თუმანს მაძლევენ? მე დიდის სიამოვნებით ოცს დავსჯერდები, მაგრამ არ იძლევიან და მეც ხომ მაგათათვის კარები არ ამიტალახიანებია სიარულით და თხოვნით, რაც შეეხება ეგზეკუციის ჩაყენებას ეს ხომ სულ ცილის წამება არის და რას მემართლებიან არ ვიცი.

ეს ამბავი, ე. ი. ეფისკოპოზის ალექსანდრეს პასუხი, გადავეცი ძეგველებს და იმ დღიდან გაჩუმდნენ; არც ფული მოუტანიათ ყოვლად სამღვდელოს გადასაცემად და მისი ძვირის ლაპარაკსაც თავი დაანებეს. ვინ ავრცელებდა ამისთანა შეუსაბამო ჭორებს ალექსანდრეზე? რასაკვირველია ისინი ვინც იმ დროს მოისურვეს საღვდელოების დაცემა ხალხის თვალში.

ამ უსიამოვნებას თან მოყვა ორი სხვა დიდი სამწუხარო შემთხვევა ალ. ეპისკობოზისათვის: 1) ის, რომ თფილისის გიმნაზიის მოსწავლეებმა, როგორც ეკსკურსანტებმა, ღამე გაათიეს მონასტერში, ყოველ ნაირი პატივის ცემა მიიღეს, როგორც სასმელ-საჭმელი, ისე მოსასვენებლათ საგებსახურავი და მადლობის მაგივრად ისეთი საზიზღარი საქმე ჩაიდინეს, რომლის მგზავსი არა თუ გიმნაზიელებს არამედ

უბრალო, გამოუთლელ და გონება დახშულ ადამიანებს არ ეპატიება და რომელზედაც მაშინდელ ჟურნალ-გაზეთობამ საკმარისად გაჰკიცხეს ჭკუის კოლოფების (გიმნაზიელების) მოქმედება. უნდა გენახათ რა ნაირათ სწუხდა ყოვლად სამ-ღვდელო ამ მოსწავლე ბავშვების საქციელზედ. ის იმას კი არა სწუხდა, რომ მათ დაამტვრიეს და გააფუჭეს, როგორც ზა-რალზედ არა ის სტიროდა მოსწავლეთ სულიერ დაცემულო-ბას.

2) ის, რომ ბოროტ მოქმედებმა თავს დაესხნენ, გაცარ-ცვეს და მისი გულითადი საყვარელი, მისივე გაზდილი, კე-ლენიკი, ბესო მოუკლეს. ბოროტ-მოქმედებნი შორეულები არ იყვნენ, რადგანაც გაცარცვის დროს საკმარისად გამოი-ჩინეს ცოდნა თუ თაფლი ან სხვა ნივთები სად ინახებოდა. ისიც გაიგო ყოვლად სამღვდელომ, თუ რომელი სოფლიდან იყვნენ ბოროტ-მოქმედნი და, თუ მიუთითებდა მთავრობას, ადვილათ მოინახებოდა დამნაშავენი, რადგან წაღებულ 40 ფუთ თაფლს ეგრე ადვილათ ვერ დამალავდნენ, მაგრამ ხალ-ხის სიბრალულმა და სიყვარულმა დასძლია და სწორეთ მის-თვის, რომ ეგზეკუცია არ ჩაეყენებინათ სოფლელებისთვის, სადაც დანაშაულებთან უდანაშაულოც დაისჯებოდა, გაჩუმდა და გულში ჩაიკლა ეს ვარამიც და სწორეთ ამ შემთხვევის შემ-დეგ მისი სიცოცხლის დღენიც მალე დაითვალნენ.

იოსებ ფანცულაია

ეპისკოპოსი ალექსანდრე

(საბიბლიოგრაფიო წერილი)

4 მარტს ამა წლისას შესრულდა 35 წელიწადი, რაც ეპისკოპოსად იქმნა კურთხეული დიდად პატივცემული მწყე-მსთ-მთავარი ალექსანდრე, რომლის დღესასწაულიც ამ 9 მა-ისისათვის არის გადადებული.

ალექსანდრე ეპისკოპოსი დაიბადა 1824 წელს გორის მაზრაში და ამ ჟამად 73 წლისა. იგი შვილია სოფლის მღვ-დლის მ. დავით ოქროპირიძისა. ალექსი ოქროპირიძემ, შეასრუ-ლა რა სწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში, დაიწყო

სწავლა თფილისის სასულიერო სემინარიაში, აქაც დაამთავ-
რა იგი 1845 წ. და აღკვეცილ იქმნა ბერად თფილისის პი-
რველ ხარისხოვან ფერისცვალების მონასტერში და ჩარიც-
ხულ მონასტრის ძმათა შორის. იმავე წლის 18 აგვისტოს
მიეცა მთავარ-დიაკვნობა და გაიგზავნა ყაზანის სასულიერო
აკადემიაში, სადაც 1846 წლიდგან 1850 წლამდე სწავლობ-
და ღვთის მეტყველებასა, ფილოსოფიასა, ფიზიკა-მათემატიკა-
სა, სიტყვიერებასა, საეკკლესიო და საზოგადო სამოქალაქო
ისტორიასა და აგრეთვე ბერძნულსა, ლათინურსა, გერმან-
ულსა, ოსმალურსა, თათრულსა და არაბულ ენებს. ამ სწავ-
ლის დროსვე, 1849 წელს 6 ოქტომბერს იგი ხელ-დასხმულ
იქმნა მღვდელ-მონაზონად და, 1850 წლის 9 ოქტომბერს,
დამტკიცებულ ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხში.

აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ მამა ალექსან-
დრეს, ყაზანის აკადემიის გამგეობის წინადადებისათა საქართ-
ველოს ექსარხოსის განკარგულებისამებრ, თფილისის სემინა-
რიის გამგეობამ მიანდო ამ სემინარიის დაბალს განყოფილე-
ბაში სწავლება სამღრთო წერილისა და ლათინურის ენისა,
ხოლო უფროსს კლასებში ზნეობრივ ღვთის-მეტყველებისა
და არქეოლოგიისა. ამ საქმეს ადგა იგი 1851 წლის 15 თე-
ბერვლიდგან იმავე წლის 27 ივნისამდე. ამ მცირე ხნოვან
ყოფნის შემდეგ სემინარიაში იგი უწმიდესის სინოდის ბრძა-
ნებით დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამ-
ხედველად და იმასვე მიენდო აფხაზეთის ეპისკოპოსის მღვ-
დელ-მსახურთა შორის მღვდელ-მონაზონობა იმავე 1851
წლის 21 სეკტემბერს, თითქმის ამავე ხანს, 1851 წლის 28
ივლისიდგან 28 სექტემბრამდე, იგი დროებით ასრულებდა
თანამდებობას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექ-
ტორისასა და სამაზრო სასწავლებლის უფროსს განყოფილე-
ბათა მასწავლებლისას, აფხაზთათვის ილორში დაარსებულ
სასწავლებელთა წარმატებისათვის ისეთი გულ-მოდგინეობა გა-
მოიჩინა, რომ პირადად მაშინდელმა საქართველოს ექსარხო-
სმა, მიტროპოლიტმა ისიდორემ, 1851 წ. 8 მაისს, ნაბე-
დრენიკით დააჯილდოვა, ხოლო წლის თავზედ, 1853 წლის 7
თებერვალს, მის მიერ აფხაზთა სასულიერო სასწავლებლის
სასარგებლოდ გაწეულ შეწირულებისათვის უწმინდესმა სი-
ნოდმა თავისი მადლობა გამოუცხადა.

სამხედრო გარემოებათა გამო 1854 წლიდგან აფხაზთა
სასულიერო სასწავლებელი გაუქმდა და მ. ალექსანდრე ამ
წლის 3 მაისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხე-
დველისა და უფროს განყოფილებათა მასწავლებლის თანამ-
დებობის აღმასრულებლად დაინიშნა და ამ თანამდებობას ას-
რულებდა 1855 წლის 26 იანვრამდე. ამავე დროს, 1854
წლის 9 დეკემბრიდგან 1855 წლის 3 მარტამდე, იმერეთის
განსვენებულ ეპისკოპოსის ევთიმეს განკარგულებით იგი და

ინიშნა გაენათის პირველ ხარისხოვან მონასტრის წინამძღვ-
რად, 1855 წლის 30 ნოემბერს-კი ებოძა აფხაზეთის საარქი-
ელო კათედრის იღუმენობა.

ამავე დროს მან გამოიჩინა დიდი გულ უხვობა ქველ-
მოქმედების საქმეში და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის
ღარიბსა და ხელ მოკლე მოსწავლეებს ფულად დახმარება
აღმოუჩინა, ხოლო წლის თავზედ, 1856 წლის თებერვლის,
თვეში სევასტოპოლის დამცველ გმირთა და იმით გაღატაკე-
გულ სახლობათა სასარგებლოდ წელიწადში ოცი თუმანი შე-
სწირა იმ დრომდე, ვიდრე ომი გასტანსო.

1856 წლის 26 თებერვალს, უწმიდესის სინოდის ბრძა-
ნებით, აფხაზეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიერ იგი ხელ-და..
სხმულ იქმნა არხიმადრიტად მოსაწონ და საქებ საქციელისა
და ეკკლესიისა და მოზარდის თაობის სასარგებლო შრომი-
სათვის. ამავე წლის 2, ოქტომბერს აფხაზეთის ეპისკოპოსი
გერმანე იმერეთის კათედრაზედ გადაიყვანეს და აფხაზეთის
ეპარქიას 1858 წლის იანვრის თვემდე არხიმანდრიტი ალექსანდრე
განაგებდა. 1859 წლის 2 მაისის უმაღლესის სახელით ებო-
ძა ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა, ხოლო 1862 წლის
4 მარტს თფილისის სიონის საკათედრო ტაძარში ხელ დას-
ხმულ იქმნა აფხაზეთის კათედრის ეპისკოპოსად.

1867 წლის 5 აგვისტოს მან განაახლა თვისის ხარჯით
ძველი ტაძარი, სუხუმიდგან 2 ვერსის მანძილზედ მდებარე,
რისათვისაც მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ მად-
ლობა განუცხადა. 1868 წლის 31 მარტს გულ-მოდგინე სა-
მსახურისა გამო ეპისკოპოსს ალექსანდრეს ებოძა ორდენი წმ.
ვლადიმირისა მესამე ხარისხისა. იმავე წლის 14 ივნის პატივ-
ცემულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ განაახლა სოხუმს
ახლო, ზღვის ნაპირას, ქვითკირის სასაფლაოს ეკკლესია, ძველი
ეკკლესია ქ. სოხუმისა. 200 მან. შესწირა ილორის სასწავ-
ლებელს და 1878 წლის 22 თებერვალს ფული თფილისის
სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ.

1869 წლის 30 მაისის ყოვლად უსამღვდელოესი გერო-
ნტი მოხუცებულობისა გამო დათხოვნილ იქმნა და იმის ად-
გილას ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორეპისკოპოსად, გორის
ეპისკოპოსად უმაღლესად დაინიშნა ყოვლად უსამღვდელოე-
სი ალექსანდრე და იმავე წლის 30 ოქტომბერს პატივცემუ-
ლის ეპისკოპოსის თავჯდომარეობით შემდგარს კომიტეტს
მიენდო ქართულის დაბადების განხილვა და შესწორება.

1871 წლის 22 ოქტომბერს გულ-მოდგინე სამსახურისა
და მისდა მინდობილ თანამდებობათა წარჩინებით აღსრულე-
ბისათვის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ყოვლად უმოწყალესად
ებოძა ორდენი წმ. ანნასი პირველ ხარისხისა.

1878 წელს ოქტომბერს მისის უმაღლესობის კავკასიის
მმართველ დიდის მთავრის მიერ იგი დამტკიცებულ იქმნა კა-

ვკასიაში მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგენელ საზოგადოების სასულიერო კომიტეტის წევრად.

1882 წლის 2 აპრილს, უწმინდესის სინოდის ბრძანებით, ეპისკოპოსს ალექსანდრეს დროებით მიენდო გურიის ეპარქიის მმართვა გამგეობა და ამ თანამდებობას ასრულებდა თითქმის ოთხის წლის განმავლობაში, 1886 წლის 2 მარტამდე. ჯერ ისევ 1884 წლის 8 აპრილს მუდმივ გულ-მოდგინე და სასარგებლო სამსახურისათვის და განსაკუთრებულ შრომისა გამო, რომელიც გასწია გურიის ეპარქიის მართვის დროს, ეპისკოპოსს ალექსანდრე ყოვლად უმოწყალესად ებოძა ორდენი წმიდისა მოციქულთ სწორის ვლადიმირისა მეორე ხარისხისა.

უწმიდესის სინოდის 1886 წლის 7 მარტის ბრძანებით მის ყოვლად უსამღვდელოესობას მიენდო დავით გარესჯის უდაბნოს გამგეობა წინამძღვრის უფლებით, ხოლო 1887 წლის 3 მარტის ბრძანებით, რაკი ყოვლად პატივცემულმა მწყემსთ მთავარმა 21,000 მან შესწირა შიო-მღიმის უდაბნოს, ეს უდაბნო მონასტრის ხარისხზედ იქმნა აყვანილი da მის წინამძღვრად დაინიშნა ეპისკოპოსი ალექსანდრე.

1893 წლის 15 მაისის თვით იმპერატორ ალექსანდრე მე-III სიგელი მოუვიდა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელშიაც ნათქვამია: „ყურად ვიღე რა თქვენი ხანგრძლივი წარჩინებული და გულმოდგინე სამსახური მართლ მადიდებელ ეკკლესიის სასარგებლოდ, გიწყალობებ ამასთანავე წარმოგზავნილს „ძვირფასის ქვებით მოჭედილს გულზედ დასაკიდ სამღვდელმთავრო ხატსაო.“

ამას გარდა აქვს ნიშანი წითელის ჯვარისა, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მზრუნველ საზოგადოების მთავარ-სამმართველოსაგან მიღებული 1882 წლისს 23 ივნისს; იგი ნამდვილი წევრია 1889 წლიდგან წყლებისაგან რუსეთის დამსსნელ საზოგადოების; განსაკუთრებულ ღვაწლის გაწევისათვის იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებულ უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭოსაგან ნაბოძები აქვს გულზე სატარებლად სიკვდილამდე ოქროს ნიშანი 1896 წლის 5 იანვარს, ხოლო 1896 წლის 12 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავცელებელმა საზოგადოებამ“ საპატიო წევრად ამოარჩია „ნიშნად პატივისცემისა იმ დიდის ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ჰბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათ, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და სცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰღონობს, ისე იმითი, რომ, ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისის ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

აი მოკლე, სია იმისი, როგორ უვლია სამსახურის გზა-ზედ ჩვენს დიდათ სასიქადულო მწყემსთ-მთავარს. მისი უხვად გაშლილი ხელი საქველ-მოქმედოდ ყველამ უწყის მთელს საქართველოში და არა ერთი და ორი ობოლი გამოზრდილა და ეხლაც იზრდება იმისს ხარჯით. ყველამ უწყის ისიც, რომ მისის საფასით არის გამოცემული საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ლექსიკონი, თავ. რაფაელ ერისთავისა სამთა სამეფოთაგან, ამბროსი ნეკრესელის მოძღვრებანი, მზა-მეტყველება, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და სხვანი. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ მცირეოდენი სასყიდელი არა აქვს გამოღებული ჩვენს საერთო გულის-ტკივილით აღსავსე მწყემსთ-მთავარს ქართველის საეკლესიო გალობის ნოტებად დაწყობისთვისაც, რომლის განურყვნელად შეუბღალველად დაცვის მნიშვნელობა ფრიად ცხადია და განმარტება აღარა სჭირია.

ეს მრავალი გვარი, მრავალ ფეროვანი და დაუღალავი მოღვაწეობაა მიზეზი, რომ მისი უსამღვდელოება ეპისკოპოსი ალექსანდრე დიდად უყვარს მთელს საქართველოს ერს და ყველა დიდი, თუ პატარა, განუზომელს პატივს სცემს. ამ საერო მადლობის გარდა, არა ერთისა და ორის ქართველის გულია აღვსილი მისის მეუფების მადლობის იმ უხვის შემწეობის და დახმარების გამო, რომელიც მას გაუწევია კერძოდ იმათთვის გაჭირვების დროს.

ამ ოცი და თხუთმეტის წლის განმავლობაში და წინადაც მისი მეუფება მტკიცედ და სავსებით ადგა მცნებასა უფლისასა, – „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“-აო ყოვლად პატივცემული მეუფე ერთი იმ მწყემსთ მთავართაგანია, რომლითაც ერს, სულ ერთია, ქართველი იქმნება იგი, თუ სხვა, თამამად შეუძლიან თავი მოიწონოს, რომ ასეთი მოჭირნახულე, ასეთი გულ-შემატკივარი და მრავალის სათნოებითა და ღირსებით აღსავსე შვილი ჰყავს!.. ერთი მწერალი ამბობს, რომ ღონე და ძალა, ავკარგიანობა ამა თუ იმ ერისა იმითი განიზომება, თუ რომელს უფრო მრავლად ჰყავს დიდ-ბუნებოვანნი კაცნიო, და მისი მეუფება ეპისკოპოსი ალექსანდრეც ერთი იმ დიდ-ბუნებოვანთაგანია, რომელიც თავისს ერს, თავისს სამშობლოს მადლსა ჰფენს და თავისის სიკეთით თვით ერსაც სახელს უკეთებს.

ა. ახნაზაროვი

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო
ალექსანდრე!

საქართველო ძაძითა და მწუხარებით შეიმოსა, გლოვის ზარი გაისმა კიდითი-კიდემდე, რომ ობლად დაგვტოვე შენ დაუვიწყარო მამათ-მთავარო და ხალხის მოძღვარ-მესვეურო.

საქართველოს ერი იმ იმედით იყო გამსჭვალული რომ კათალიკოსის კვერთხით წინ წარუძღვებოდი, ჩვენს დაბეჩავებულს ხალხს და უფლება აყრილს ჩვენს ეკკლესიასა.

მაგრამ ვაი რომ მუხთალმა წუთი სოფელმა არ გვაღირსა, ეს ბედნიერება არც ჩვენ და არც შენ წმინდაო და ღირსო მამაო!

მაგრამ შენ მაინც ბედნიერი ხარ, რომ წმინდათ და უმწიკვლოდ გაატარე შენი სიცოცხლე და მთელი შენი ძალღონე შესწირე საყვარელ ქართველი ხალხის და ეკკლესიის სამსახურს.

როგორც ფრთხილი დარაჯი, შეუპოვრად და უშიშრად იცავდი ჩვენი ეკკლესიის შელახულ უფლებებს, მტკიცეთ და ერთგულად ემსახურებოდი, ხალხის განვითარებას და უანგაროდ სწირავდი მის კეთილ დღეობას, როგორც შეწ პირად ძალღონეს აგრეთვე მთელს შენს ქონებას და ყველაფერს რაც კი რამ გაგაჩნდა.

ქრისტიანულის სიყვარულით გარს ევლებოდი შენს სამწყსოს, ხარობდი იმისი სიხარულით და გულს იკოდდი იმისი სიმწუხარით; ამასთანავე მუდამ პირში ამხელდი, ყოველივე მის ცუდს, და მოურიდებლად – აშკარად ებრძოდი ამა ქვეყნის უნამუსობას, ფლიდობას და უსამართლობას.

შენი სასტიკი, მაგრამ სამართლიანი სიტყვა გულში ხვდებოდა ყველას; მდიდარს – თუ ღარიბს, დიდებულსა თუ მცირე ვინმესა და მძლავრად აგრძნობინებდა შენი არსების სიძლიერესა დიდ ბუნოვანობას და შენს რისხვას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც ხედავდი რომ აწიოკებდენ შენს საყვარელს სამშობლოს და ფრთებს უკვეცამდენ მასთან ერთად ივერიის ეკლესიასაც.

შენი გამუდმებული ბრძოლა ქვეყნის ორგულებთან, შენი ერთგული უანგარო სამსახური ჩვენი ხალხისადმი, სამაგალითოდ დარჩება შთამომავლობას და შენს სახელს მოფენს შარავანდედით და გახდის სამარადისო სათაყვანებლად.

შენ დაგვაობლე წმინდაო მღვდელ-მთავარო ალექსანდრე! მაგრამ ჩვენთან დარჩა შენი საქმენი, არ მოკვდება ის აზრი რომლითაც შენ იყავი აღფრთოვანებული და როდესაც საქართველოს ხალხი მას განახორციელებს, ჩვენც მოვალთ შენს დაუვიწყარ საფლავთან და „გიხაროდენ მეუფეო“ გი-

გალობებთ აღტაცებით.

ახლა კი გულ დათუთქული, თვალ-ცრემლიანი მუხლს მოვიდრეკ და ვეამბორები შენს წმინდა ცხედარს, მე როგორც ერთი შენი თაყვანის მცემელი და როგორც თავმჯდომარე წარმომადგენელი ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებისა.

სოსიკო მერკვილაძე.

ყოვლად სამღვდელო, მეუფეო ლეონიდ!

დიდად შემაწუხა მხცოვანის, ჩვენის სათაყვანებელის მღვ-დელმთავრის ალექსანდრეს გარდაცვალებამ. შემაწუხა არა იმი-ტომ, რომ იგი უცხოვოდ მოსწყდა სამშობლოს ციდამ, არა-მედ იმიტომ რომ ჩვენი დაჩაგრული სამშობლო თანდათან ცარიელდება და გადიან ბრძოლის ასპარეზიდან უკეთესნი შვილნი მისნი. ჭეშმარიტად, სამგლოვიაროა, სატირელ-სავა-ლალოა, რომ მოგვაკლდა წმინდა კაცი, წმიდა ბერი, უმწიკ-ვლო და უანგარო ადამიანი. სავალალოდ ჩემდა, პირადად ვერ დავესწარ, ჩემგან დამოკიდებულ მიზეზთა გამო, მეუფე-ალექ-სანდრეს დაკრძალვის დროს, ვერ დავესწარ, რომ უკანასკვნელად ვმთხვევიყავ მის წმინდა შუბლსა, მისს ბრწყინვალე და სპეტაკს სა-ხეს, დავკონებოდი მის მკერდსა სადაც ჰღვიოდა განუქრობელი ლამპარი სამშობლოს სიყვარულისა, სადაც სცემდა გული მხო-ლოდ და მხოლოდ სამშობლო ეკლესიის, სამშობლო ქვეყნის სა-კეთილ-დღეოდ და სადიდებელად. წაიღო მან თან ეს აღფრთოვა-ნებული სიყვარული სამშობლოსი, შეუერთდება იგი იმ წმინ-და გუნდს ჩვენი სამშობლოს მადიდებელთა, მისთვის წამე-ბულთა და მათთან ერთად აღავლენს „მთა წმიდით სიონით“ წმიდა ლოცვას ღვთის მშობლისადმი დასაცვავად მისს წილ-ხდომილ ქვეყანისა. ნეტარება მისს სულს, რომ წარსდგება პირნათლად იმ დიდებულის გუნდის წინაშე.

დაცარიელდა, მეუფეო, ჩვენი სასულიერო წოდება, განვიდა-რა მისგან წმიდა ალექსანდრე. ვიღას შესტკივა გული ჩვენის ეკლესიისათვის? ვიღა ამოიღებს ხმას ამა ქვეყნის დი-დებულთა წინააღმდეგ? ვინ ეტყვის მედგარს, პირდაპირ სიტ-ყვას ჩვენი სამშობლო ეკკლესიისა და ქვეყნის მდევნელთა? ერთად-ერთი მეუფე ალექსანდრე იყო ასეთი მებრძოლი.

ოდესმე ვეახლები შიო-მღვიმეში და თაყვანსა ვცემ მისს

წმიდა ნაშთსა. მინამდე კი ვსთხოვს მისს წმიდა სულს და თქვენ მეუფეო, მომიტევეთ, რომ პირადად, დაკრძალვის დროს ვერ ვეამბორე მის კურთხეულ მარჯვენას და თაყვანი ვერ ვეც მისს დიდებულს სახელსა.

თქვენი მეუფის ღრმათ მოყვარული და მსასოებელი

სოფრომ მგალობლიშვილი.

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობამ
მეუფეო ლეონიდ!

ვეამბორები თქვენი წ-დით მოსილს მარჯვენას და გამოვითხოვ თქვენი მეუფებისაგან ლოცვა კურთხევას.

თქვენი ბიძა ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს გარდაცვალება გავიგე გაზეთებიდან, რომელიც დამირჩა დიდი სამწუხაროდ, მსურველი ვიყავი უკანასკნელად პატივი მეცა განსვენებულისათვის და დავსწრებოდი მისი გვამის დაკრძალვას; მაგრამ ხელი შემიშალეს: ავათმყოფობამ და მეტადრე გვიან შეტყობამ.

ნეტარ არს კაცი იგი, ვინც ეღირსება ამისთანა სიკვდილს: არ განუცდია ავათ მყოფობა ისე მოსვენებულად მიიძინა და ეწია თავისი სიყრმიდგანვე აღრჩეულს საწადელს სანატრელად. მისი ქველმოქმედებები, მისი გულ შემატკივრობა ყოველი კეთილი საქმისადმი არ დაკარგავს მისი სახელს ამ წუთ სოფელში. მისი განსვენება არ ნიშნავს სიკვდილს, არამედ მშვიდობიანად გადასვლას სატანჯველიდან საუკუნო ცხოვრებისადმი. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი წიაღთა შინა აბრაამისათა.

ასული ჩემი ბებე უერთდება ჩემგან გამოთქმულს სამძიმარს მისი გარდაცვალებაზედ, რომლისათვის ყ-დ სამღვდელო ალექსანდე ბრძანდებოდა ყოველთვის გულკეთილი და პატივის მცემელი.

დავშთები მარად თქვენი მეუფებისაგან ლოცვა კურთხევის მთხოვნელი. პრინცესსა **სალომე მურატისა.**

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო
მღვდელ-მთავარო ლეონიდ!

თქვენი დაუვიწყარი ბიძის ყოვლად სამღვდელო ალექსა-
ნდრეს ღვთივ აღსრულებამ მთელი საქრისტიანო ძაძით შე-
მოსა, ხოლო მე კი უბადრუკს, რომელიც მას მეტის მეტად
უყვარდი, შინაურმა ვიწრო გარემოებამ და ავადობამ ენა მუ-
ცელში ჩამიგდო, მარჯვენა დამიდუნა და ფეხთ მომკვე-
თა, რის გამოისობითაც ვერ მოვახერხე აქნობამდე გამეზია-
რა თქვენი უღრმესი მწუხარება და ასე თუ ისე ნუგეში მე-
ცა თქვენთვის. გარნა ნათქვამია: სჯობს გვიანე ვიდრე სულ
არაო, ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ეს ჩემი დაგვიანებული გუ-
ლის სიღრმიდან ამოსკვნილი წრფელი სამძიმრის წერილი სულ-
გრძელობით და მიტევებით ჩემი უნებლიეთი დანაშაულობისა.

თქვენი ფეხთა მტვერი სამსახურს გარეშე მყოფი მასწავლე-
ბელი **ეფრემ ესტატესძე მარჯანიძე.**

**დიდათ პატივცემულო ყოვლად-სამღვდელო
ლეონიდ!**

სამწუხარო ამბავი მოგვიტანეს გაზეთებმა! ყოვლად-სამ-
ღვდელო ალექსანდრე, ეს წმინდა მოხუცი, მამა მგლოვიარე,
ტანჯული ერისა მოშორებია საქართველოს! მისი გულ-მხურ-
ვალე ლოცვა აღარ აღევლინება მეუფის დაჩაგრული ქვეყნი-
სთვის. როდესაც ამისთანა მოხუცნი გვეხოცებიან, გულში
რაღაცა მწყდება: განსვენებულისთანა ადამიანები წარსული-
სა და აწმყოს შემაერთებელი ხიდები არიან. ინგრევიან ეს ხი-
დები და მათთან ერთად იმედი წარსულისა და მომავლის
შეერთებისა, ოდესმე მაინც გადაბმისა – ირყევა-სუსტდება და
გულში ნელ-ნელა იზრდება საზარელი, სასოწარკვეთილების
მომასწავებელი, ცარიელი ადგილი.

მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, სამსა-
ხურის გარემოებანი ისე უკუღმა დამეხლართენ, რომ ვეღარ
მოვახერხე. უმთავრესი ამ გარემოებათაგანი იმაში მდგომა-
რეობს, რომ ხვალისთვინ აქ მოელიან ახალ მზრუნველს.
მეგონა – დასაფლავება კვირისთვის იქნება დანიშნული-მეთ-
ქი და ამის გამო არა ვჩქარობდი სამძიმრის მოწერას. თქვენ
დარჩით ახლა სამშობლო ქვეყნის მავედრებლად, გულ-წრფელ
მამად და ყოვლად შემძლებელს ვთხოვ შეგასრულებინოთ ეს
დიადი მოვალეობა ისეთივე მხნეობით, სიმტკიცით, რო-

გორითაც გაატარა თავისი უმწიკვლო სიცოცხლე ყოვლად-სამ-ღვდელო ალექსანდრემ. წმინდანი იყო და წმინდათა შორის განუსვენოს მას უზენაესმა მადლმა.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი **ნ. ლომოური.**

თქვენო მეუფებავ ყოვლად სამღვდელო
ლეონიდ!

ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ გიახელით და ვერ ვიღებ მონაწილეობას ღვთის მსახურებაში, რომელიც შესრულდება დაუვიწყარი, სახელოვანი, ნამდვილი ქართველი კაცის, თქვე-ნი ბიძის, ეპისკოპოზის ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად მოვალეთ ვხდი ჩემ თავს ჩვენ ხონის საკრებულო ტაძარში ყოველ წირვის დროს, სანამ ცოცხალი ვარ, არ დავაკლოთ მოხსენება ამ ჩვენ ქართველთათვის სასიქადულო მღვდელმთა-ვარს, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში სწირავდა ღმერთს უსისხლო მსხვერპლს ამ დიდებულ ტაძარში. თუ არა ვცდები განსვენებულს უკანასკნელსათაც აქ მოუხდა ამ მსხვერპლის შეწირვა. თუ ჩემი ფიქრი მართალია, ღვთის გა-ნგებას უნდა მიაწეროს ეს კაცმა. სულითა და გულით შეუე-რთებით თქვენ მწუხარებას.

თქვენი მარადის პატივის მცემელი **დეკ. ბაკურაძე.**

თქვენო მეუფებავ ყოვლად სამღვდელო.
ლეონიდ!

ყოვლად საღვდელო ლეონიდ! გულითადის მწუხარებით მოზიარე ვართ მე და ჩემდამო რწმუნებული სკოლის მოწაფენი თქვენი მეუფების მწუხარებისა თქვენი სასიქადულო და ძვირ-ფასი ბიძის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს გარდაცვალების გამო. საუკუნოდ იყოს მისი ნეტარი ხსენება. გადაღმა სვა-ნეთის ლახმულის სკოლის მასწავლებელი **მიხეილ კვაჭაძე.**

1907 წელი 27 ნოემბერი.

---

* *

*

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზის გარდაცვალებასა და დასაფლავებაზედ, ადგილობრივ რუსულს გაზეთებში ბევრი სწერეს. სხვათა შორის იმ დროის „ზაკავკაზიეს“ რედაქტორმა პართენ გოთუამ დასაფლავების დღეს „ზაკავკაზიეში“ წერილი დაბეჭდა და სურათი ყოვლად სამღვდელოსი. მერე დაიბეჭდა ის სიტყვა, რომელიც თავ. პ. ი. თუმანიშვილმა შიო მღვიმის მონასტერში წარმოსთქვა. აქ ვბეჭდავთ ამ სიტყვას.

„Умеръ епископъ Александръ! Умерь тотъ, кто горячо любилъ свою родину, христіанскую Грузію, кто болѣлъ душой за свой многострадальный народъ, кто ревниво оберегалъ безпорочную грузинскую церковь, кто боролся убѣжденно за ея независимость...

Безжалостная смерть не дала ему дожигь и увидѣть свѣтлые моменты возрожденія родной церкви...

„Не стало одного изъ нашпхъ крупныхъ общественныхъ дѣятелей! И въ самомъ дѣлѣ: взглянемъ на всю дѣятельность усопшаго архипастыря... Не онъ-ли создалъ этотъ великій образъ духовника, который дѣяніями и мыслью отдалъ своему родному народу всю жизнь свою, вселяя въ немъ христіанскія начала: духъ правды, смиренія и труда?...

Не онъ-ли отдавалъ всѣ свои сбереженія на возобновленія монастырей, этихъ памятниковъ исторіи христіанской Грузіи, которыхъ злая судьба грузинскаго народа превратила въ развалины и готова была совсѣмь ихъ уничтожить, сама не сознавая, что этимъ самымъ она уничтожала всю исторію грузинскаго народа?.. Не онъ-ли жертвовалъ на воспитаніе юношества того народа, который ему былъ такъ дорогь и невѣжество массы котораго заставляло его болѣть душою и дѣлиться этой болью путемъ печатанія и распространенія многочисленныхъ трудовь по исторіи славной прошлой Грузіи... Не онъ-ли лично своей черной работой, вотъ здѣсь въ этой обительской пустынѣ показывалъ примѣръ труда и примѣненія его къ землѣ, къ тому, что должно быть всего дороже для каждаго любяшаго родину!...

„Память о епископѣ Алексанлрѣ надолго останется въ народѣ грузинскомъ. Говорю только „надолго,“ потому что въ силу непрочности памяти людской и

самыя дорогія и близкія человѣку лица быстро, послѣ смерти ихъ, испаряются... Но глубоко я убѣжденъ, что исторія нашей родины внесетъ на свои страницы свѣтлое имя безкорыстнаго дѣятеля преосвященнаго Александра“ ...

Кн. **П. І. Тумановъ.**

ВАШЕ ПРЕОСВЯЩЕНСТВО, ГЛУБОКО УВАЖАЕМЫЙ ЛЕОНИДЪ!

Не имѣя возможности пріѣхать на погребеніе въ Бозѣ почившаго дяди Вашего, глубокочтимаго Архипастыря Грузинской церкви, преосвяшеннаго Александра, прошу Васъ принять отъ меня и отъ Городскаго общественные управленія, какъ представителя всего населенія города Тифлиса, выраженіе искренняго соболѣзнованія по поводу горестной утраты, понесенной Вами и всѣмъ грузинскимъ народомъ, въ памяти котораго навсегда сохранится свѣтлый образъ усопшаго старца, святостью жизни и просвѣшенной дѣятельностью своей, пріобрѣвшаго всеобщую любовь и уваженіе.

Поручая себя молитвамъ Вашимъ, имѣю честь быть Вашего Преосвященства покорнѣйшимъ слугой

Кн. **В. Чернезпвъ**

15 ноября 1907 г. г. Тифлисъ.

რუსულს ენაზედ ასეთი წერილების რამდენიმე წერილი მოუვიდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდს. რომლებიდამაც ვბეჭდავთ მხოლოდ ამ წერილს, იგი ეკუთვნის ქ. თფილისის თავს თავ. ვ. ჩერქეზიშვილს

ВАШЕ ПРЕОСВЯШЕНСТВО,

МИЛОС'ГИВѣЙШІЙ ОТЕЦЪ И АРХИПАСТЫРЬ!

У меня есть одно очень цѣнное семейное достояніе, перешедшее ко мнѣ отъ моего покойнаго тестя, Андрея Егоровича Мревлова, а иненно-старо-грузинская (кахетинская) литургія Св. Іоанна Златоуста, записанная Мревловымъ линейными нотами еще въ 40-хъ годахъ подъ диктовку и съ голоса славившатося знаніемъ церковно-трузинскаго пѣнія архимандрита Софронія, урожденнаго князя Макаева. Записаны всѣ три голоса; запись очень точная и правильная, и, несомнѣнно, древнѣйшая изъ всѣхъ современныхъ записей, такъ какъ покойный Андрей Егоровичъ былъ первый и въ свое время единственный человѣкъ изъ грузинь, основательно знавшій линейныя ноты и умѣвшйй прт иилъно записать любую келодйю. Постоянною его мечтою было издать эту литургію и тѣмъ сохранить ее для потомства, которое, къ пожалѣнію, съ легкой руки свящ. Карбелова (родоначальника нынѣшныхъ Карбеловыхъ,) вноситъ постепенно различныя измѣненія въ коренную грузинскую церковную мелодію, зачастую даже примѣняя къ ней, ей совершенно не свойственный, гармоническій строй западно-европейской музыки. Свою мечту покойный такъ и не успѣлъ осуществить. Нынѣ, съ Божіей помощью, я думаю выполнить это дѣло. Но вмѣстѣ съ тѣмъ при изданіи, въ предисловіи къ нему, мнѣ хотѣлось бы помѣстить нѣкоторыя біографическія свѣдѣнія обь архимандритѣ Софроніи. Я полагаю, что Ваше преосвященство, какъ любитель и знатокъ грузинскаго перковнаго пѣнія и, въ то же время, до некоторой степени, современникъ архнмадр. Софронія, можете болѣе точныя біографическія свѣдѣнія сообщить о немъ. Чѣмъ кто-либо другой. А потому я беру на себя смѣлость почтительнѣйше просить Ваше преосвященство не отказать мнѣ, если это возможно, въ указаніяхъ въ настоящемъ случаѣ. Всякое указаніе Вашего Преосвященства объ архим. Софроніи будетъ для меня весьма цѣнно, и я приму его съ глубочайшею благодарностью.

Прося прошенія за доставляемое настоящимъ письмомъ безпокойство, имѣю честь быть Вашего Преосвященста, Милоствѣйшій Отецъ и Архипастырь, покорнѣйшимъ слугою

Христофоръ Гроздовъ

Директоръ народныхъ училищъ Тифлисской губерніи. Г. Тифлисъ, 16 декабря 1898 г.

ბ. გრიზდოვის წერილის გამო.

კარბელაშვილებს ასე თუ ისე, მაინც ქართული გალობის შენახვის საქმეში, კარგი ამაგი მიუძღვისთ. მათ ამ გალობის საქმეში თუ რამ ნაკლი აქვსთ, ან რამე ცვლილებას ახდენენ, ესეც უეჭველია ქართული გალობის საკნო არ იქნება. ეს წერილი იბეჭდება მხოლოდ დაუკარგველობისათვის სოფრომ არქიმანდრიტის გალობის ცოდნის და მრევლოვის სანოტო შრომის აღსანიშნავად და არა კარბელაშვილების მიერ დაცულ გალობის წინააღმდეგ.

სოფრომ არქიმანდრიტი გვარად მაყაშვილი იყო კახელი თავადის შთამომავალი. ეს არქიმანდრიტი თავის დროს შესანიშნავი პირი ყოფილა, მომზადებული ქართულს მწიგნობრობაში და მასთან ქართული გალობისაც ზედ მიწევნით მცოდნედ. ასე გალობის მცოდნენი მაშინ სხვანიც იყვნენ, როგორც მაგალითებრ გრიგორიევები, ანუ გრიგოლიშვილები, მ. დავითის ეკლესიის მოძღვართა გვარის წევრნი. ხოლო სოფრომ მაყაშვილი უპირატესი ყოფილა სხვებზედ გალობის, ცოდნით.

სოფრომ არქიმანდრიტი შესანიშნავი ყოფილა იმითაც, რომ იგი თურმე სოფელ-სოფელ ხშირად მოგზაურობდა, სოფლის გლეხის ბიჭებსაც კი შეჰყრიდა ერთად თურმე და ქართულ გალობას ასწავლიდა. ამის მაგალითია ის გარემოება, რომ სოფ. მარტყოფის გლეხთა შორის, ქართული გალობა მან რამდენსამე ოჯახს დაასწავლა ზედ-მიწევნით. სოფრომ არქიმანდრიტის გარდაცვალება ეკუთვნის 1859 წ. ცოტა მეტ-ნაკლებ. სხვა რამ ცნობა ჩვენ ამისა არა ვიცით რა. ამის მნახველი, მომსწრე და მის გალობის გავლენის ქვეშ გაზრდილ-განვითარებულია სხვათა შორის, ქართულ ეკლესიის მსახური გიორგი ვასილის ძე ზალიკანიანი. ასე და ამ გვარად, სოფრომ არქიმანდრიტის დროის ქართულ გალობის მცოდნე პირთა ვითარება აქ დღეს ისეა დაიშვიათებული, რაისა გამო უნდა ვსთქვათ მცირეოდენი რამე.

გიორგი ვასილის ძე ზალიკანიანი დღეს ქართველთ შორის არის ერთი მეტად იშვიათ პირთაგანი. ეს პირი გახლავსთ სრული ნიშან წყალი იმ ქართველთ ძველის დროის გონებრივის საზრდოების, როცა ქართველი ძენი სწავლას იძენდენ ქართველთ საკუთარ ხალას ნასწავლ კაცებთაგან, როცა ქართველთ შვილებს ანათლებდა და ამზადებდა ქარ-

თული სკოლა, ქართული ენა, ქართული წიგნი, ქართული გალობა და ქართველი მასწავლებელი.

გიორგი ვასილის ძე ზალიკანიანი სრული საბუთია, ჭეშმარიტი მაგალითი თავის დროის ბრძენ ქართველთ სულიერების და გონებრივის სიძლიერის. მიტომაც გახლავსთ, რომ ეს პირი კარგად მცოდნეა ქართულის გალობის, ხმაც თითქმის იშვიათი და ერთად ერთი პირი იმ დროების როცა სოფრომ არქიმანდრიტი სცხოვრობდა და მისი გალობის ხმაც გაისმოდა.

დიახ, როგორი მცოდნე გიორგი ვასილისძე ზალიკანიანი, გალობის იშვიათი მცოდნე პირია, ისეთივე გახლავსთ ქართულ სასულიერო წიგნების კითხვაში და მასთან ხმაც მშვენიერი აქვს, დაბადება მისი ეკუთვნის 1845 წლებს. დღესაც შესანიშნავია მისი გალობა, კითხვა და ხმაც. ყველა ამაების დიდი დამფასებელი იყო ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი და ეს იტყოდა ხოლმე – „გიორგი დიაკვანი შესანიშნავი მცოდნეა გალობის, ქართული კითხვის, იგი ნაყოფია ქართული სკოლის და ქართული გალობის. დიახ, რომ ეს პირი დღეს თითქმის ერთად ერთია.“

ჩვენც მიტომ მოვათავსედ ეს ცნობაც ამ სულ მნათის გვერდით.

ანდრია იაგორის ძე მრევლოვი ყოფილა კარგად მცოდნე ქართულ გალობისა და ნოტების, მას მიუღია სწავლა თფილისის სემენარიაში ხელობით, მგალობელი ყოფილა, უკანასკნელ წლებს იგი მსახურობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართულ და რუსულ გალობის მასწავლებლად, გარდაიცვალა 1880 წლებს. საინტერესოა რომ მისი დაწერილი ნოტების წიგნი არ დაიკარგოს.

ტელეგრამები

სამგლოვიარო და სამძიმრისა, რომელნიც მოუვიდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდს. ტელეგრამები საქართველოს ყველა ქალაქებიდამ, სასულიერო პირების, ქალაქის გამგეთა, სხვა-და-სხვა თავად-აზნაურთა და უმაღლეს პირთა, მასწავლებელთა და ბევრიც სხვა-და-სხვა შესამჩნევ მოღვაწეთა. ყოველი ტელეგრამა ცხადათ მოწმობს ღრმა მწუხარებას შესანიშნავი მღვდელ მთავრის დაკარგვაზედ. სამწუხაროდ ჩვენ ამ ტელეგრამების აქ ეერ მოვათავსედ. მათი რიცხვი დიდია, მარტოდ „ქართული საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივში“ 60 მეტი ტელეგრამა არის შენახული.

ლექსები

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შესახებ ქებით ლექ-

სები და იამბიკოები ბევრს აქვნდათ წინედ ნაწერები. ასეთი ლექსების და იამბიკოების მე თვით მინახავს ყოვლად სამღვდელოსთან. ყოველი ლექსი და იამბიკო განუსაზღვრელის ქება დიდებით მოიხსენებდა ყოვლად სამღვდელოს მამულის შვილობას, ყოვლად სამღვდელოს საქართველოში თვით მდაბიონიცკი იცნობდენ კარგათ და აი ეს ორი ლექსიც მოწამეა მის, რომელთაც ვბეჭდავთ აქ და რომელნიც დაწერილებია ქართველთ ჩვეულებრივ მდაბიოთაგან.

* *

*

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს აუარებელი წერილები აქვნდა სხვა და სხვა პირთაგან მიწერილები, ზოგი ქართულად, ზოგი რუსულად, ასეთი წერილები პირუთვნელად აღნიშვნენ ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრე ეპისკოპოზის ქება-დიდებას. ამიტომ ასეთ ძველის წერილებიდამ ჩვენ აქ მოგვყავს ეს ორი ძველი წერილიც, რომელიც არ იქნება მეტი დაბეჭდვისა, თუმცა იგინი წინედ არიან დაწერილები.

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესო დიდებულო მწყემსთ-მთავარო ალექსანდრე!

თქვენი ხანგრძლივი სამსახური მწყემსთ-მთავარო ის ხარისხში ისრე მძლავრი, ნაყოფიერი და ცხადია, რომ მან მოიცვა თვით მესხეთიც კი, ის მესხეთი, რომელიც ძველი დიდების ნაცვლად ძლივს ნაპერწკალსავით-ღა ბჟუტავს. დიახ, თქვენმა მადლმა განაღვიძა იგიცა, რათა ჩვენ-მიერ მუხლ მოდრეკით ეამბოროს თქვენს წმიდა და ზეციურის მადლით შემოსილს მარჯვენას, მოგილოცოს ამა ხნოვანი სამსახურის შეძლება და შეავედროს ყოველთა არსთა არსებას განგრძელება დღეთა თქვენთა, რათა შეგესრულებინოთ ყოველი თქვენი კეთილი სურვილი და დაწყობილობა,

ჩვენ არ გავბედავთ დასახელებას იმ დიდი მადლისა და სიკეთისას, რომელიც თქვენის დიდ ბუნებოვანების თბილი გულიდგან მოფენილა ხალხთა სულისა და ხორცის საშვებელად. არ ჩამმოვთვლით იმიტომ, რომ დიდ-ბუნებოვანთა საქმის თქმა ენის წვერით ძნელია; გული უფრო შემძლებელი და მართლიერი მეტყველია და სწორედ ყველასთან ერთად ჩვენი გულიც ღაღადებს თქვენს სიკეთეს და სიკეთილეს. ვიტყვით მხოლოდ, რომ თქვენა ბრძანდებით ტრფიალება ჩვენი, სიქადული ჩვენი და მაგალითი ჭეშმარიტი ქრისტიანესი, ჭეშმარიტი კაცთ-მოყვარესი, ჭეშმარიტი მამულის-

შვილისა

დეკანოზი **დიმიტრი ხახუტაშვილი.**

ხელს აწერს საბლაღოჩინოს 13 მღვდელი,
ოთხი დიაკონი და 13 მეფსალმუნე.

თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობამ მღვდელ-
მთავარო ალექსანდრე!

დღეს, როდესაც მთელი საქართველოს რჩეულთა შვილნი გამოუთქმელი სიხარულით და დიდის აღტაცებით მიეგებნენ თქვენს 35 წლის სამღვდელ-მთავრო სამსახურის შესრულების და ქება დიდებით მოიხსენიეს თქვენი დაუღალავი შრომა და ღვაწლი სამშობლოს და მის წმ. ეკკლესისადმი. მეც, ერთი უღირსი შვილი, ვკადნიერდები, თქვენი მეუფეების წინაშე და სპარსეთის სამზღვრიდგან, წრფელის გულით გილოცავთ, თქვენო მეუფებავ, 35 წლის იუბილეს დღესასწაულს და შევედრი ღმერთს, რათა დღენი თქვენი მეუფობისა განამრავლოს ერთი ასად და დიდხანს გჰყოთ დღეგრძელი სასიქადულოდ და საიმედოდ საქართველოს წმინდა ეკკლესიისა და მის მრევლსა. საქართველოს ერი არ დაივიწყებს თქვენს ღვაწლით შემოსილ სახელს; იგი თავის ისტორიის ფურცლებზედ ოქროს ასოებით აღბეჭდავს თქვენი მეუფების სახელსა და ღვაწლსა. საუკუნოდ იქნება აგრეთვე დაუვიწყარი თქვენი სახელი გორის მაზრის ერთ პატარა სოფელ დისევში, თქვენ სამშობლოში, სადაც თქვენ აღიზარდედ და სადაც თქვენ სთესეთ იმდენი კეთილი. დისელები თქვენი მეუფების თვის ტომნი არ დაივიწყებენ თქვენს სახელს და ღვაწლს ვიდრემდე არ აღიგვება დედამიწის პირიდგან თქვენი მეუფებისაგან აღშენებული და განახლებული ძელი ჭეშმარიტის ეკკლესია, ვიდრემდის ქორივით თავს დაცქერის დისევის და კულბითის არე მარეს თქვენის მეოხებით და ჩაგონებით განახლებული კულბითს მღვთის მშობლის ეკკლესია. ბედნიერი ბრძანდებით თქვენო მეუფებავ, რადგან თვენის თვალითვე იხილეთ, რომ ცუდად არ ჩაუვლია თქვენ განწირულის სულის კვეთებას და თქვენგან გავლილი ეკლიანი გზა არ დარჩენილა უკვალოდ და თქვენს მოძმებს თქვენის მაგალითად გაადვილებია სვლა თქვენგან გავლილი გზაზედ; თქვენ როგორც კეთილი მწიდნავი დღესვე ხარობდ, ჩადგან თქვენგან დარგული წიდნები, თქვენვე მოისთვლიეთ. – ვეამბორები რა თქვენს კურთხეულ მარჯვენას თავდაბლად მოვახსენებ თქვენს მეუფებას, რომ 9 მაის ჩემდამო, რწმუნებულ ეკკლესიაში გარდავიხედე სამადლობე-

ლი პარაკლის თქვენი მეუფების დღეგრძელობისათვის.
დავრჩები თქვენი მეუფების ლოცვა-კურთხევის მსურ-
ველი თქვენი ერთგული მორჩილი მონა

მღვდელი **ალექსანდრე ტატუნაშვილი**

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე
ეპისკოპოსი.
მდაბიოთაგან თქმული

მრავალთა შორის კვლავ მოევლინა:
ტანჯულსა ერსა მადლი ღვთიური.
უხვად მოწყალე ღვაწლის და შრომის
ვით რომ მანანა ნამი ციური.

არ დაუზოგავს ღონე და ძალა,
ღვთის თაყვანის მცემ ხალხის მფარველი,
ცას-შუქი ჰფინა მის სისპეტაკემ
და ერსა თვისსა საზრდო ყოველი.

დაიდგა ძეგლი, ძეგლი უკვდავი.
უმანკო ერის სათაყვანები.
კაცთ სიყვარული და სათნოება,
ქრისტეს მოძღვრების შესადარები.

სიჭაბუკიდგან მან იდვა ტვირთად,
ღვთის თაყვან ცემა, ხალხთ სამსახური
და ასრე განვლო მრავალი წელი:
არ დასდო ჯვარი მამა-პაპური.

აღზარდა შვილნი ერის მსახურნი,
გულით მამაცნი, გრძნობით სპეტაკნი,
დაუზარელნი გმირნი მამაცნი
შესანიშნავნი მხედართ-მხედარნი.

ვერა რა წაშლის მისგან გაკვალულს,
მედგრათ გაკაფულს გზას ეკლიანსა,
ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესას
უხვად მოწყალეს და მადლიანსა.

გიორგი ქიზიყელი.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს

მდაბიოთაგან თქმული

ოცდათექვსმეტს წელს ეწეოდით
ცხოვრების ხვედრსა,
შეჰღაღადებდით ჩაგრულთ აღდგენას
თვით ზეციერსა...

იგიც მადლს გფენდა და გაძლევდა
ნიჭსა კეთილსა.
ზე აღადგენდა დღეს დაცემულ
საქართველოსა.

უშიშრადაც წინ მიუძღოდით
გულით მხურვალი,
ვერ გაშინებდით მტრისა ძლევა
ცრემლში ცურვაი...

და თან მოგდევდნენ სამშობლოის
გმირთა გმირები,
არ უდრკებოდნენ მრისხანე მტერს
ქართვლის შვილები.

ჰოი სულ მნათო გადმოგვხედე ბრწყინვალე თვა-
წინ გაგვიძეხი გზა გვასწავლე სარწმუნოების, ლით,
ხელში იპყარით ბასრი სიტყვა და წმინდა ჯვარი,
გამოაღვიძე დიდი ივერი დღეს ცოცხალ მკვდარი...

ხელეჩო და ხერხის ნაცვლათ,
ხელში ავიღე კალამი,
ცხოვრებისგან დაჩაგრულმა
მეტ ვერ გიძღვენი სალამი...

ხელობით დურგალი **იოსებ ნ. სიმონოვი.**

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი რო-
გორი პირ უთვნელიც ლაპარაკში გახლდათ, ისეთივე იყო
წერილების წერაშიც. როგორც საუბარში ქებასა თუ მდუ-
რვაში იყო უკიდურესი ქართველი მამულის შვილი, იგი წე-
რილების წერაშიც იმავე კილოს ემორჩილებოდა. მათის
წერილების რამდენიმე მაქვნდა, ჟამთა ვითარების წყალო-
ბით 1892 წ. შემდეგ იგინი დავკარგე აქა-იქ მგზავრობის გა-
მო. შემრჩა ერთი წერილი, საკუთრივ მათის ხელით დაწე-
რილი, რომელსაც ვბეჭდავთ აქ მიტომ უფრო, რომ მკითხვე-
ლმა იცოდეს ამ შესანიშნავ მღვდელ მთავრის სულის ვითა-
რება და ის ცდაც, თუ იგი როგორ დასტრფოდა თავის სამ-
შობლოს და ქართველი ერის დაწინაურების და წარმატების
საქმეს, აი ესეც წერილი, რომელიც მივიღე ოზურგეთიდან
1882 წ. როცა ყოვლად სამღდელო ალექსანდრე იქ გურიის
ეპარქიას განაგებდა.

თქვენო პატიოსნებავ, უფალო ზაქარია ჭიჭინაძე!

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენზედა.

წერილი თქვენნი მივიღე, რაისათვის ფრიად მადლობას
გძღვნი, მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ დიდი ღირ-
სებას აძლევთ იმ საქმეთა, რომელთაც მე შევდგომილვარ;
ესე იგი, ქართულ ძველი და ახალი მწერლობის აღდგე-
ნასა, ეგრეთვე, გალობისა და სხვათა.

ერთი სიტყვით მე შეუდექი ქართული ენისა და ლიტე-
რატურის აღდგენას, და თქუენ ძრიელ კარგათ მიმხვთარ
ხართ და აგიწონიათ რომ მე ჩვენის სამშობლო ქართულს
ენის აღდგომის, დაფუძნების და განვითარების სარბიელზედ
გამოვსულვარ. ასპარეზი ესე, ჩემი აზრით და თქვენითათა,
ფრიად მშვენიერ და სასარგებლო არს. ქართულის ისტო-
რიის გორიზონტსა ზედა წარწერილ არიან მათი სახელები,
რომელნიცა ესეთ წრფელათ იხწოდდენ ქართულის ენისათვის,
მაშასადამე ისტორია შენიშნავს აწმყო დროშიდაც იმა პატრი-
ოტთა, რომელთაცა არა დავიწყებიათ სამშობლო ენა და
არიან მოღვაწენი მისთვის.

თქვენ მწერთ და გაზეთშიაც იწერებით, რომ პარტრე-
ტი გიშოვნიათ ქართული ლექსიკონის ავტორისა, საბა სულ-
ხან ორბელიანისა, და გსურთ ეს ლექსიკონი, რომელსაც მე
ვაბეჭდინებ, გაამშვენიერეთ იმ პარტრეტითა. მე თანახმა
ვარ ამაზედ და მადლობასაც გწირამ. მაგრამ, რადგან პარ-

ტრეტის დაბეჭვდა იაფვათ არ დაჯდება მაშ ლექსიკონსაც ფა-
სი უნდა მიემატოს. მე ვაბეჭდვინებ ორს სრულს წიგნად
ან თუ 2400 წიგნსა. თითო წიგნს უნდა დავასვათ ფასი 2
მანეთი. და აბა ახლა რადგან მაგ პარტრეტს აბეჭდინებ რაო-
დენსამე ეგზემპლიარს მაგათი ფასი რაღა დამიჯდება და ლექ-
სიკონი, თითო ეგზემპლიარი, მაშინ როგორ უნდა გავყი-
დოთ. ამის პასუხი მალე მაცნობე, ამასთანავე მაცნობე რა
დროისთვის თავდება დაბეჭვდა მაგ ლექსიკონისა, კნიაზ რა-
ფიელ ერისთავს ჩემთან სიტყვა აქვნდა, რომ ეს ივლისის
ჩქარა წიგნი მომწერე და მაგ ლექსიკონისა გარემოება მაც-
ნობე სიმართლითა.

აი ეს არის ეხლა თფილისიდამ მომივიდა წერილი, რო-
მელშიც მწერენ რომ რაფიელ ერისთავს ლექსიკონის ბეჭდვა
მხოლოდ მეხუთე ასომდინ, ესე იგი, ე მიუყვანიათ. აბა რა ვსთქვა,
და ახლა საქმით სულ სხვა გამოვიდა. თითო ასოს, თითო და
ოროლი თვე მოუნდა, აბა მაშ როდის დათავდება მაგ ლექ-
სიკონის ბეჭვდა. ეტყობა რაოდენიმე წელიწადი გასტანს?!

ახლა მე ამას გწერ შენ წერილზედ: შენ იწერებოდი
დავით გარესჯაში მივდივარო, იქ კარგ წიგნებს ვიშოვნიო
და რომელი დავაბეჭდვინოთ, ხომ ხედავ ლექსიკონს აღარ
გვითავებენ. მე რომ აქეთ წამოვედი მანდ ყველა გაყინა. და-
ბეჭდათ ამოვარჩიე ლექსიკონი პეტრიწისა, მაგრამ ვიცი კაცი
ვინ იქნება წრფელი და მართალი რომ მივანდოთ ამის ბეჭ-
ვდა. კაცი უნდა იყოს სწავლული და პატრიოტი.

ამ წიგნის პასუხი მომწერე.

თქვენი კეთილის მოსურნე. 1882 წელსა მართველი გუ-
რიის ეპარქიისა ეპისკოპოსი **ალექსანდრე.**

ქ. ოზურნეთი

ალექსანდრე ეპისკოპოზი და მელა ქართველნი

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზს ორ ენა
მღვდელი, ბერი, და ქართველები ძრიელ სძულდა. 1880 წ.
14 იანვარს, დიმიტრი ბაქრაძის წინაშე ერთი ქართველი
მღვდლის შესახებ ეს სიტყვა სთქვა:

იოანიკე ეგზარხოსი საქართველოში რომ მოვიდა სიონ-
ში, პირველ შეხედვის, ერთმა მღვდელმა (გვარი და სახელიც
სთქვა) სიტყვა უთხრა. წირვის შემდეგ ეგზარხოსმა ჰკითხა:
მამაო, თქვენი რუსული ენის კილო მე ისე მომეწონა, რომ

მინდა გკითხოთ თუ თქვენ ტომით ვინ ხართ, რუსი, ქართველი, თუ ოსი?.. ამ მღვდელმა მიუგო: თქვენო მეუფებავ! მე, სამწუხაროდ ქართველად ვარ დაბადებული, ხოლო სულით წმინდა რუსი ვარ და ხორცით ქართველი... იოანიკე ეგზარხოსი ამაზედ გაკვირდა და იქვე უთხრა: – „შენ, მაგისთანა სიტყვის თქმით, არ უნდა იყო კაი კაცი“. მღვდელს ძრიელ ეწყინა ეს. მერე შეუძვრა დიდის ცდითა.

მის შემდეგ ეს მღვდელი ეგზარხოს სულ იმას შეჰფიცავდა, რომ ქართველები მძულს, ქართული ენა მეჯავრება, რუსული მიყვარს, რუსულ ენას ვადიდებო.

გავიდა რამდენიმე ხანი. ამ მღვდელს ცოლი მოუკვდა. დასაფლავებაზედ ეგზარხი და მეც მიმიწვია, ანდერძის აგების შემდეგ, ამ მღვდელმა ცოლი ქართულად დაიტირა. ეგზარხოსმა ჩუმად წამჩურჩულა: აკი ეგ ამბობდა, რომ ქართული ენა არ მიყვარს, ქართველები მეჯავრებაო, ცოლი ქართულად დაიტირაო.“ მერე ეს მღვდელი კარგად გააცნო ეგზარხს ალექსანდრე ეპისკოპოსმა და მასთან მოახსენა: მე მიყვარს საქართველო, ქართველი ერი, მისი ენა და ისტორია. ეს მე არ მიშლის, რომ მასთანვე მიყვარდეს რუსეთი, რუსეთის ერი, ვიყო მორჩილი და ერთგული რუსის მთავრობის და მასთან მენატრებოდეს რუსეთის ამაღლება, დაწინაურება. ეგზარხოსმა ასეთის გულ ახსნილი ლაპარაკისთვის დიდი მადლობა უთხრა და აქო ქართველი ერი.

ალექსანდრე ეპისკოპოზი მოწაფეთა წინაშე

ეგზარხოსი პალადის და რექტორ ნიკოლოზის დროს, თფილისის სემენარიის მოწაფენი აღელდენ. მიზეზი ამის მათი ცხოვრების გაუმჯობესობის დავალებას შეეხებოდა, მთელი კვირის განმავლობაში შაგირდები გაფიცულები იყვნენ. იგინი ვერც ეგზარხოსმა დააწყნარა, ვერც რექტორმა, ვერც მთავრობის კაცებმა.

ეგზარხოსის დავალებით დათხოვნით ალექსანდრე ეპისკოპოსი მივიდა სემენარიაში მოწაფეებს მოელაპარაკა. მეორე დღეს მოწაფეები უკვე დაწყნარდნენ და სწავლას შეუდგნენ. ეს ამბავი ჩვენ კარგად ვიცით, ხოლო ის კი არ ვიცით თუ ამ დროს რა ოსტატურად მოიქცა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, როგორ დააწყნარა მოწაფენი, რა გვარი სიტყვა უთხრა და სხვანი. ისკი ვიცით კარგათ, რომ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზს მოწაფეთათვის მშვენიერი დარიგება მიუცია, მასთან კაი სიტყვა უთქვამს.

ეს და ამ გვარ საქმენი ყოვლად სამღვდელოს ბევრი აქვს დახარჯული ჩვენს მოსწავლეებზედ. ამის ამბები კარგათ ეხსომებათ იმ პირთ, ვინც მაშინ, შემდეგ და წინედაც სცხოვრობდენ და სწავლობდენ სემენარიაში. მათ ეხსომებათ ბევრი რამ ყოვლად სამღვდელოს მოქმედების შესახებ, აქ

მხოლოდ მოგონება არის საჭირო და დაწერა. ამას თუ ყურადღება მიექცა მცოდნე პირთაგან, მაშინ ბევრი რამ ცნობა აინუსხება და გამოქვეყნდება ალექსანდრეს შესახებ, რაც თანამედროვე თავობისთვისაც დიდად მნიშვნელოვნად დაშთება.

ალექსანდრე ეპისკოპოსი და ვლადიმერ მიტროპოლიტი

საქართველოს ეგზარხოს ვლადიმერს მიტროპოლიტობა მისცეს, რუსეთში დანიშნეს. წასვლის დროს ალექსანდრემ მიტროპოლიტს მიულოცა და ეს სიტყვა უთხრა: – „მოგილოცამ მიტროპოლიტის ხარისხს. გაუწყებთ, რომ თქვენ იყავით უბრალო ბერი – მერე ეპისკოპოსი და ეგზარხოსი საქართველოს ეკკლესიისა. საქართველოს ეკლესია იმოდენათ მაღალია, ძველი და მძლავრი, რომმის მადლმა თქვენ თავის ასპარესზედ ასე დაგაწინაურად და დღეს მიტროპოლიტის ხარისხით მიბრძანდებით რუსეთს. ეს უმაღლესი ხარისხი თქვენ მოგანიჭათ საქართველოს ძველ ეკკლესიამ და ამიტომ უნდა უმადლოდე მას და არ დაივიწყო ამ ძველი ეკკლესიის ამაგი.

ეგზარხმა ამაზედ პასუხი მოუგო...

ალექსანდრე ეპისკოპოზი და ერთი მასწავლებელი.

ერთმა ქართველმა მასწავლებელმა ერთი სემენარიელი მოწაფე VI კლასის (ვ. დ.) ეგზარხოსთან დააბეზღა ასე: ის მოწაფე წინაღმდეგ წიგნებს კითხულობს. გარდა ამის უნახეს დაწერილი ქაღალდზედ ისიც რომ საქართველო რუსეთმა ჩაყლაპაო. ეგზარხოს უთქომს: მაშ აქედან სჩანს, რომ ქართველებს რუსები გძულთო. მასწავლებელს უთქვამს: ეგრე გამოდისო. ამ დროს ალექსანდრე ეპისკოპოსი მეორე ოთახში მჯდარა, ეს ლაპარაკი გაუგია, მაშინათვე შესულა მათთან და უთქვამს.

„მასწავლებელო, სტყუი შენ და ატყუილებ ეგზარხოსაც. ქართველები ჯერ არ გაგიუებულან, რომ თავიანთი მფარველი ქრისტიან რუსები სძულდეს. სირცხვილი შენთვის, რომ ასეთ ჭორებს ლაპარაკობ. წინამდეგ წიგნებს რუსეთში რუსები უფრო კითხულობენ, ეს წინამდეგი წიგნებიც რომლებსაც აქ ქართველები კითხულობენ, რუსული არის, იგი რუსეთიდამ მოდის და არა ქართული. შენ ვერ მიჩვენებ ვერც ერთ ქართველს მოწაფეს რომ იმას რუსები სძულდეს. ამიტომ პასუხის მგებელი უნდა იყო წინაშე მღვთისა. ასეთის სიცრუისთვის. ყოვლად სამღვდელო! მე გამოვიძიებ, ყოველივეს მოგახსენებთ საქმის სინამდვილეს, გარემოებას. ხოლო ასეთ პირების ჭორებს კი ნუ დაიჯერებთ. ესენი ამით სარგებლობენ, ანგარიში აქვსთ რამე. ქართველებს რუსები უყვართ და ეყვარებათ კიდევაც, მათ სძულთ ცუდი კაცი როგორც ქართველი, ისევე რუსი და სხვანი. მე წავალ

ეხლავ სემენარიაში და გავიგებ ყოველივეს დაწვრილებით.

ალექსანდრე ეპისკოპოზი და მეგრული ენა

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ალექსანდრეს ცხოვ-
რებიდამ ბევრი საყურადღებო ამბები და მოგონებანი დაიწე-
რება. ასეთ საყურადღებო ცნობები დღეს ჩვენში ბევრს მღვ-
დელს და ბერსაც ეხსომებად, მაგრამ სამწუხაროდ წერით კი
არავინა სწერს, ასეთი მოგონებანი ნათელს მოჰფენს ყოვლად
სამღვდელოს ღირსეულს ჭეშმარიტებას და დიდს მამულიშვი-
ლობას, იქნება დღეის შემდეგ სხვა და სხვა პირთ მოიგონონ
ამის ასეთ ძვირფას მოგონებანი.

1903 წ. როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, საუბარი ატყდა
მასზედ, რომ მეგრელნი ქართველები არ არიანო, მეგრული
ენა ქართული ენის ძირი ფესვი არ არისო. ამას ლაპარაკობ-
დნენ თურმე ზოგნი ისეთ ქართველ მეგრელნიც, რომელნიც
ქართულ ისტორიის ასპარეზზედ მწერლობენ, მოღვაწეობენ,
ერთ ასეთ პირს, მაშინდელის ეგზარხოსისათვის სხვა და სხვა
ცნობები უამბნია, ეგზარხოსი უტყუილებია ისტორიულის
ცნობებით, ეგზარხოსმა საქართველოს ისტორიის არ მცო-
დნემ ყოველივე სიმტყუნე დაიჯერა, მართლად მიიღო და
ამიტომ მთქმელს ჭეშმარიტების აღდგენის გამო მადლობა
უთხრა. სისწორისათვის ხარისხიც დაჰპირდა.

მოხდა შემთხვევა, ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი
ფოთში გახლდათ, აქ ქალაქმა სადილი მიართვა, აქვე იყო
ის ქართველი მოღვაწე, რომელიც ეგზარხოს უმტკიცებდა, რომ
მეგრული ენა სხვა არისო. როცა ასეთი პირის სადღეგრძელო
დალიეს მაშინ მას ალექსანდრე ეპისკოპოსმა ვრცელი
ისტორიული სიტყვა უთხრა და მერე ასე დააბოლავა: Ми-
лостивый Государь! Желаю Вамъ быть искреннимъ,
не двоедушнымъ, не вилять хвостомъ, изъ за генераль-
ства не продавать родного языка“, ეგზარხოსმა ალექსა-
ნდრე ეპისკოპოზის სიტყვა პატრიოტობაში მიიღო, ამისთვის
ეგზარხოს, არც არის გასამტყუვნი ამ ენების საქმის არ მცო-
დნეს ეთქვა, რომ: – “И дѣйствительно онъ будетъ ге-
нераломъ”. მერე ალექსანდრე ეპისკოპოსმა ეგზარხი ისტო-
რიულად დაარწმუნა რომ თქვენ გატყუილებენო „მე არა მგო-
ნია იყოს ერთი ისეთი მეგრელი, რომელიც იტყვის, რომ ის
ქართველი არ არისო“.

ასე მკაცრად იცავდა ქართული ენის ძირს – მეგრულს
ეპისკოპოსი ალექსანდრე. ამის შესახებ ასეთივე პირუთვნელი
გახლდათ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი-დადიანი
რომლის აღწერას და ქართულ მეგრულ კილოკავის ცნობებს
ცალკე წიგნად დავბეჭდავთ.

ალექსანდრეს წინაშე დიმიტრი ეპისკოპოზი

დიმიტრი ეპისკოპოზი (აბაშიძე) ფოთში დანიშნეს დროებით. ამ დროს ეპისკოპოზი ალექსანდრე ავად გახლდათ. დიმიტრი ეპისკოპოსი ალექსანდრესთან გახდათ ჩამომხტარი, ალექსანდრე ეპისკოპოსი მოკეთდა, ფეხზედ დადგა. დიმიტრი ეპისკოპოსთან კაი განწყობილება აქვნდა, მამაშვილური. ერთ დღეს ლაპარაკი აქვნდათ. ალექსანდრე ეპისკოპოსმა ჰყვედრა ყველა ის ქართველნი, რომელნიც ისტორიულად ჩვენს არ მცნობს რუსეთის მთავრობის უმაღლეს პირებს ხშირად ატყუილებენ და მით სარგებლობენო.

დიმიტრი ეპისკოპოზმა (აბაშიძე) მიუგო: მე თუ ვატყუილებდი, მით ქართველებისათვის ხომ არა დამიშავებია რა, სურვილი მქონდა, რომ ეპისკოპოსობა მალე მიმეღო და ეგზარხს და სინოდს თუ ვატყუილებდი, მით ქართველებს ხომ არაფერი გაგიფუჭდათ. ამ სიტყვებს დიმიტრი ეპისკოპოსი დაჩოქილი ეუბნებოდა და თან პატიობას სთხოვდა. ალექსანდრემ ასე უთხრა მოკლედ.

„კაცი თავის ქვეყნის და ერის წინაშე სიყალბეს არ უნდა ემსახურებოდეს, ხარისხის მიღების გულისთვის, ორ ენა არ უნდა იყოს. შენ, პირველი საქართველოს უპირველესის ოჯახის თავადის შვილის შთამომავალთაგანი ხარ. მერე უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრე, მის შემდეგ აკადემიაში შეხველ და იქაც დაამთავრე სწავლა კაის სახელით, მასთან ბუნებითაც ნიჭიერი კაცი ხარ და რად ყალბობდი, ჩვენს წინაღმდეგ რად ლაპარაკობდი ცუდათ, უამისოდაც ხომ მიიღებდი შენ ეპისკოპოსობას. ადე, ღმერთმა გაპატიოს და დღეის შემდეგ ერიდე ორ ენაობას და სიყალბეს“

დიმიტრი ეპისკოპოსმა შეჰფიცა, რომ მე რაც მინდოდა, ეპისკოპოსობა მივიღე, დღეის შემდეგ არაფერს ვიქმ წინანდებურსა, ვიქმნები ერთგული და ჭეშმარიტი ადამიანი. ამაზედ სთქვა კვალად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ.

„დიმიტრი ეპისკოპოზი ნიჭიერი ეპისკოპოზია, მასთან ჯერ ახალგაზდა. თუ რამ შესცდა, ეს შეიძლება მართლაც თანამდებობის მიღების სულ წასულობით მოუვიდა. ადვილი შესაძლებელია რომ ოდესმე მაგან ეგზარხოსობასაც მიაღწიოს. მასთან შეიძლება ხასიათიც გამოიცვალოს, გაიხსენოს თავისი მშობლის რძე და ძუძუები. საქართველო და მისი ძველი ისტორია, იყოს კეთილი და ერთგული მღვდელ მთავარი თავის სამშობლო ეკკლესიის და მასთანვე იყოს მადიდებელი რუსეთის ბედნიერების და ერთგულების. ეს სულაც არ დაუშლის ერთი მეორეს. შეიძლება დიახ, დიმიტრი ეპისკოპოზი გამოკეთდეს, მობრუნდეს სწორე გზაზედ. ეხლა ვიღა რაში უნდა ატყუილოს“.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს სნეულება.

ჩვენმა ბ. ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელსაც ელექტროგომეოპატიური წამლობის სიკეთე რამოდენჯერმე გამოუცდია

თავის ავათმყოფობაში, რადგან იცოდა, რომ ყ-დ სამღვდელო ეპისკოპოზ ალექსანდრეს 1893 წელს ჩემი მასწავლებელი ექიმი ელექტროგომეოპატი სწამლობდა ჩემის რჩევით და დახმარებით, მთხოვა რაც ვიცოდი განსვენებულის ცხოვრების შესახებ დამეწერა და მეც დიდის სიამოვნებით ვასრულებ.

1893 წელს ყ-დ სამღვდელო ალექსანდრე ბძანდებოდა სვეტი ცხოვლობას ოკტომბერს მცხეთაში, წირვის შემდეგ იქვე ტაძრის გალავანში გაგვიყოლა ბინაზე ბ. რომანოზ დავითისძე მაჭავარიანი, ექიმი და მე, როგორც სიყმაწვილიდან ნაცნობი და ამხანაგი თავის ძმისწულებისა, აწ ყ-დ სამღვდ. ლეონიდის, გურია სამეგრელოს მღვდელ მთავრისა და სხვათა. ბინაზე ყ-დ სამღვდელომ საყვედურით მიმართა ბ. ექიმს:

რატომ ქართველი ექიმები არას უშველით, რომ ეს ორი წელიწადია ავათმყოფობას თავი ვერ დავახწიეო?

ყ-დ სამღვდელო დაბძანდა სავარძელზე და მე გამომიშვირა ფეხი: აბა გამიხსენ ერთი, ექიმს უჩვენოო. დაშარტული ჰქონდა ბანტებით, ვიწრო ტილოს ქარშიკით, კვირისტავიდან კოჭებამდე. შემოვხსენ ტილო და მორგვივით დასიებული უნახე. ამისთანა ჩემ დღეში არა მენახა რა. ექიმმა თითები დააჭირა ალაგ ალაგ სიმსივნეზე და თითები შიგ ჯდებოდა სიმსივნეში და თითის ნაალაგრები ჩაჩრუტნული რჩებოდა, როგორც გაუღვივარ ცომში და როდის-როდის ამოიმსებოდა ხოლმე.

ექიმმა მოახსენა: მაგის წამალი არა გვაქს, ვერას გიშველითო და ისევ ისე მჭიდროდ შემომახვევინა ქარშიკი სიმსივნეზე, თორემ სუსტად რომ შემოახვიო, სიმსივნე უფრო განზე გაიწევსო, მეც ისე შევასრულე და გამიკვირდა, თუ როგორ უნდა შაეწუხებინა იმ მაგარს დაშარტვას და როგორ იტანდა? იტანდა რის წვალებით ღვთის მსახურების დროს, თითქო ფეხებში ნემსებს სჩხვლეტენო, სულ ირყეოდა ერთი მხრიდან მეორეზე. ამის შემდეგ ძირს ჩამოვედით მე და ექიმი, გალავანში. იქ ახლა მე ვკითხე ექიმს: ნუ თუ მართლა ვერა ეშველებარა მაგას მეთქი? მაგას საჩვენო პირი არა აქვსო, მომიგო მან, – გამკვირვებია აფთიაქში კედლები ირგვლივ სულ სავსეა წამლებით და ლამის ჭერზედაც კი წამლები ჰკიდია და ნუ თუ მაგის სამრგებლო რამე წამალს ვერ გამოჩხრეკთ ქართველი ექიმები მეთქი? ეგ ეპისკოპოზიც რომ მოგვიკვდეს, ვინღა გვყავს მაგისთანა ქართველებს მეთქი? ექიმმა მაინც იგივე მომიგო რაც ყოვლად სამღვდელოს: მაგის გამოსაბრუნებელი წამალი არა გვაქსო.

ამან ძლიერ დამაღონა და დღისით და ღამით დარდში ჩამაგდო. თბილისში წაველ და ვნახე ჩემი ახლად გაცნობილი, ბოლოს ჩემი მასწავლებელი ექიმობისა, ვინმე ბერი კაცი ინჟენერ-ზემლემერი გლებოკოშანსკი და იმას შევჩივლე ყ-დ სამღვდელოს ავათმყოფობა და უკურნელობა. ამ გლე-

ბოკოშანსკიმ მითხრა: თუ გამიგონა და ბეჯითად მოეკიდა ჩემ წამლობას მე მოვარჩენ ყ-დ სამღვდელოსაო.

თუ ნამდვილ იმედს იძლევი, მე ურჩევ ყ-დ სამღვდელოს, თავდებადაც დამიდგები და გიწამლებინებს და რაღა თქმა უნდა, ბეჯითადაც მოექცევა წამლობას მეთქი. თუმცა იმედი დიდი მამცა ამ კაცმა, მაგრამ მე მაინც ვერ ვენდე, რადგან ვიცოდი, რომ ექიმები ყოველთვის ჰპირდებიან ხოლმე: ვეცდები მოგარჩინოვო და როცა კარგათ მოითბობენ ხელს და ეუბნებიან, რა ვქნა, ღვთის წება არ არის და ვერ მოგარჩინეო.

ამიტომ პეტერბურღში მივმართე ამავე კითხვით ელექტროგომეოპატიის კარაბადინის ავტორს, ვინმე სტეფანე ვლადიმერის ძე სმირნოვს. იმან პასუხი ჩქარა მომცა წერილით 21 ოკტომბრიდან 1893., რომელშიაც მწერდა, რომ ყოვლად სამღვდელომ ესა და ეს წამლები იხმაროს და თუ ბეჯითად მოეკიდა წამლობას, მორჩება უეჭველადაო. ეს წერილი დღესაც მაქვს და ბ. ზ. ჭიჭინაძესაც უჩვენე. მერე ვეახელ ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს ამ წერილით და ველაპარაკე ყოველივე ზემოთქმული და ვთხოვე, რომ ჩემი ნარჩევი კაცისთვის ეწამლებია. ყ-დ სამღვდელომ მისაყვედურა: ხომ ხედავდი, რომ ვწვალობდი, თუ კი ამისთანა იცოდი რამ, რატომ ადრევ არ მითხარიო.

მე მოვახსენე: მე წამალი მაშინ მოგიძებნე, როცა იმ დღეს, სვეტიცხოვლობას, გავეცანი თქვენს ავათმყოფობას მეთქი. მაშ კარგიო. მიბძანა, ჯერ ექიმი გეგე მაღალოვი მწამლობსო და იმას გაუსწორდები, მაშინ შენ შეგატყობინებ და მაშინ მამიყვანე შენი ექიმიო და უფრო შენი იმედი მაქვს, აბა ერთგულად მომექეც, მამარჩინეთ და შენც ფულით დაგასაჩუქრებო. მე მოვახსენე: არა ბატონო, მე თქვენი ფული არ მინდა, ჩემი და მთელი საქართველო მის დასაჩუქრება თქვენი სიცოცხლე და კარგა ყოფნა იქნება, მე თქვენი გამოცემული წიგნები მაჩუქეთ, მეტი არა მინდა რა მეთქი და მინამ ლეონიდი (მაშინ ჯერ უბრალო ბერი) მოგესწრობათ, რომ თქვენი ალაგი იმის დარჩეს, მინამ ძალიძალად გაცოცხლებთ მეთქი.

ამის შემდეგ შინ წამოველ გახარებული, რომ ყ-დ სამღვდელო დამთანხმდა წამლობაზე და გლებოკოშანსკისაც შევატყობინე. დიდი პატივისცემა მქონდა ცხონებულისა და დაახლოვებული ვყვანდი. ყველამ კარგა უწყით, რომ მისი კარი ნიადაგ ღია იყო, ზაფხულშიც სულ თბილისში ბძანდებოდა ხოლმე, ყ-დ სამღვდელო ალექსანდრე ყველას გაუყადრებდა თავს, ემასლაათებოდა, დასომდა სკამზე, ამ მთისას, იმ მთისას ჰკითხავდა და თითონ კი უფრო ბევრს ლაპარაკობდა ამ მთისას თუ იმ მთისას და აღარ აცდიდა, რომ სხვასაც ეთქო რამე. შემდეგ მცირე ხნისა ყ-დ სამღვდელომ

დამიბარა მე და ჩემი ექიმი. ჩვენც წავედით, მოველაპარა-
კეთ წამლობაზე. ორი თუმანი გვიბოძა, რადგან მაშინ თბი-
ლისში არ იყო გომეოპატიური წამალხანა, პეტერბურღიდან
გამოვიწერეთ კარაბადინიც და წამლებიც.

ჩემი ექიმი დაპირდა ყ-დ სამღვდელოს სამ თვეში მოგა-
რჩენო. სამთვეში სრულად კი ვერ მოარჩინა, მაგრამ შესამჩნე-
ვად კი არგო წამლებმა და ფეხები და წვივები დაუცხრა.
ერთხელ ექიმს ჰკითხა; აკი დამპირდი: სამ თვეს მოგარჩენო
და შეწ კი ეხლა მეუბნები, რომ ჯერ კიდევ განვაგრძო წა-
წლობით მართალიაო მოახსენა მან მე მაშინ მოგატყუე)
დაბოღმილ6) საქმე იმ იმედით, რომ რაკი სამ თვეს ჩემ წამ-
ლობის გემოს მიიღებდი და სიკეთეს გამოსილ/უდო მერე
რაღად დაანებებდი წამლობას მინამ მყ ამის ნებას არ
მოგცემდიო. მაშინ მე რომ მეთქო: ორი წელიწადი ან ერ-
თი წელიწადი მოუნდები წამლობასაო, გაიძნელებდი, არ იწა-
მლებდი ღა საქმე წახდებოდაო და ახლა კი მიწამ კარგა არ
მორჩები, თავს რას დაანებებ წამლობას, ხომ მოგეხსენებათ:
სენი ჯანში ფუთობით შედის და მისხლობით გამოდისო და
თქვენ ნაირი ავადმყოფის ჩქარა მორჩენა და სისხლის დაწმენ-
და შეუძლებელიაო.

ყ-დ სამღვდელომ ამაზე ბევრი იცინა, მართლა, რომ
კაი ხერხია, თორემ ეგრე ხანგრძლივ რომ გეთქო წამლობა,
იქნება გამძნელებოდა და ვერ მეწამლაო. ამასობაში დადგა
მარიამობისთვის მარხვა და ხშირი წირვა-ლოცვით ვიღლებო-
დი და ვეღარ ვახერხებდი ყ-დ სამღდელოსთან სიარულს და
სულ ექიმს მივანაბრე. ამ დროს ფეხები ისევ დასიებოდა და
ავადმყოფობა ისევ მობრუნებოდა, მარხვა რომ გავიდა, მე
ჩვეულებრივ უნდა დამეწყო სიარული ყ-დ სამღვდელოსთან
და მივედი ერთ დილას და ჯერ მაქსიმე კელენიკი ვინახუ-
ლე. მაქსიმემ მითხრა: არ შეხვიდე, თორემ ძალიან გაგლან-
ძღავსო. რათა მეთქი? იმათაო, რომ ვიღაც ექიმი მოუყვანე,
ვერც არჩენს და არც თავს ანებებსო.

მე გამიკვირდა, აქამდე კარგა მიდიოდა საქმე და ეხლა
რა დაემართა მეთქი? მაშინვე გავქანდი გლებოკოშანსკისთან,
რომ მიზეზი კარგა გამეგო. იმანაც მითხრა: „ჯერ მეც
მგლის თვალით მიყურებს ყ-დ სამღვდელოო და შენ კი ძაან
გაგლანძღავს, ჯერ ნუ შეხვალ, მინამ რამე ნაირად არ და-
ვამშვიდებო. ვერ გამიგია: ასე საქმე რად დატრიალდა და
ავადმყოფობა რად დაუბრუნდაო. მოვკვდი, გავიშალე, წამ-
ლებს ხან ასე ვაძლევ, ხან ისე და ვერა გამიწყვიარაო. ახლა
მისი შუშები შინ წამოვიღე, წამალი შინ უნდა გაუკეთო
და ჩაუტანოო“. სამი დღის შინ გაკეთებული წამალი ჩაეტა-
წა და ისევ ჩქარა შველებოდა ყ-დ სამღვდელოს და სიმსი-
ვნეც დასცხრომოდა.

ამის მერე ექიმმა მითხრა: მეოთხე დღეს დილით ჩადი,

წამლები სტოლზე აწყვია, შუშები დაცლილი იქნება და გა-
უკეთე წამლებიო, მეც ვეახელ იმ დღეს დილით ყ-დ სამღვ-
დელოს. გალანძღვით კი არ გამლანძღა, მაგრამ მისაყვედუ-
რა: შენი ეგ იმედი მქონდა რომ ამდენ ხანს აღარა მნა-
ხეო? მეც მოუცლელობით ვიმართლე თავი. მერე მაქსიმე
კელენიკს დაუძახე: ნადუღი წყალი მამიტანე, უნდა წამალი
გაუკეთო მეთქი. მანაც მამიტანა სავსე ღრაფინკა. მე ვკითხე
მას: ეს მტკვრის წყალია მეთქი? – დიახო, მომიგო მა-
ქსიმემ. – შაბით არის დაწმენდილი მეთქი? – დიახო,
ამაზედაც მომიგო მაქსიმემ. ამაზე მიუბრუნდი ყ-დ სამღვდე-
ლოს და საყვედურით მოვახსენე; თქვე დალოცვილო, ასე
უყურადღებობით რათ ექცევით თქვენს წამლობას მეთქი?
მიწამ მე დავდიოდი) მაქსიმეს სულ იმას ვეუბნებოდი: მტკ-
ვრის ფაგით დაწმენდილი წყალი არ მოუტანო წამლისთვის
მეთქი.. მაგასაც ონკანის წყალი მოჰქონდა და მიტომ საქმეც
კარგა მიდიოდა მეთქი.

რაკი მე ვეღარ დავდიოდი, მაქსიმესაც ექიმისთვის სულ
მტკვრის შაბით დაწმენდილი წყალი უძლევია და შაბს წამა-
ლი აუჭრია და მიტომ ავადმყოფობა ისევ მოგიბრუნდათ
მეთქი! ამ ნაირად თქვენის უყურადღებობით წინაღამ საქმე
არ გააფუჭეთ და კინაღამ წამლობა არ მიატოვეთ და მეც
წინაღამ არ გამლანძღეთ, რომ არ ჩამომეცადა და ადრე შე-
მოვსულიყავ, მინამ თქვენ შეწუხებული ბძანდებოდით მეთქი.
მაზე მაქსიმეს დაუძახა და შეტუქსა. მაქსიმემ თავის მართ-
ლება დაიწყო: ერთი ბეწო შაბსა ვყრი მღვრიე წყლის და-
საწმენდად და ის როგორ ასჭრიდა წამალსაო. ყ-დ სამღვდე-
ლო კიდე გაუჯავრდა: შე ოხერო, შენ რომ ცოტა შაბსა
ჰყრი, ესენიც ცოტა წამალს ჰყრიანო და რატომ არ გაფუჭ-
დებაო? რა გაჭირებაა, ამას იქით თუ არ სარეცხისთვის,
მტკვრის წყალი სულ არ იხმარო.

აქ უნდა ვთქვა, რომ გვიან მორჩენა ყ-დ სამღვდელო-
სი იმისი ბრალიც იყო, რომ: ჩაიში, საჭმელში და დასალე-
ვადაც მტკვრის შაბით დაწმენდილ წყალსა ხმარობდნენ ხო-
ლმე და მარტო წამალში არ ვხმარობდით და ამ შემთხვევის
იქით კი უფრო სამუდამოდ მივატოვებინეთ, მაშინ ძნელად
დასათმობი, მტკვრის წყალი და საქმეც უკეთ წავიდა წამ-
ლობისა, აი, ასე: ზოგი რამენაირად თითონ წაახდენს საქმეს,
წამლობას მიატოვებს და იტყვის არაფრის ვარგისია ელე-
ქტროგომეოპატია, მაგრამ ყ-დ სამღვდელო ასე წინდაუხე-
დავად არ მოიქცა კეთილ გონიერება იხმარა და მინამ ამნაი-
რად საქმე თავის თავად არ გამოირკვა ვერ გავიგეთ, თუ
ავადმყოფობის მობრუნების ბრალი რა იყო?

შემდეგ ყ-დ სამღვდელო ისევ ჩქარა მორჩა და დაგვი-
ტკბა. ერთხელ მე მოვახსენე: ბატონო, ყველაფერ სიკეთეს
ამჩნევთ თუ არა ამ წამლობისგან? რომ უსათვალოდაც ჰკი-

თხულობთ ხანდახან, რაც წინად არ შეგეძლოთ, რომ აღარც აქათ იქით ირყევით და ბოძივით მაგრა სდგეხართ მღვთის მსახურების დროს და როცა დაიჩოქებთ, ხელათვე ასდგებით ხოლმე, რაც აქამდე სხვის დაუხმარებლად არ შეგეძლოთ მეთქი. ამაზე მიბრძანა ვგრძნობ ყოველივე ამ საკვირველ ცვლილებასო და შე გიჟო, ეს რაღაც კაი წამლობა ჩანს, იქნება არა სწავლობო? მე მოვახსენე: ბატონო, მე მალარი-ით ვარ ავად, მაგ დაშამათულ ექიმს ვეხვეწები, რომ მასწავლოს, როგორ ვიწამლო, მაგრამ არ მასწავლის, თუ გინდა ფული მამე და გიწამლებო. მე კი ფულს სწავლებაში ვპირდები, რასაც ჩემი სიღარიბის დაგვარად გადამიკვეთს, ნაწილ ნაწილად გადაუხდი, მაგრამ არ შვრება მეთქი.

ამის გამო ყ-დ სამღვდელომ სთხოვა იმ ექიმს: „მამა ნიკოლოზი თქვენთან მამაშვილურად არის და რატომ წამ-ლობას არ ასწავლითო, ამით თქვენ რა დაგაკლდებათ, თქვენ ავათმყოფებს არ წაგართმევსთ, ასწავლეთ გეთაყვა, რა გინდა შენი სულის გულისთვის ამან სიკეთე ქნას და თითო ოროლა კაცს არგოსო? ისეთი კაცები თქვენთან რომ მოვიდნენ, ვერც თქვენ გაიგებთ იმათსას და ვერც ისინი თქვენსაო, მამა ნიკოლოზი კი გამოადგებათო, ყველაფერს გაუგებთო და ამანვე გაიგო, რომ შაბწყალს ჩემი წამალი უფუჭებია, თქვენ კი ვერ გაიგეთ ამ ორ კვირაშიო და ასე ქართულის ოჯახი-სას, ქართველის ავ-კარგს ქართველი უფრო ჩქარა და კარგა მიხვდებაო და ექიმიც დაპირდა: ვასწავლი, ისწავლოსო და დამიწყო პრაქტიკაზედ სწავლება. თუმცა წიგნი იმ ექიმის ჩუმად გამოვიწერე პეტერბურღიდან და იმისავე ჩუმათ გავი-გე წამლობაში რომელი წიგნითაც ხელმძღვანელობდა, მაგ-რამ უპრაკტიკოთ ვერაფერი იქნებოდა ჩემი წამლობა და ახლა ყ-დ სამღვდელოსგან ვარ ბედნიერი, რომ ეს წამლობა სისრულით შევისწავლე, ამის მერე რაც ხანი იცოცხლა, ამ უჭირველად იცოცხლა წამლობის მეოხებით, კურთხეულ იყოს ხსენება მისი. წამლობისა ფულად არა უბოძებია რა და არც მე მითხოვნია, თავის დაბეჭდილ წიგნებს კი ზედწარწე-რით მსაჩუქრობდა ხოლმე და სამაგიერო ყ-დ სამღვდელო ლეონიდმა მიწყალობა ჩემი შვილის სწავლის ფული, როცა ვსთხოვე და ჩემი გაჭირება გავაგებინე,

თბილელი მთავარი. **ნ. ოქრომჭედლიშვილი.**

საფლავი

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზისა
1822-1907

XI – 9

დასაფლავებულია თვისგან განახლებულს შიო მღვიმის ტაძარში, მარჯვენა მხარეს, ეკკლესიის პირველი სვეტის უკან, რომელსაც აძევს კარგი ქვა შემდეგის წარწერით:

„განისვენე, უფალო, მონასა შენსა, საქართველოს ჭეშმარიტს შვილს და მოღვაწე ბერს, შიო მღვიმის დიდებულის ლავრის აღმაშენებელს, შენს სადიდებელად მას შინა სამუდამო კრებულის დამაარსებელს და მის ნივთიერად უზრუნველ მყოფელს, საკუთარის საფასით ორისავე ტაძრის განმაახლებელს და ყოვლის სამკაულით აღმავსებელს, წინამძღვრისა და კრებულისთვის სახლების ამშენებელს, და ლავრის განმამდიდრებელს ვენახებით, ბაღებით, სახნავის მიწებით, წისქვილით, სამუშავო იარაღით და საქონლით, ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს.“

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზის საფლავის მახლობლივ, ცოტა ზემოთ, მარჯვენა მხარეს, ასაფლავია მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძე. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის ერთგულ მოამაგე მსახური, რომელიც ამავ მონასტერში ბრბოთა თავ დასხმის დროს იქმნა უღვთოდ მოკლული, აი ესეც ამ ერთგული მსახურის საფლავის ქვის წარწერა:

„აქ განისვენებს გვამი ვერაგულად მოკლულის ამა ლავრის საუკეთესოს მორჩილის და ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრეს უერთგულესის მსახურის მაქსიმე იესოს ძის ჩიგოგიძის“

1861-1906

განცხადება

ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

მაქვს სურვილი ცალკე წიგნად გამოვსცე ეპისკოპოზი გრიგოლ დადიანის სიტყვები და მის ცხოვრების ცნობები. თუ ვისმეს რამე მოეპოვებად ვსთხოვთ მათ ეს სიტყვები და ცნობები დროებით გვათხოვონ. ვინც რამეს გადმოგვცემს, ჩვენ ყოველივეს დავსტამბავთ, დაბეჭდვის შემდეგ ყოველივეს ისევ პატრონებს დაუბრუნდებთ.

ადრესი: **ფოთი,** გადასცენ გურია სამეგრელოს ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს.
თფილისს, წერა-კითხვის სამართველოს.

უმთავრესი შეცდომა ამ წიგნში

24 გვ. 1 სტრიქონზე უნდა იყოს ц и н ц а ძ ე
3 სტრიქ. უნდა იყოს მ ე უ ფ ე ო .

განცხადება

ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

მაქვს სურვილი ცალკე წიგნად გამოვსცე ეპისკოპოზი გრიგოლ დადიანის სიტყვები და მის ცხოვრების ცნობები. თუ ვისმეს რამე მოეპოვებად ვსთხოვთ მათ ეს სიტყვები და ცნობები დროებით გვათხოვონ. ვინც რამეს გადმოგვცემს, ჩვენ ყოველივეს დავსტამბავთ, დაბეჭდვის შემდეგ ყოველივეს ისევ პატრონებს დაუბრუნდებთ.

ადრესი: **ფოთი,** გადასცენ გურია სამეგრელოს ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს.
თფილისს, წერა-კითხვის სამართველოს.

სიტყვები და წერილები ფასი 30 კაპ.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, გამოცემა 1903 წ. 30 კ.